

ნუმიზმატისა და ბონისტის განმარტებითი ლექსიკონი

- 1. აბაზი** – ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა, ირანში შემოიღო აბას I – მა (აქედან სახელწოდება). აბაზი სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. აბას I – ის დროინდელი აბაზის წონა 7,8 გრ-ს უდრიდა; XVIII ს - ის ბოლოსთვის მისი წონა 3 გრ – მდე შემცირდა; შეიცავდა 2 მაჰმუდს – უზალთუნს; აბაზის შუბლზე წარწერილი იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და დრო, ზურგზე – რელიგიური ფორმულა. საქართველოში აბაზს ჭრიდნენ XVII ს - ის I მეოთხედიდან XVIII ს - ის მიწურულამდე; შესაბამისად ეს ტერმინიც XVII ს - ის დამდეგიდან გაჩნდა; ეს მეტად გავრცელებული საანგარიშო ერთეული საქართველოში შემორჩენილია დღემდე და აბაზი 20 თეთრის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება /დ. კაპანაძე/.
- 2. აბასიანები** – აბასიდები, არაბი ხალიფების დინასტია (750 – 1258 წწ.); წინასწარმეტყველ მაჰმადის ბიძის, ალ-აბასის შთამომავალი (აქედან დინასტიის სახელწოდება).
- 3. ავერსი** – მონეტის წინა მხარე, შუბლი; ავერსზე, როგორც წესი, თავსდება გამოსახულება საკანონმდებლო ფუნქციით, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს გერბი; სამეცნიერო წრეებში არ არსებობს ერთიანი აზრი მონეტის ავერსის განსაზღვრის შესახებ; მონეტების თანამედროვე კატალოგებში მიღებულია ავერსის განსაზღვრა შემდეგი ნიშნებით: 1. სახელმწიფოს გერბი, ემბლემა; თუ მონეტის ორივე მხარეს გამოსახულია გერბი, ავერსად მიიჩნევა მხარე პრივილეგირებული სახელმწიფოს გერბის გამოსახულებით, მაგ., პორტუგალიის კოლონიების მონეტების ავერსზე – პორტუგალიის, რევერსზე კი კოლონიის გერბი იყო გამოსახული; 2. სახელმწიფოს მეთაურის ან სამონეტო რეგალიის რომელიმე სხვა მფლობელის პორტრეტი; 3. ლეგენდა, სადაც მითითებულია ქვეყანა, ტერიტორია; 4. ლეგენდა, სადაც მოხსენიებულია სამონეტო რეგალიის მფლობელის სახელი. სხვა შემთხვევებში მეცნიერები სუბიექტურად წყვეტენ ან უარს ამბობენ ავერსის განსაზღვრაზე.
- 4. აკმონიტალი** – (იტალ. acciaio monetario italiano – იტალიური სამონეტო ფოლადი), უყანგავი ქრომოვანი ფოლადი ნიკელის დანამატით. ძირითადად სწორედ ამ შენადნობით იჭრება რომის ზარაფხანაში იტალიის, ვატიკანისა და სან -მარინოს გაცვლითი მონეტები.



100 ლირა, აკმონიტალი.

რომის ზარაფხანა, იტალია

- 5. ალასტანელი** – ქართველ უფლისწულთა ზედწოდება XIII– XIV სს – ში, წარმომდგარია საუფლისწულოს ცენტრის ალასტანის (სოფელი ახალქალაქის რაიონში, ჯავახეთში) სახელწოდებიდან. ალასტანელად წოდებული უფლისწულები ფლობდნენ ჯავახეთს და მის მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონს. ლაშა გიორგი იყო პირველი ალასტანელი – „ჯავახთუფალი“.
- 6. ალექსანდრე მაკედონელი** – ალექსანდრე დიდი (Alexandros ho Megas) (ძვ. წ. 356. 21. 07, ქ. პელა – ძვ. წ. 323. 13. 06, ბაბილონი), მაკედონის მეფე 336 წლიდან. ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. პირველი დიდი მსოფლიო იმპერიის შექმნა დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის სახელთან. დაიმორჩილა რა ბერძნული სახელმწიფოები, სპარსეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, შუა აზია და ინდოეთი, არისტოტელეს ახალგაზრდა აღზრდილმა დააარსა იმპერია, რომელიც გადაშლილი იყო დუნაიდან ინდუსამდე, კავკასიიდან ეგვიპტემდე. მხოლოდ მოულოდნელმა და ნაადრევმა სიკვდილმა შეუშალა მას ხელი დაეპყრო არაბეთი და ჩრდილოეთ აფრიკა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია არ იყო ხანგრძლივი, მაგრამ მან უზარმაზარი როლი შეასრულა აღმოსავლური და დასავლური კულტურების დაახლოებაში, ლოკალური ცივილიზაციების მსოფლიო ცივილიზაციად გარდასახვაში. ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს მსგავსი სახელმწიფო გაერთიანებანი წარმოადგენდნენ ჯგუფთა შემთხვევით და ნაკლებად შეკავშირებულ კონგლომერატებს, რომელებიც ირღვეოდნენ და ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ დამპყრობლის წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების შერწყმამ საფუძველი ჩაუყარა, ე. წ., ელინისტურ კულტურას, გამოიწვია ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა. ალექსანდრე მაკედონელის პიროვნება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა

როგორც თანამედროვეებზე, ისე შემდგომ თაობებზე, მის შესახებ შეიქმნა მრავალი ლეგენდა, მისი მოღვაწეობა აღწერეს მისმა კარის ისტორიკოსებმა /ზ. კიკნაძე/.

7. **ალექსანდრე მაკედონელის სტატერი** – ოქროს მონეტა, მოჭრილი ალექსანდრე მაკედონელის სახელით ძვ. წ. IV ს.; საშუალო წონა 8,6 გრ.; ასრულებდა საერთაშორისო ფულის ერთეულის როლს. მონეტის შუბლზე გამოსახულია მუზარადიანი ათენას პროფილი, ზურგზე – ფრთოსანი ქალღმერთი ნიკე და ბერძნული ზედწერილი: „Alexandru“ ან „Basileüs Alexandru“ („ალექსანდრესი“ ან „ალექსანდრე მეფისა“). მეფის ტიტულის მოთავსება ალექსანდრე დიდმა თავის მონეტაზე ძვ. წ. 329 წლიდან დაიწყო. ალექსანდრე მაკედონელის სტატერი გავრცელებული იყო საქართველოშიც. აღმოჩენილია სოფ. ჭიორაში (ონის რ–ნი), რიყე (ზუგდიდის რ–ნი), ბაბუშერა (გულრიფშის რ–ნი), ფიჭვნარი (ქობულეთის რ–ნი), ვანი (ვანის რ–ნი), მცხეთასა და სვანეთში (მდ. ნეკრესის ველი, სოფ. ჭუბერიდან 20 კმ.; სოფ. თავრალი, ჭუბერი, ზემო მარხი) /გ. დუნდუა/.
8. **ალთუნი** – (თურქ. altun – ოქრო), თურქული ოქროს მონეტა, იჭრებოდა კონსტანტინოპოლის ადების (1453 წ.) შემდეგ; მისი წონა – 3,5 გრ.; ალთუნი სხვადასხვა ტიპისაა. XVIII ს – ის დასაწყისიდან ალთუნის შუბლზე გამოსახულია მოჭრის ადგილი, დრო და თურა, ზურგზე არაბულად აწერია: „სულთანი მგლობელი ხმელეთისა, მპყრობელი ზღვებისა, სულთანი ძე სულთნისა“. არაბული ზედწერილები შესრულებულია მაღალი კალიგრაფიული ოსტატობით. საქართველოში ალთუნი XVI ს - დან გავრცელდა; აღმოჩენილია ქუთაისში, უდში (ადიგენის რ - ნი), ლეხურის ხეობაში. ოსმალების მიერ თბილისის ადების (1723 წ.) შემდეგ, ოსმალეთის სულთან აჰმედ III - ის სახელით თბილისში მოიჭრა ალთუნი და ორმაგი ალთუნი, ე. წ. ალთუნ-აშრეფი (წონა – 6,15 გრ.), რომელიც უიშვიათესი მონეტაა /ა. ბიკოვი/.
9. **ანეპიგრაფიკული მონეტა** – უწარწერო, ე. წ. მუნჯი მონეტა; ამ სახის მონეტები იჭრებოდა ძვ. წ. V ს–მდე; მაგალითად, კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია.
10. **ანონიმური მონეტები** – იგივე უსახელო მონეტები, რომელთა წარწერებში საკუთარი სახელები არ მოიხსენიება.
11. **ანტიკური ეპოქა** – (ლათ. – ძველი), ეს ტერმინი პირველად გამოჩნდა XVIII ს – ის ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში და თავდაპირველად აღნიშნავდა უძველესი წარსულის ხელოვნების განსაკუთრებულ სფეროს. მას შემდეგ მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ხელოვნების ისტორიის შესწავლას, საერთო აღიარება ჰპოვა აზრმა ძველი ბერძნული და რომაული კულტურების უაღრეს მნიშვნელობაზე ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში. სწორედ ამ უაღრესობის გამო ეწოდა მხოლოდ ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურებს „ანტიკური“. ანტიკური ცივილიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები ასეთია: ძვ. წ. VIII – ჩვ. წ. V ს – ის შუა წლები. ეს არის თითქმის თორმეტი საუკუნე. თუმცა დროის ეს ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს, თუკი მივათვლით წინამავალ ოთხ საუკუნეს, რომელსაც კრეტა – მიკენის კულტურა ეწოდება და რომლის წიაღშიც აღმოცენდა ანტიკურობა. ამ ცივილიზაციის ისტორიაში მკვეთრად გამოიყოფა რამდენიმე ლოკალური კულტურა: ბერძნული, რომლის აღმავლობის პერიოდი ძვ. წ. V - IV სს. (კლასიკა) და რომაული, რომლის აღმავლობის ხანა ძვ. წ. II სს – ს მოიცავს. გამოყოფენ აგრეთვე ელინისტურ ანუ ალექსანდრიულ ეპოქასაც (ძვ. წ. 330 – 220 წწ.), როდესაც კულტურის ეპიცენტრმა გადაინაცვლა ალექსანდრიაში. რას მიიჩნევენ ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვრად? უპირველეს ყოვლისა ადამიანში პიროვნული ღირსებების აღიარებას, სულიერების პრიორიტეტს, მეცნიერების, ხელოვნების, მითოლოგიის აღმავლობას, თავისუფლების შეცნობას. ანტიკურობის უდიდეს მიღწევად აბსტრაქტული მეცნიერებების – ფილოსოფიის, ასტრონომიის, მათემატიკის, მექანიკის, მედიცინის, ისტორიის, მართლმსაჯულების, ეკონომიკის აღმოცენება ითვლება. სწორედ ანტიკურ ხანაში დაედო დასაბამი ფილოსოფოსთა სკოლას, პლატონის აკადემიას, არისტოტელეს ლიცეუმს, ალექსანდრიულ მუზეუმს (მუსეონი); შეიქმნა განათლების სისტემა, რათა ახალგაზრდა თაობა დაუფლებოდა მეცნიერებას, ხელოვნებას, საბრძოლო საქმეს. ადამიანში სულიერების აღორძინებამ ბიძგი მისცა მსოფლიო რელიგიების აღმოცენებას, პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლას, რომლის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროთა ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვაც მოიაზრება. ჩვ. წ. I ს – ში რომაული იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში თავი იჩინა ქრისტიანობამ, რომელიც მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად IV ს – ში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს. ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვარია საზოგადოებრივ – პოლიტიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული წყობა – დემოკრატია. მისი ძირითადი პრინციპები, რომლებიც ბერძნული ცივილიზაციის აღმავლობის პერიოდში ჩამოყალიბდა, დღემდე ყველა ქვეყნის დემოკრატიულ პარტიათა და მოძრაობათა პროგრამების საფუძვლებად გვევლინებიან. ანტიკური ცივილიზაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისებურებათა შორის ასახელებენ პოლისთა არსებობას. ანტიკური პოლისი იყო დამოუკიდებელი, თვითმართვადი ქალაქი – სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი წყობა შესაძლოა ყოფილიყო დემოკრატიაც, ტირანიაც, არისტოკრატიაც, ოლიგარქიაც და ა.შ., მაგრამ ნებისმიერი წყობის დროს მკაცრად იყო დაცული პოლისის მოქალაქეთა თანასწორობა და უფლებები. დიდი იყო ანტიკური ცივილიზაციის წვლილი ეკონომიკის

განვითარებაში. სწორედ ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა წარმოების ორგანიზაციის, საკუთრების, ფინანსურ, ფულად თუ სხვა ურთიერთობათა ფორმები; დაარსდა სახელმწიფო ბანკები და ხაზინები. ანტიკურ ხანაში გახდა შესაძლებელი პირველი მსოფლიო იმპერიების წარმოქმნა. ამ მიმართულებით პირველი მოძრაობა დაიწყო ანტიკური ცივილიზაციის დასაბამიდანვე, როდესაც ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დააარსა კოლონიები ხმელთაშუა, შავი, აზოვისა თუ იონიის ზღვათა სანაპიროებზე. ეს პერიოდი (ძვ. წ. VIII – VI სს.) ისტორიაში ცნობილია „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ სახელით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო იმპერია. ყოველი კოლონია დამოუკიდებელი იყო მეტროპოლისისაგან, თუმცა სულიერი, ეკონომიკური თუ ოჯახური ძაფებით მაინც მას უკავშირდებოდა. ამ საკოლონიზაციო მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა მსოფლიო პროგრესის ისტორიაში: განვითარდა ზღვაოსნობა, დაიწყო ინტენსიური მოგზაურობანი, რამაც ხელი შეუწყო განათლების განვითარებას, ხალხთა შორის კულტურულ ურთიერთობას. პირველი დიდი მსოფლიო იმპერიის შექმნა დაკავშირებულია ალექსანდრე III მაკედონელის სახელთან (**იხ. ალექსანდრე მაკედონელი**). შეიქმნა ასევე რომაული იმპერია (**იხ. რომის იმპერია**). ანტიკურობამ, როგორც ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურულმა მემკვიდრეობამ, უდიდესი გავლენა იქონია ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ და რელიგიურ აზროვნებაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფილოსოფიურსა და იურიდიულ შეხედულებებზე. ეს გავლენა დღემდე გრძელდება და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური მემკვიდრეობის ჰუმანისტურ იდეალებს, რომელიც კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პროგრესულ ძალთა მასაზრდოებელი არსენალი იყო /ზ. კიკნაძე/.

12. **აჟურა** – XI ს-ის წვრილი ფული, ბრუნვაში იყო მოკლე პერიოდი; ტერმინი ნაწარმოებია ბერძნული „არგირასაგან“. ბიზანტიური ვერცხლის მონეტის – არგირას - ქართული სახელწოდება; მოხსენიებულია ნიკორწმინდის XI ს-ის სიგელში.
13. **არაშექცევადი ვალუტა** – იმ სახელმწიფოს ვალუტა, რომელმაც მთლიანად შეინარჩუნა სავალუტო შეზღუდვები როგორც ვალუტის ყოველგვარ ოპერაციაზე (ყიდვა – გაყიდვა, გაცემა, გატანა და ა. შ.), ისე არარეზიდენტებსა (უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირები) და რეზიდენტებზე (მოცემული ქვეყნის ფაზიკური და იურიდიული პირები). არაშექცევადია უპირატესად დამოკიდებული და ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ვალუტა, რომელიც თითქმის მთლიანად მეტროპოლისის (ან ყოფილი მეტროპოლისის) ვალუტას ემყარება.
14. **არისტარქე** – (ბერძნ. Aristarchos), კოლხეთის მმართველი, დანიშნა პომპეუსმა ძვ. წ. 65 წ.; მმართველი იყო ძვ. წ. 52 – 51 წწ – იც; ზოგიერთი ავტორი (ეგტროპიუსი, ფესტუსი) არისტარქეს მეფედ მოიხსენიებს, ზოგი (აპიანე ალექსანდრიელი) – დინასტად (მმართველად). არისტარქეს დროს კოლხეთი რომთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა /ნ. ლომოური/. იხ. არისტარქე კოლხის დრაქმა.
15. **არისტარქე კოლხის დრაქმა** – ვერცხლის მონეტა, წონა – 3,25 – 3,75 გრ., მოჭრილი კოლხეთის მმართველის არისტარქეს სახელით ძვ. წ. 52 – 51 წწ. მონეტის შუბლზე გამოსახულია გვირგვინოსანი მამაკაცი – არისტარქე, ან ჰელიოსი თუ პომპეუსი; სურგზე გვირგვინოსანი ქალღმერთი და ბერძნული ზედწერილი: „არისტარქესი [რომელიც] კოლხეთში მმართველობდა [წელსა] თორმეტსა“ /გ. დუნდუა/.
16. **არქეოლოგია** – (არქეო – /ბერძნ. archaios - ძველი/, რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, მიუთითებს მისი შემცველი სიტყვების კავშირს სიძველესთან. მაგ., არქეოგრაფია, არქეოლოგია, არქეოპტერიქსი) – მეცნიერება, რომელიც კაცობრიობის ისტორიულ წარსულს სწავლობს ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით. არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი წყაროა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის უდიდესი ნაწილის შესასწავლად. არქეოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს დამწერლობიანი ეპოქების ისტორიულად შესასწავლად. არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი წყაროების ცნობებს. არქეოლოგთა აღმოჩენილია თვით დამწერლობის უძველესი ძეგლებიც. ნივთიერი ძეგლების მოსაპოვებლად ტარდება არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ჩვეულებრივ წინ უძღვის არქეოლოგიური დაზვერვა. განათხარი მასალის შესწავლისას არქეოლოგია ეყრდნობა ნივთიერი ძეგლების ასაკის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საკუთარ მეთოდებს (იხ. არქეოლოგიური დათარიღება). ამგვარი შესწავლის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლი ისტორიულ წყაროდ იქცევა. არქეოლოგია ნივთიერი წყაროების მონაცემთა საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტრუქციას. ვინაიდან ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ნივთიერი კულტურა და ყოფა კანონზომიერადაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან. **არქეოლოგიის ისტორია**. არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელსაც კვლევის საკუთარი მეთოდები აქვს, ჩამოყალიბდა XVIII ს – ის ბოლოს და XIX ს – ის დასაწყისში, თუმცა სიძველეებისადმი ინტერესს უძველესი დროიდანვე იჩენდნენ. ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს – ში ბაბილონის მეფე ნაბონიდის ბრძანებით თხრიდნენ ძველ სასახლეთა ნანგრევებს და აღრიცხავდნენ ყოველგვარ მონაპოვარს, უმთავრესად კი წარწერებს. ტერმინი „არქეოლოგია“ სიძველეთმცოდნეობის მნიშვნელობით პირველად გამოიყენა პლატონმა (ძვ. წ. IV ს.) სიძველეთა შესწავლა საგანგებო ყურადღების საგანი გახდა ძველ რომში. რომაელმა პოეტმა და მოაზროვნემ ლუკრეციუსმა პირველმა გამოთქვა ჰიპოთეზა

კაცობრიობის ისტორიაში ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის მონაცვლეობის შესახებ (ეს ჰიპოთეზა 1836 წელს დაასაბუთა დანიელმა არქეოლოგმა კ. თომსენმა). რენესანსისა და მომდევნო ხანაში, განსაკუთრებით კი XVIII ს-ში, გაცხოველდა ინტერესი არქეოლოგიური სიძველეებისადმი. გაჩნდნენ ანტიკვარი-კოლექციონერები, რომლებიც აგროვებდნენ არქეოლოგიურ ძეგლებს. დაიწყო ასევე არქეოლოგიური გათხრების წარმოება მეცნიერული თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პომპეის გათხრებს, რომელიც დაიწყო 1748 წელს და ფართო მასშტაბი მიიღო XIX ს – ში. XVIII ს – ში შეიქმნა პირველი არქეოლოგიური საზოგადოებები, დაარსდა სამეცნიერო არქეოლოგიური ჟურნალები. მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში თანდათანობით დაგროვდა დიდი მნიშვნელობის არქეოლოგიური კოლექციები. არქეოლოგიის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა აღმავლობამ. არქეოლოგმა მორტილიემ დამუშავა (1869 – 1883 წწ.) ქვის ხანის ძეგლების კლასიფიკაცია. მის მიერ გამოყოფილი ქვის ხანის ძირითადი ეტაპები – შელი, აშელი, მუსტიე და სხვ. ასახავენ ქვის იარაღების დამზადების ტექნიკის განვითარების თანამიმდევრულ ეტაპებს, რაც შეესატყვისება ადამიანის კულტურის განვითარების ცალკეულ საფეხურებს. გეოლოგიური თვალსაზრისით არქეოლოგიის მონაცემების ანალიზით შესაძლებელი გახდა კაცობრიობის ისტორიის დაკავშირება დედამიწის ისტორიის პერიოდებთან. დროთა განმავლობაში შრომის იარაღებისა და ნივთიერი კულტურის სხვა ძეგლების შესწავლიდან არქეოლოგია გადავიდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიულ შესწავლაზე. XIX ს – ის ბოლოს დადგინდა კავშირი პალეოლითსა და ნეოლითს შორის, გამოიყო გარდამავალი ეპოქა – მეზოლითი. განსაკუთრებით წარმატებებს მიაღწია კლასიკურმა არქეოლოგიამ. მისი შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ამერიკული არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობას ეგვიპტეში, საბერძნეთში, თურქეთში, ირანში, ერაყში, წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში; შედეგად აღმოჩნდა ეგვიპტის, მესოპოტამიის, ეგოსის უძველესი ცივილიზაციები. ასეთივე ძვ. ადრინდ. მონათმფლობელური ცივილიზაციები აღმოჩნდა XX ს – ის 20 – იან წლებში ინდოეთში და შემდეგ ჩინეთშიც. არქეოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ო. მონტელიუსის მიერ დამუშავებულ ე. წ. ფორმალურ – ტიპოლოგიურ მეთოდს – ნივთების კლასიფიკაციის მეთოდს, რომელიც მათი შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. ევოლუციური სკოლა ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში სხვადასხვა ხალხების კულტურების ურთიერთმედარებით მივიდა დასკვნამდე, რომ მთელი საზოგადოების განვითარება ერთიანია. შემუშავდა არქეოლოგიური კულტურის ცნება. არქეოლოგიური კულტურების შესწავლის შედეგად გადაწყდა ხალხთა ნივთებისა და იდეების წარმოშობისა და მიგრაციების მრავალი პრობლემა. XX ს-ის I ნახევარში არქეოლოგია განვითარდა ცალკეული არქეოლოგიური ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით. არქეოლოგიის მონაცემები წარმატებით გამოიყენება ისტორიული დასკვნებისათვის. შეიქმნა კაპიტალური განმაზოგადებელი ნაშრომები (ე. დემელეტის, ლ. ნიდერლეს, გ. ჩაილდის, გ. კლარკის და სხვ.). თანამედროვე არქეოლოგია არქეოლოგიური ძეგლების გათხრების, ფიქსაციის, რესტავრაცია – კონსერვაციის, კლასიფიკაციის, დათარიღებისა და სხვა დროს წარმატებით იყენებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდებს. ფართოდ გამოიყენება ფოტოგადაღება, გეოფიზიკური და ელექტრომაგნიტური მეთოდები, ნიადაგების ქიმიური ანალიზები და სხვა. ქიმიკოსები, მეტალურგები, კერამიკოსები და სხვა სპეციალისტები სისტემატურად მუშაობენ არქეოლოგებთან ერთად არქეოლოგიური მონაპოვრის კონსერვაციის, რესტავრაციისა და ტექნოლოგიის შესწავლის დარგში – როგორც სავლე პირობებში, ისე მუზეუმებში. არქეოლოგიური ძეგლების დასათარიღებლად გამოიყენება პალეოკლიმატოლოგიის, პალეობოტანიკის, პალეოზოოლოგიის მეცნიერებათა მიღწევები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ასტრონომიულ დენდროქრონოლოგიურ მეთოდებს, განსაკუთრებით კი ე. წ. რადიოკარბონულ მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით დათარიღდეს ორგანული ნაშთები (ნახშირი, ძვალი). მასობრივი არქეოლოგიური მასალის შესწავლისას ხშირად გამოიყენება სტატისტიკურ – კომბინატორული მეთოდები. დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ კარტოგრაფიას. **არქეოლოგია საქართველოში** XIX ს – ში ჩაისახა, თუმცა არქეოლოგიურ გათხრებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. არქეოლოგიურ ძეგლთა თავმოყრისა და შესწავლის ცდები დაკავშირებულია 1852 წელს დაარსებულ კავკასიის მუზეუმთან (ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) და 1873 წელს დ. ბაქრაძის ინიციატივით დაარსებულ კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებასთან. მიუხედავად არქეოლოგიური გათხრების მცირე მასშტაბისა, XIX ს – ის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები: სამთავროს სამაროვნისა და საჩხერის ყორღანული სამარხების გათხრები, ყაზბეგის განძის, ახალგორის განძის პოვნა და სხვა გათხრებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად კავკასიის მუზეუმი არქეოლოგიურ ძეგლთა ერთ – ერთ უდიდეს საცავად იქცა; დღესდღეობით მისი მემკვიდრეა სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო საქართველოს მუზეუმი, რომელსაც 1936 – 41 წლებში გადაეცა თბილისში არსებული შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის ფონდები. მდიდარი არქეოლოგიური ფონდებია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშიც (დაარსდა 1934 წ.), რომელსაც გადაეცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის, საეკლესიო მუზეუმისა (დაარსდა 1889 წ.) და ოსუ – ს ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტთან არსებული სიძველეთა მუზეუმის (1925–1930წწ.) ფონდები. საქართველოს არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი თავმოყრილია თბილისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, თელავის, ქუთაისის ისტორიულ – ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმებში, აგრეთვე ახალციხის, მარტვილის, გურჯაანის, მესტიის, მცხეთის, რუსთავის, ფოთის, ცხინვალის, ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გამოვლინდა მრავალი

მნიშვნელოვანი ძეგლი, პალეოლითიდან გვიანდელ შუასაუკუნეებამდე. მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა იამთხვაში აღმოჩენილი აშელის ეპოქის ძეგლი, წონის, კუდაროს, ჯრუჭალას და სხვა პალეოლითური ხანის მღვიმეები, ზედა პალეოლითური მღვიმე-ნამოსახლარები: დევის ხვრელი, საკაჟია და სხვა; აგრეთვე ქვემო ქართლში გამოვლენილი შულავრის ენეოლითური კულტურა. ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანული კულტურის ძეგლების აღმოჩენასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს, არამედ წინა აზიის არქეოლოგიისათვის. საქართველოს არქეოლოგიურ განვითარებაში ახალი ეტაპი იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, რომელმაც შეისწავლა სამთავროს სამაროვანი, არმაზისხევის, ბაგინეთისა და საკუთრივ მცხეთის ძეგლები. მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა დაკავშირებულია ახალმშენებლებთან. აღსანიშნავია მშენებელთა და არქეოლოგთა თანამშრომლობა კოლხეთის დაბლობზე, თრიალეთში, ენგურჰესის ტერიტორიაზე, ალაზნის სარწყავი სისტემის ტრასაზე, რუსთავეში, ახალქალაქში, ვარციხეში, ჟინვალსა და ბორჯომის ხეობაში (ბაქო-თბილისი – ჯეიჰანის მილსადენი). არქეოლოგიურმა კვლევამ-ძიებამ სრულიად ახლებურად წარმოადგინა წინაქრისტიანული ხანის საქართველოს კულტურული და სოციალურ – ეკონომიკური სახე. მცხეთის, ვანის, უფლისციხის, სოხუმის, ფიჭვნარის, ბიჭვინთის, ურბნისისა და სხვა აღმოჩენებმა გვიჩვენა საქართველოში პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ჩასახვა – განვითარების თავისებურებანი, გამოავლინა მრავალფეროვანი ხელოსნური ნაწარმი /ი. გაგომიძე/. **არქეოლოგიური გათხრები** – მიწის გათხრითი სამუშაოები არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენისა და ისტორიული კვლევის მიზნით. არქეოლოგიური ძეგლები მრავალფეროვანია. თითოეული მათგანის გათხრას თავისი სპეციფიკა აქვს. ფიქსაციის გასაადვილებლად თხრილს კვადრატებად ყოფენ; თხრიან ხელით, სხვადასხვა ხელსაწყოთი (ბარი, წერაქვი, დანები, ლანცეტები, ფუნჯები). მექანიზმების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გათხრილი და გადარჩეული მიწის გასატანად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გათხრის პროცესის ყველა საფეხურის დაწვრილებით აღწერას. თხრილის გეგმაზე აღინიშნება აღმოჩენილი ნივთები და ნაგებობანი. გეგმის გარდა, აუცილებელია თხრილის ვერტიკალური ჭრილის ნახაზები, ფოტოსურათები, რომელზეც უისახება კულტურული ფენების თანმიმდევრობა. მათზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დადგინდეს შედარებითი ქრონოლოგია. ხშირად საჭირო ხდება სინჯების აღება პალეობოტანიკური, დენდროქრონოლოგიური, პალეომაგნიტური, ქიმიური და სხვა ანალიზებისათვის. საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება აქვთ მხოლოდ სპეციალისტ არქეოლოგებს არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნებართვის მიღების შემდეგ /ი. გაგომიძე/. **არქეოლოგიური განძი** – რაიმე მიზეზით დამალული, უპირატესად მიწაში დაფლული ნივთები, რომლებიც თავისი დროისათვის მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენდნენ, ჩვენთვის კი უპირველეს ყოვლისა ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვთ. განძს უმეტესად მოსალოდნელი საშიშროების წინ მალავდნენ. ზოგჯერ ხერხდება ზოგიერთი არქეოლოგიური განძის დაკავშირება წერილობითი წყაროებით ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან. მაგ., დმანისის განძის დაფლვა უკავშირდება მონღოლთა მიერ ქ. დმანისის აღებას. უძველესი არქეოლოგიური განძი ახალი ქვის ხანას (ნეოლითს) განეკუთვნება. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ განძებიდან ჯერჯერობით უძველესია შუა ბრინჯაოს ხანის ურეკის განძი (ძვ. წ. XVIII - XVI სს.). არქეოლოგიურ განძთა სიმრავლით განსაკუთრებით ცნობილია კოლხური კულტურა (ძვ. წ. XIV - VII სს.). მელითონეთა სახელოსნოებთან ხშირად აღმოჩნდება და გამოსაყენებლად მეტწილად უვარგისი სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღ-სამკაული, რომელიც ხელმეორედ გადადნობისათვის იყო განკუთვნილი. ასეთ არქეოლოგიურ განძს მდნობელთა განძს უწოდებენ. არქეოლოგიური გათხრების თავისებური და ფართოდ გავრცელებული სახეობაა მონეტათა განძები. განძებს, რომლებიც მონეტებთან ერთად ლითონის სხვა ნივთებსაც შეიცავს, ჩვეულებრივ შერეულ განძს უწოდებენ. ლითონის ფულის ყოველი განძი ძვირფასი ისტორიული წყაროა ამა თუ იმ ქვეყნის სამონეტო მიმოქცევისა და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესასწავლად. საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფულის განძები ხშირად ჩნდება ძვ. წ. VI-V სს – დან, როდესაც საქართველოში დაიწყო სამონეტო მიმოქცევა და მოიჭრა პირველი მონეტა – კოლხური თეთრი. სპეციალურ ლიტერატურაში არქეოლოგიური განძის სახელით ზოგჯერ სრულიად სხვა სახის ძეგლები მოიხსენიება, მაგ., ე. წ. ახალგორის განძი სინამდვილეში მდიდრული სამარხის ინვენტარია და არა არქეოლოგიური განძი. თითოეული არქეოლოგიური განძი მნიშვნელოვანი ისტორიული დირებულების არქეოლოგიური ძეგლია. ამიტომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური განძი სახელმწიფო მუზეუმს ჩააბაროს, რისთვისაც იგი მიიღებს საგანგებო გასამრჯელოს ფულად ჯილდოს /ი. გაგომიძე/. **არქეოლოგიური დათარიღება** – ისტორიულ მოვლენათა დათარიღება მოვლენათა ქრონოლოგიის დადგენა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. არსებობს არქეოლოგიური დათარიღების ორი სისტემა: აბსოლუტური და შედარებითი. აბსოლუტური ქრონოლოგია განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის თარიღს მოქმედი კალენდრის მიხედვით, შედარებითი ქრონოლოგია კი მხოლოდ მოვლენათა თანმიმდევრობას ასახავს. შედარებით თარიღებს ადგენენ სტრატиграფიული და ტიპოლოგიური მეთოდებით. არქეოლოგიურ ძეგლების კულტურულ ფენათა განლაგებაზე დაკვირვება შესაძლებელია ხდის, განისაზღვროს მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ერთმანეთზე დაფენილ კულტურულ ფენათაგან უფრო ძველია ის, რომელიც ღრმადაა მოქცეული. ტიპოლოგიური მეთოდი ემყარება დროთა განმავლობაში ნივთების ტიპის, მათი დამზადების ტექნიკასა და ა.შ. ცვლას. შედარებითი ქრონოლოგიიდან აბსოლუტურზე გადასვლა შესაძლებელია თუ დაუთარიღებელ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად აღმოჩნდება ისეთი ნივთები, რომელთა დამზადების დრო ცნობილია სხვა წყაროებიდან, ან რომლებიც თვით შეიცავენ თარიღს (მონეტები, წარწერები და სხვ.). საკუთრივ

არქეოლოგიური დათარიღების მეთოდების გარდა, არქეოლოგიაში ფართოდ იყენებენ მეთოდებს, რომლებიც ემყარება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს. ასეთებია: რადიოკარბონული (არქეოლოგიური ძეგლების დათარიღება ორგანული წარმოშობის ნაშთებში რადიოაქტიური ნახშირბადის რაოდენობის მიხედვით), პალეომაგნიტური (დათარიღება გამომწვარი თიხის ნაწარმში ნარჩენი მაგნეტიზმის მიხედვით), დენდროქრონოლოგიური (დათარიღება განათხარი ხეების წლიური წრეების მიხედვით), ყვავილთა მტვრის ანალიზის, ქიმიური და სხვა მეთოდები /ი. გაგომიძე/. **არქეოლოგიური კულტურა** – ტერმინი, რომლითაც არქეოლოგიაში აღინიშნება გარკვეული ხანისა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე გავრცელებული ადგილობრივი თავისებურებების მქონე არქეოლოგიურ ძეგლთა ერთობლიობა. არქეოლოგიური კულტურის გამოყოფის დროს ითვალისწინებენ დამახასიათებელ ნიშანთა მთელ კომპლექსს – მეურნეობის ხასიათსა და განვითარების დონეს, დასახლების ტიპს, დაკრძალვის წესს, სამკაულის, იარაღისა და კერამიკის ფორმებსა და ორნამენტაციას. არქეოლოგიური კომპლექსის ცალკეულ ელემენტთა მსგავსება ან განსხვავება სხვა კულტურის შესაბამის ელემენტებთან საკმაო საფუძველი არ არის არქეოლოგიური კულტურის გამოსაყოფად. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, არქეოლოგიური კულტურა გარკვეული ეთნიკური ერთობის კუთვნილება უნდა იყოს. ზოგჯერ ხერხდება არქეოლოგიური კულტურის დაკავშირება რომელიმე ეთნიკურ ჯგუფთან, უმეტეს შემთხვევაში კი ამგვარი დაკავშირება მეტ – ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება. არქეოლოგიურ კულტურას, როცა მისი მატარებელი ეთნოგრაფიული ერთეული უცნობია, სახელწოდება ეძლევა გავრცელების ძირითადი ტერიტორიის (მაგ., მტკვარ–არაქსის კულტურა) ან იმ ძეგლის მიხედვით, სადაც პირველად განისაზღვრა იგი (მაგ., ტრიპოლიეს კულტურა), ანდა არქეოლოგიური კულტურის ამა თუ იმ დამახასიათებელი (განმსაზღვრელი) ელემენტის მიხედვით /ი. გაგომიძე/. **არქეოლოგიური ძეგლები** – ადამიანის მიერ შექმნილი ნივთიერი კულტურის ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიური კვლევების საგანს წარმოადგენენ. არქეოლოგიურ ძეგლს განეკუთვნება ყველაფერი, რასაც ადამიანის არსებობისა და მოქმედების კვალი ატყვია, მაგალითად, ნასახლარები, ნასოფლარები, ნაქალაქარები, სამარხები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მონეტები, სამკაულები და სხვ. არქეოლოგიური ძეგლები შესაძლოა მიწის ზემოთაც აღმოჩნდეს, მაგრამ უპირატესად ისინი მიწითაა დაფარული და მათ გამოსავლენად საჭიროა არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. არსებობს ასევე წყალქვეშმოქცეული არქეოლოგიური ძეგლებიც /ი. გაგომიძე/.

17. **არქეოპოლისი** – (სიტყვასიტყვით ძველი ქალაქი), ეგრისის ძველი დედაქალაქის ციხე–გოჯის ბერძნული სახელწოდება; **იხ. ნოქალაქევი**.
18. **ასი** – (ლათ. as), სპილენძისაგან ჩამოსხმული რომაული მონეტა; წონა – 272,8 გრ.; მონეტის შუბლზე გამოსახულია იანუსი, ზურგზე – გემის ცხვირი. შეიცავს 12 უნციას და იყოფა შემდეგ ერთეულებად: სემისი (6 უნციის ღირებულებისა, შუბლზე – იუპიტერი), ტრინენსი (4 უნცია, შუბლზე – მინერვა), კვადრანსი (3 უნცია, შუბლზე – ჰერმესი), სექსტანსი (2 უნცია, შუბლზე – ჰერმესი) და უნცია (შუბლზე – რომა). ზურგზე ყველა ერთეულს ერთნაირი გამოსახულება აქვს. ასის მოჭრა ძვ. წ. 338 წ. დაიწყო. მიმოქცევაში იყო რამდენიმე საუკუნე.
19. **ასიგნაცია** – (პოლ. asygnacja < ლათ. assignatio – დანიშვნა, დანიშნულება), ქალაქის ფული რუსეთში; პირველად გამოუშვეს ეკატერინე II – ის დროს 1769 წელს, ოსმალეთთან ომით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად. თავდაპირველად უშვებდნენ 100, 75, 50 და 25, ხოლო მოგვიანებით 10 და 5 მან. კუპიურის ასიგნაციას, მოთხოვნისთანავე მათ სპილენძისა და ვერცხლის მონეტაზე ახურდავებდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის სპეციალური საასიგნაციო ზანკები. სისტემატურად იზრდებოდა ასიგნაციის ემისია მზარდი სამხედრო ხარჯებისა და მემამულური მიწათმფლობელობის სისტემის შენარჩუნებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, რაც მათ გაუფასურებდა იწვევდა. პავლე I – ის და ალექსანდრე I – ის მიერ ასიგნაციების ინფლაციის თავიდან ასაცილებლად გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყვეს ასიგნაციების კურსის ამაღლება. რუსული სამხედრო უწყება მთელ იმპერიაში მხოლოდ ასიგნაციებს ხარჯავდა. გამონაკლისი მხოლოდ საქართველო აღმოჩნდა, აქ რუსული ასიგნაციები ვერ დამკვიდრდა: საქართველოში ასიგნაციებს ცნობდა მხოლოდ რუსეთთან კომერციული ინტერესებით დაკავშირებული საქართველოს ვაჭართა მცირე ჯგუფი. ნიკოლოზ I – ის დროს გატარდა ფულის სისტემის ძირითადი გარდაქმნა, შემოიღეს ვერცხლის მონომეტალიზმი, ფულის ერთეულად მიიღეს ვერცხლის მანეთი, რომელიც ასიგნაციის 3 მან. და 50 კაპ. გაუტოლეს; 1818 წ-ს ასიგნაციების გამოშვება შეწყდა; მისი მიმოქცევიდან ამოღება 1847 წლამდე გაგრძელდა, 1849 წლის 1 იანვარს კი ასიგნაციები საბოლოოდ გაუქმდა.
20. **ასლანი** – (თურქ. Aslant – ლომი), ჰოლანდიური ოქროს მონეტა, დუკატის თურქული სახელწოდება. ასლანი გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და საქართველოში.
21. **ასპრი** – (ბერძნ. aspros – თეთრი, ვერცხლი) ტრაპიზონული ვერცხლის მონეტა; მოჭრეს კომნენოსებმა XIII ს - ის 30 – იან წლებში და ცნობილია კომნენოსების ან ტრაპიზონული ასპრის სახელწოდებით; წონა – 2,7 – 3 გრ.; მონეტის შუბლზე გამოსახულია კეისარი, ზურგზე – საკეისროს მფარველი წმ. ევგენიოსი; გამოსახულებებს შესაბამისი ბერძნული ზედწერილები ახლავს. XIV - XV სს - ში ასპრმა ტიპოლოგიური ცვლილება განიცადა – მისი წონა 0,5 გრ - მდე შემცირდა. საქართველოში ასპრი, ე. წ. სავაჭრო მონეტა, გავრცელებული იყო XIII -

XV სს - ში; აღმოჩენილია სოხუმში, ტობანიერში, კოპიტნარში, ვარძიასა და სხვ.. XIII ს-ის II ნახ-ში მისი მიზაძვით მოიჭრა ვერცხლის ფული – კირმანეული თეთრი. ქართულ სიგელ-გურჯებში ასპრი სისხლის საზღაურად იხსენიება /თ. აბრამიშვილი/.

22. **აურეუსი** – (ლათ. aureus nummus), რომაული ოქროს მონეტა. ეპიზოდურად იჭრებოდა რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში. სამონეტო სისტემაში იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 14 წწ.) დროიდან დამკვიდრდა და იჭრებოდა IV ს - ის დასაწყისამდე. თავდაპირველად იწონიდა 8,19 გრ.; აურეუსის წონამ დროთა განმავლობაში შესამჩნევად იკლო. მონეტის შუბლზე მოთავსებული იყო იმპერატორის ან დედოფლის გამოსახულება და შესაბამისი პერსონაჟები, სხვადასხვა სცენები და სხვ.. აურეუსები ფართოდ იყო გავრცელებული ბევრ ქვეყანაში. II-III სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში ის ძირითადი ერთეული იყო. აღმოჩენილია მცხეთაში, ზღუდერში (ქარელის რ-ნი), ერწოში (თიანეთის რ-ნი), ჟინვალში, ურეკსა და სხვ.. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, იჭრებოდა აურეუსების მინაბაძებიც /გ. დუნდუა/.
23. **აფინაჟი** – (ფრანგ. affinage < affiner – გაწმენდა), მაღალი სიწმინდის კეთილშობილი ლითონების მიღების პროცესი, ლითონთა რაფინირების ერთ -ერთი სახეობა; პროცესი ხორციელდება კეთილშობილი ლითონების დაყოფისა და მათგან მინარეკების გამოყოფის გზით. აფინაჟის წესით მიიღება 999,9 –ისა და 996,5 სინჯების ოქრო, პლატინა და სხვ.
24. **აღორძინების ხანა – იხ. რენესანსი.**
25. **აშრაფი** – (არაბ. –სპარს. აშრაფ – კეთილშობილი, ბრწყინვალე), ოქროს მონეტის სახელწოდება სპარსეთში შაჰ-ისმაილ I - ის მეფობიდან (1502-1524 წწ.) 1932 წლის ფულის რეფორმამდე; თავდაპირველად იწონიდა 3,5 გრ.; აშრაფის შუბლზე ეწერა შიიტური რელიგიური სიმბოლო და 12 იმამის სახელი, ზურგზე – შაჰის სადიდებელი ლექსი, მოჭრის ადგილი და თარიღი. იშვიათად იჭრებოდა და უპირატესად მემორიალურ ხასიათს ატარებდა. ცნობილია თბილისის ზარაფხანაში 1747 წელს მოჭრილი 2,69 გრამიანი აშრაფი / დ. კაპანაძე, თ. ქუთელია/.
26. **ბანკის ბილეთი** – ბანკნოტი, ფულის საკრედიტო ნიშანი, რომელსაც უშვებს საემისიო ბანკი და რომელიც ცვლის ლითონის ფულს მიმოქცევაში. ბანკის ბილეთი წარმოიშვა ფულის, როგორც გადახდის საშუალების, განვითარებასთან ერთად; წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად ლითონის ფულის ნაცვლად ნაწილობრივ იყენებდნენ კომერციულ თამასუქს, რომელიც თანდათან შეცვალა ბანკის ბილეთმა. ბანკის ბილეთს უშვებდა თითქმის ყველა ბანკი; ბანკის ბილეთის რეგულირებული ემისია სახელმწიფოს მიერ ინგლისის ბანკის დაარსებით 1694 წელს დაიწყო. 1833 წელს ბანკის ბილეთი ინგლისის ეროვნულ ფულად გადაიქცა და გადახდის საშუალების კანონიერი უფლება მოიპოვა. საფრანგეთში ბანკის ბილეთი ეროვნული ფულის ნიშნად გადაიქცა 1800-1803 წწლებში; გერმანიაში (პრუსიაში) – 1846 წელს და ჰოლანდიაში – 1814-1830 წლებში. ბანკის ბილეთი ოქროზე გადასახურდავებული ვალდებულებაა. ბანკის ბილეთის ოქროზე გადახურდავება კერძო პირს არ შეუძლია.
27. **ბანკნოტი – იხ. ბანკის ბილეთი.**
28. **ბარელიეფი** – (ფრანგ. bas – relief, დაბალი რელიეფი), ქანდაკების სახეობა, რელიეფი, რომელიც სიბრტყიდან თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებად არის გამოწეული. ბარელიეფს ფართოდ იყენებენ არქიტექტურულ ნაგებობებსა და დეკორატიულ ნაკეთობათა მორთულობისათვის. ბარელიეფურ გამოსახულებას ჩვეულებრივ აკეთებენ აგრეთვე ძეგლის კვარცხლბეკზე, სტელაზე, მემორიალურ დაფაზე, მონეტაზე, მედალზე, გემაზე.
29. **ბარათაშვილი მიხეილი (1784-1856)** – ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი; რუსეთში მცხოვრებმა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილმა პირველმა შექმნა ცნობილი შრომა "ქართული ნუმიზმატიკის ისტორია - "ნუმიზმატიკის ფაქტები ანუ ძველი ფულნი საქართველოს სამეფოსანი". მდიდრულად გაფორმებული წიგნი, სადაც მონეტები ქრონოლოგიურადაა დალაგებული და სათანადო ახსნა-განმარტებანი ახლავს, პეტერბურგში გამოიცა ერთდროულად სამ - ქართულ, ფრანგულ და რუსულ - ენაზე 1844 წელს. **მ. ბარათაშვილის „ნარკვევი საქართველოს ისტორიის შესახებ“; მასალები მ. ბარათაშვილის პირადი არქივიდან.**
30. **ბეშლიქი** – XVII – ის თურქული ვერცხლის მონეტა; იჭრებოდა თბილისშიც. **იხ. ონლიქი.**
31. **ბილიონი** - (ფრანგ. billion – დაბალსინჯიანი ვერცხლი), გაცვლითი მონეტის მოსაჭრელი დაბალი სინჯის ვერცხლი.

32. **ბილონური მონეტა** – არასრულფასოვანი ლითონის მონეტა, რომლის ნომინალური ღირებულება აღემატება შემცველი ლითონის ღირებულებასა და მოჭრის ხარჯს. ბილონური მონეტა ღირებულების ნიშანია და მიმოქცევაში ცვლის სრულფასოვან ოქროსა და ვერცხლის ფულს; მას ჩვეულებრივ დაბალი სინჯის ვერცხლის ან სპილენძის, ნიკელის, ალუმინისა და მათი შენადნობებისაგან ჭრიან. 1933 წლიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მხოლოდ ბილონური მონეტები მიმოიქცევა.
33. **ბიმეტალიზმი** - ფულადი სისტემა, რომლის პირობებში საყოველთაო ეკვივალენტის როლი კანონმდებლობით მიკუთვნებული აქვს ორ კეთილშობილ ლითონს – ოქროსა და ვერცხლს. ორივე ლითონისაგან მოჭრილი მონეტები შეუზღუდავად ასრულებენ ფულის ყველა ფუნქციას თანაბარი პირობებით. ბიმეტალიზმი, როგორც ფულადი სისტემა, შუა საუკუნეებში დამკვიდრდა; ცნობილია მისი ორი სახეობა: პარალელური ვალუტის სისტემა და ორმაგი ვალუტის სისტემა. პარალელური ვალუტის სისტემის არსებობისას ოქროსა და ვერცხლის ფასების შეფარდება (პარიტეტი) მყარდება სტიქიურად, მათი საბაზრო ღირებულების შესაბამისად. ეს სისტემა ახასიათებდა ადრეულ პერიოდს. იგი მოუხერხებელი იყო ანგარიშსწორებისათვის, რადგან ოქროსა და ვერცხლის თანაფარდობა და ე. ი., საქონელთა ფასები სისტემატურად იცვლებოდა. ორმაგი ვალუტის სისტემის არსებობის პირობებში კი პარიტეტს ოქროსა და ვერცხლს შორის აწესებდა მთავრობა; მაგ., ევროპის ქვეყნებში 1865 წელს ეს თანაფარდობა შეადგენდა 1: 15,5. ბიმეტალიზმი არ პასუხობს განვითარებული სასაქონლო წარმოების მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება ფულის ბუნებას, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტის როლი. ბიმეტალიზმის წინააღმდეგობრივმა ხასიათმა და მერყეობამ, ასევე ვერცხლის წარმოების ზრდამ და აქედან გამომდინარე მისი ღირებულების შემცირებამ (ვერცხლისა და ოქროს შეფარდება იყო 1880წ. – 1:18, 1907წ. – 1: 40) და სხვა ფაქტორებმა XIX ს-ის დასასრულიდან ოქროს მონომეტალიზმზე გადასვლა გამოიწვია.
34. **ბიმეტალური მონეტა** – (ბიმეტალი – ორლითონი), ლითონის ორი შრისაგან შემდგარი შენადნობით დამზადებული მონეტა.
35. **ბისტა** – იგივე ბიშტი, სეფიანთა ირანში XV ს - ის ბოლოს შემოდებული სამონეტო სისტემის უმცირესი ნომინალი; ნომინალური წონა – 0,93 გრ.; ჭრიდნენ ვერცხლისა და სპილენძისაგან სადღესასწაულო დღეებში მოწყალების გასაცემად. მოხსენიებულია ქართულ წყაროებშიც /ირ. ჯალალანია/. - უკნინესი ვერცხლის მონეტა; საქართველოში მეტად გავრცელებული საანგარიშო ერთეული XVII-XVIII სს-ში, შაური ორნახევარ ბისტს უდრიდა; 1637 წლის მოგზაურობის დროს ოლეარიუსი შაურის შემდეგ ბისტს ახსენებს /დ. კაპანაძე/. **იხ. ქართული ფულუნი.**
36. **ბონი** – (ფრანგ. bon < ლათ. bonus – კარგი, მოხერხებული), 1. ხელისუფლების, მუნიციპალური ორგანოს ან საწარმოს მიერ გამოშვებული ლითონის ან ქაღალდის დროებითი ფული, მოკლევადიანი სავალო ვალდებულება; 2. მიმოქცევიდან ამოღებული საკოლექციო დანიშნულების ქაღალდის ფული; ქაღალდის ფულის ნიშნები, მონეტების მსგავსად, სახელმწიფო დოკუმენტებია. ბრუნვაში გამოშვებისას ემიტენტი (ემისიის განმახორციელებელი) მათში ერთგვარად თავის იდეოლოგიასაც გამოხატავს ემბლემების, დევიზების, ტექსტების, ბეჭდების, ნახატების, ორნამენტებისა და ა. შ. საშუალებით. მათი ძირითადი ელემენტებით ბონისტები განსაზღვრავენ გამოშვების ადგილსა და დროს, ბრუნვის ტერიტორიას, გამომშვებს. ამასთანავე მეცნიერები იკვლევენ ბონის, ე. წ. ძირითად ნიშნებს: ემბლემატიკას (ემბლემებს, გერბებს და სიმბოლურ ნიშნებს); პალეოგრაფიას (ტექსტებს, წერილობით ნიშნებს, ორთოგრაფიას); სფრაგისტიკას (ბეჭდებს, შტამპებს, ასევე პერფორაციასა და კონგრეგებს ანუ ბონების სწორზაზოვანი ნახვრეტების რიგით გაჭრისა თუ ერთდროულად რამდენიმე ფერში ბეჭდვის მექანიზმს); ქრონოლოგია (თარიღებს); მეტროლოგიას (შეფარდებებს მსხვილ კუპიურებსა და მის განაყოფებს შორის); ორნამენტალისტიკას (გრაფიკულ და ფერწერულ გაფორმებას); იკონოგრაფიას (პორტრეტულ გამოსახულებას); ჰვირნიშნებსა და მასალას, რაზედაც ფულის ნიშანია დამზადებული, ე. ი. მის საფუძველს; ფილატელისტიკას (მარკებს ფულად ნიშნებზე); ეპიგრაფიკას (გვიანდელი წარმოშობის დანაბეჭდებს). **საქართველოში მიმოქცევად ბონებს** შორის შემდეგ ძირითად ჯგუფებს გამოყოფენ: ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები – 1918-1919 წწ.; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები – 1919-1921 წწ.; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბონები – 1922 წ.; ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონები – 1923 – 1924 წწ.; საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული ქაღალდის ფულადი სუროგატები - 1918-1924 წწ.; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონები 1993 – 1995 წწ.; საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი – 1995 წლიდან დღემდე. XX ს-ის 20-იან წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბონების პარალელურად მიმოიქცეოდა რუსეთის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები, რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები და ოსმალური ლირა /ნ. ჯავახიშვილი/.
37. **ბონისტიკა** – (ფრანგ. Bonistique), ისტორიის ერთ-ერთი დისციპლინა. შეისწავლის ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ბონებს, რომლებიც ისტორიულ ობიექტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ: ასახავენ თანადროულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს (ომებს, პარტიათა ბრძოლას, ხელისუფალთა

შეცვლას, მმართველი კლასების იდეოლოგიას და სხვ.). ბონისტიკა XX ს-ის დასაწყისში წარმოიშვა და მჭიდროდ უკავშირდება ნუმიზმატიკას.

38. **ბორჯღალი** – ბორჯღალი ერთ–ერთი უძველესი სიმბოლოა, რომელიც სრულიად განსხვავებულ კულტურებში დამკვიდრდა. ბორჯღალი წრიული ფორმის მრავალფეროვანი გამოსახულებაა. წარმომავლობით ეს არის თავისი ღერძის ირგვლივ დატრიალებული სვასტიკური ჯვარი – საკმარისია სვასტიკას (უძველესი ინდო – ირანული სოლარული სიმბოლო) თუნდაც ერთი ფრთა მიემატოს, ის ბორჯღალად იქცევა. ბორჯღალის მზიური სიმბოლიკითაა გაჯერებული ქართული ორნამენტიკა. ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც XX ს–ის მიწურულს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ ძველთაძველმა ეროვნულმა სიმბოლომ ახალი სიცოცხლე შეიძინა და არაერთ ემბლემაში წარმოჩნდა – ქართული ფულის ნიშნები, საქართველოს მოქალაქის პასპორტი და სხვ. /ზ. კიკნაძე/.
39. **ბოტინატი** – (ბოტანატი, პოტინატი, ვოტანიატი), მკვლევართა ერთობლივი განსაზღვრით ის ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) ნომისმაა; ის იყო საქართველოში გადახდის საშუალება. ქართულ წყაროებში დამოწმებული ბიზანტიური მონეტების ზედსახელებია: კონსტანტინატი, მიხაილატი, დუკატი, რომანატი, ექუსთავი (სკიპტრატი), დუკატ-მიხაილატი, ბოტინატი და სხვ. მათი ნაწილი გვხვდება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ (ათონის ივერიის და პეტრიწონის მონასტრებში) შექმნილ წერილობით ძეგლებში და საინტერესოა მხოლოდ ბიზანტიური ნუმიზმატიკისათვის /გ. დუნდუა/.
40. **ბრინჯაო** – სპილენძის შენადნობი სხვადასხვა ქიმიურ ელემენტთან, უმთავრესად ლითონთან: კალასთან (კალიანი ბრინჯაო), ალუმინთან (ალუმინიანი ბრინჯაო) და სხვ.; ბრინჯაოს არ უწოდებენ მხოლოდ სპილენძისა და თუთიის (თითბერი), აგრეთვე სპილენძისა და ნიკელის შენადნობებს. უძველესია კალიანი ბრინჯაო. მისი დამზადება და გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ ახ. წ. აღ–მდე 3000 წლის წინ იცოდა. შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში სპილენძს სხვადასხვა რაოდენობით უმატებდნენ დარიშხანს, სტიბიუმს, ტყვიას, თუთიას, მაგრამ ყველაზე გავრცელებული მაინც კალიანი ბრინჯაო იყო. ვარაუდობენ, რომ საქართველოში ბრინჯაოს დამზადება და გამოყენება ახ. წ. აღ–მდე დაახლოებით 2000 წლის წინ დაუწყიათ. ბრინჯაოს საუკეთესო ჩამოსხმითი თვისებების წყალობით შესაძლებელი ხდება ნებისმიერი მოდელის უფაქიზესი დეტალების რეპროდუქცირება. ბრინჯაო მკვრივია, ოქსილირების შედეგად იძენს მუქ ფერს (ბუნებრივ პატინას) (**იხ. პატინა**), ადვილია მისი ქიმიური ტონირება (პატინირება), მოოქროვება, მოჭედვა და გრავირება, რაც ნაკეთობათა ფერისა და გამრავალფეროვნების საშუალებას იძლევა. ბრინჯაო ფართოდ გამოიყენება სამონეტო საქმიანობაში.
41. **ბრინჯაოს ხანა** – საზოგადოების განვითარების ისტორიულ–კულტურული პერიოდი, როცა საბრძოლო და სამუშაო იარაღების დასამზადებელი ძირითადი მასალა იყო ბრინჯაო. ბრინჯაოს ხანას წინ უსწრებდა ენეოლითი. ბრინჯაოს ხანა მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდს მოიცავდა. ბრინჯაოს უძველესი (ძვ. წ. IV ათასწლ.) ნაწარმი აღმოჩენილია სამხრეთ ირანში, თურქეთსა და შუამდინარეთში. ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოდან ბრინჯაო გავრცელდა ეგვიპტეში, III ათასწლეულის ბოლოდან – ინდოეთში, II ათასწლეულიდან – ევროპაში, II ათასწლეულის შუახანიდან – ჩინეთში. ამერიკაში ბრინჯაოს ხანას დამოუკიდებელი ისტორია აქვს; იქ მეტალურგიული ცენტრი პერუსა და ბოლივიის ტერიტორიაზე იყო (VI-X სს. ე. წ. გვიანი ტიუანაკოს კულტურა). ცენტრალურ აფრიკაში ბრინჯაოს წარმოების დამოუკიდებელი კერები უნდა აღმოცენებულიყო არა უგვიანეს ძვ. წ. I ათასწლეულისა. ბრინჯაოს ხანაში განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი ისტორიული განვითარების უთანაბრობამ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (შუამდინარეთი, ელამი, ეგვიპტე, სირია) ვითარდებოდა კლასობრივი საზოგადოებები და უძველესი სახელმწიფოები. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში მწარმოებლური მეურნეობის ამ ცენტრებს გარეთაც გავრცელდა და შეიქმნა ახალი ცივილიზაციები: ჰარაფის კულტურა ინდოეთში, ინის სახელმწიფო ჩინეთში, ხურიმითანის, ხეთებისა და სხვ. სახელმწიფოები წინა აზიაში; კრეტა – მიკენის კულტურა ევროპაში. ევრაზიის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი ბრინჯაოს ხანაში იყო კავკასია. ბრინჯაოს ხანა აქ სამ ეტაპად იყოფა: ადრინდელი (ძვ. წ. III ათასწლ.), შუა (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) და გვიანდელი (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.). კავკასიაში გამოიყოფა ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თავისებური მატერიალური კულტურები: კოლხეთის დაბლობზე, ჩრდ.– დას. კავკასიაში (ე. წ. მაიკოპის კულტურა) და ე. წ. მტკვარ–არაქსის კულტურა, რომელიც ძირითადად გავრცელებული იყო ცენტრ. და აღმ. ამიერკავკასიაში. შუა ბრინჯაოს ხანაში კავკასიაში რამდენიმე დამოუკიდებელი კულტურა იქმნება: თრიალეთის, სევან – უზერლიქის, თაზაქენტ – ყიზილვანქის, დას. საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის კულტურები. ფიქრობენ, რომ ამ დროს იქმნებოდა ტომთა დიდი კავშირები, რომლებსაც ეს ცალკეული კულტურები შეესაბამებოდა. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მასალები კავკასიაში ორგანულად უკავშირდება როგორც წინამორბედ, ისე მომდევნო პერიოდის ძეგლებს და ადგილობრივი კულტურის განვითარების ერთ – ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში კავკასიაში მოხდა დიდი სამეურნეო და სოციალურ – პოლიტიკური ძვრები. საწარმოო ძალთა და წარმოების საშუალების განვითარების ერთ – ერთი ძირითადი შედეგი იყო რკინის აღმოჩენა და ათვისება (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ.), რამაც რევოლუციური როლი

შეასრულა საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მოხდა შრომის მესამე დანაწილება. ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. გაცხოველდა აღებ – მიცემობა. გაღრმავდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი, მომზადდა საფუძვლები კლასობრივ საზოგადოებათა ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოების შექმნისათვის /ვ. ფიცხელაური, ი. გაგომიძე/.

42. **გაცვლითი მონეტა** - მცირე საქონელბრუნვისთვის განკუთვნილი მონეტა; იჭრებოდა უმეტესად დაბალი სინჯის ვერცხლით ან უბრალო მეტალით.
43. **გერბი** – (< გერმ. Erbe – მემკვიდრეობა), ემბლემა, მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავენ. გერბები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: სახელმწიფო გერბი, სამიწაწყლო გერბი – შუა საუკუნეების ამქრების; საგვარეულო გერბები – თავადაზნაურული და ბურჟაზიული გვარების. გერბი სპეციფიური ისტორიული წყაროა, რომელსაც დამხმარე ისტორიული დისციპლინა – ჰერალდიკა შეისწავლის. გერბი გამოსახულია დროშაზე, მონეტებზე და სხვ. საქართველოში უძველესი დროიდან იქმნება ებლემები (ლომი, გველეშაპი, მთვარის ღვთაება – შემდეგში წმ. გიორგი, ჯვარი წრეში და სხვ.), რომლებმაც შემდეგ ჰერალდიკური მნიშვნელობა მიიღეს. XVI ს-ის საბუთებში არის სამეფო საბეჭდავის საგერბო ანაბეჭდი; ვახტანგ VI-ის დროშაზე (1711წ.) გამოსახულია ბაგრატიონთა გერბის ემბლემები, დაკავშირებულია ბიბლიური მეფის დავითის ლეგენდასა და სვეტიცხოვლის თქმულებასთან; XVII-XVIII საუკუნეებისა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსთა საბეჭდავები სვეტიცხოვლის თქმულების ამსახველი ემბლემით. ვახუშტის ნაშრომში მოთავსებულია ქართული სამეფოებისა და სამთავროების გერბები.
44. **გვირგვინი** – მონარქიული ხლისუფლების სიმბოლო – ძვირფასი ლითონისაგან (უმთავრესად ოქროსაგან) დამზადებული, პატიოსანი თვლებით მოჭედული თავსამკაული. გვირგვინს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა – დიადემა, ქუდი, შარავანდი, ფოთლებიანი თუ დაკბილული სალტე. არსებობდა ჯერ კიდევ ძველ სამყაროში – შუმერში, ძველ ეგვიპტეში, ძველ რომსა და ა. შ.; ფეოდალურ ევროპაში XI ს – ში გვირგვინის მფლობელის ტიტულის შესაბამისად დადგინდა გვირგვინის სხვადასხვა ფორმა (საიმპერატორო, სამეფო, სამთავრო, საჰერცოგო, საგრაფო და სხვ.). გვირგვინს ძველ საქართველოშიც სხვადასხვა მოყვანილობა ჰქონდა. მისი ფორმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გვირგვინის სიმბოლიკა უმეტესად წარქმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის ჰერალდიკასა და სახელმწიფოებრივ ატრიბუციაში, გვხვდება ასევე საფასეებზეც. გვირგვინის სიმბოლიკა გამოყენებული 1804–1834 წლის რუსულ – ქართულ ფულზე.
45. **გიორგაული თეთრი** - ვახტანგ VI - ის მიერ შემოღებული ტერმინი, რომლის საფუძველზეც ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს გიორგი ბრწყინვალის (1314 -1346 წწ.) ბრძანებით მოიჭრა ქართული ეროვნული მონეტა. ვახტანგ VI ემყარებოდა ბექა -აღბუღას სამართალს, რომელშიც ნახსენებია “გიორგის ჟამის თეთრი”. ეს ტერმინი კი გულისხმობს საქართველოში ელხანების სახელით მოჭრილ მონეტას. 1355 წლამდე საქართველოს ზარაფხანებში სხვა მონეტები არ იჭრებოდა /გ. დუნდუა /. XIV ს-ის I ნახ -ში ჩნდება გიორგაული, რომელიც მალე გამქრალა; გიორგი ბრწყინვალის დროს გაჩენილი ეს სამონეტო ტიპი ჯერჯერობით არაა საბოლოოდ გარკვეული. თ. ლომოურის აზრით, ამ ტერმინს ხმარობდნენ იმ დროს საქართველოში გავრცელებული ელხანური ფულის აღსანიშნავად; ბრწყინვალე მეფის მმართველობის დროს საქართველოში იჭრებოდა ელხანური ყაიდისა და ამის მსგავსი ეროვნული ხასიათის მონეტები, ტერმინი გიორგაული მათზეც ვრცელდება /დ. კაპანაძე/.
46. **დავითის მონეტა** – ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია სპილენძის უნიკალური მონეტა, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოჭრა მას შემდეგ, რაც სელჩუკებისაგან გაანთავისუფლა და საქართველოს შემოუერთა რანი, (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) და სომხეთის ბევრი ქალაქი, მათ შორის ყოფილი დედაქალაქი – ანისი (1123 წ.). მონეტაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მეფე ბიზანტიურ საიმპერატორო სამოსში და მოცემულია ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურა: “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა”. მონეტა ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას: საქართველო იმ დროს წინა აზიის ერთ – ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფო იყო.
47. **დავით ბატონიშვილის მონეტა** – სპილენძის უნიკალური ქართული მონეტა, მოჭრილი ერეკლე II – ის შვილიშვილის დავით გიორგის ძის გამგებლობის დროს. მონეტის შუბლზე გამოსახულია ფარშავანგი, ქვემოთ კი თარიღი – ჰიჯრით 1215 (1800/1801 წწ.); ზურგზე ჩარჩოში ჩასმულია ოთხი ქართული ასო – ნიშანი „ტფლს“ (ტფილისი). მ. ბარათაშვილის კოლექციასთან ერთად დაცულია ბერლინის მუზეუმში /გ. დუნდუა/.
48. **დამცავი ნიშნები** - ფალსიფიცირებისაგან ბანკნოტების დამცავ ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა: ქალაქის სპეციფიური ხასიათი (ფეროვნება, ჭვირნიშნები, ფერადი ბოჭკოები და ლითონისებრი ზოლები, ეს უკანასკნელი ეხმარება ელექტრონულ დამახარისხებელ აპარატს მუშაობისას), პოლიგრაფიული თავისებურებანი (ფერადი ბეჭედი, ქალაქი ცხავისებური ნახატით, გრაფიკოსთა და მბეჭდავთა

პროფესიონალური ნამუშევარი, ფაქსიმილეთა რეპროდუქცია, ბანკნოტთა ნუმერაცია) და დამდათა სპეციფიკაცია.

49. **დამდა** – ქვეყნის დაპყრობის, ვაჭრობის ან ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად შემოსულ მონეტებს ადგილობრივი მმართველები ზოგჯერ საკუთარ კონტრამარკას, ე. წ. დამდას (დანაბეჭდის), არტყამდენ და ამ იოლი და მარტივი ტექნიკური ხერხით უცხო მონეტას საკუთარ მონეტად აქცევენ. ეს ხერხი საქართველოში მიღებული იყო XII – XIII და XVIII სს–ში /დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა/; მონეტის დადამდა ანტიკური დროიდანვე იყო მიღებული. მონეტის დადამდას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: წინამორბედის მიერ გამოშვებულ და უკვე ბრუნვიდან გამოსულ „მკვდარ მონეტას“ ამ გზით აცოცხლებდნენ, ან უცხოურ მონეტას დამდავდნენ საკუთარი ფულის ნიშნად გამოსაცხადებლად, ან რეალური ღირებულების ნომინალის ასაწევად. ეს მარტივი ხერხი ცხადია, საგრძნობლად ამცირებდა ახალი მონეტის გამოშვების ხარჯებსაც. XII ს–ის დასაბრუნებულ ჩვენში შემოღებული დადამდას წესი, დ. კაპანაძის აზრით, მონეტაზე ორივე ჯგუფზე ვრცელდებოდა: არაწესიერად მოჭრილი მონეტებისათვის ერთი სახის პუნსონებს ხმარობდნენ, ხოლო წესიერად მოჭრილი მონეტებისათვის – მერე სახისას. დარღვევა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდებოდა. უმთავრესად დადამდალი თამარის, ლაშა–გიორგისა და რუსუდანის მონეტები. დემეტრე I–ის, გიორგი III–ისა დავით ნარინის მონეტები – იშვიათ შემთხვევაში. ქართული კონტრამარკებით უცხო მონეტების დადამდას შემთხვევები შედარებით ხშირი მოვლენაა. XII – XIII სს–ში საქართველოში გავრცელებული სელჩუკური, შარვანული, ილდეგიზიდური და ბიზანტიური სპილენძის მონეტების გარკვეული ნაწილი ქართული დამდაებითაა აღბეჭდილი. /გ. დუნდუა/.
50. **დანგი** – (არამეულად მარცვალი), ფულისა და წონის ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და შუა საუკუნეების საქართველოში. ქართულ წყაროებში დანგი, როგორც ფულის ერთეული IX ს - დან გვხვდება, ხოლო როგორც წონის ერთეული XI ს - დან /ირ. ჯალაღანი/.
51. **დემეტრა** – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი. ხშირად გამოსახავდნენ რომის პროვინციის საქალაქო ტიპის მონეტებზე, რაც კეთილდღეობასა და მშვიდობიან ცხოვრებაზე მიუთითებდა. გამოსახულია ასევე 1963 წელს ბიჭვინთაში აღმოჩენილ ქ. პაუტალიაში რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსისა (138–161 წწ.) და ქალაქის მმართველის პომპიუს ვოპისკუსის სახელით მოჭრილ ბრინჯაოს უნიკალურ მონეტაზე (მედალიონი).
52. **დემონეტიაზაცია** – (დე – ლათ. de, თავსართი, რომელიც აღნიშნავს: 1. გამოყოფას, მოშორებას, უკუგდებას; 2. დადამდავებას, დაქვეითებას), სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მონეტისათვის მიმოქცევისა და გადახდის საშუალებათა კანონიერი ფუნქციის ჩამორთმევა; მონეტის ხმარებიდან ამოღება, რასაც განაპირობებს რემედიუმის მკვეთრი გადახრა. მონეტა, რომელმაც დემონეტიაზაცია განიცადა, თავის ღირებულებას ინარჩუნებს მხოლოდ მასში შემავალი ლითონის (წონის მიხედვით) ღირებულების რაოდენობით. დემონეტიაზაცია ჩვეულებრივ, ფულის სისტემის შეცვლის დროს ტარდება; მაგ., მონეტის ლითონის გაუფასურებისა და სხვა სავალუტო ლითონზე გადასვლისას.
53. **დენარი** – (ლათ. denarius – ათნაწილიანი), ვერცხლის მონეტა, რომელიც სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი; მოჭრა დაიწყო ძვ. წ. 269 წ - ს; შუბლზე უმთავრესად გამოსახულია იმპერატორის ან დედოფლის დაფნისგვირგვინიანი პროფილი; ზურგზე სხვადასხვა მითოლოგიური სცენები, სიუჟეტები რომის იმპერიის ცხოვრებიდან და სხვ.; თავდაპირველი წონა – 4,55 გრ; დროთა განმავლობაში გატარებული რეფორმების შედეგად წონა და სინჯი დაეცა; II ს - ის დასასრულისათვის დენარის შემადგენლობაში 50% სპილენძი იყო. მისი დანაყოფებია კვინარიუსი (2,275 გრ.) და სესტერციუსი (1,137 გრ.). რომის რესპუბლიკის ხანის დენარი საქართველოში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი (თბილისი, კავთისხევი, ნაზოდელავო და სხვ.). I-II სს - ში დენარი წამყვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში და მრავლადაა აღმოჩენილი მცხეთაში, ზღუდერში, სეფიეთში, ეკსა და სხვ. /გ. დუნდუა/.
54. **დიოსკურია** – (ბერძნ. Dioskurias), ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე (ახლანდ. ქ. სოხუმის ადგილზე); დააარსეს ბერძენმა მოახალშენებმა. მილეტელებმა, ძვ. წ. VI ს – ში. დიოსკურია მეზობელ ხალხებთან ვაჭრობდა მარლით, პირუტყვით, ცვილით, პურით, მონეტით. ახ. წ. I ს – ში რომის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ამ დროს აშენდა ციხესიმაგრე, რომელშიც რომაელთა მუდმივი გარნიზონი იდგა, ქალაქი კი სებასტოპოლისი ეწოდა. დიოსკურიის აყვავების ხანა იყო ახ. წ. II-III სს – ში; IV ს – ში იწყება მისი დაქვეითება; ციხესიმაგრე არსებობდა VI ს – მდე. ზღვის ნაპირის დაწვევისა და ზღვის შემოჭრის შედეგად დიოსკურიის ნანგრევები ამჟამად სოხუმის ყურის ფსკერზეა. ძვ. წ. II ს – ის ბოლოს, როდესაც კოლხეთის სანაპირო პონტოს სამეფოში შედიოდა, დიოსკურიაში იჭრებოდა ე. წ. საქალაქო მონეტები.

55. **დიოსკურიის საქალაქო მონეტა** – ძვ. წ. II-I სს - ში შავი ზღვისპირა ქალაქ დიოსკურიაში (სოხუმი) იჭრებოდა სპილენძის საქალაქო მონეტა, რომელზეც ქალაქის ეპონიმების, ტყუპი ძმების – დიოსკურების ქუდების გამოსახული. მონეტების წონა 1,3გრ. – 6,14 გრ. მერყეობს, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დიოსკურიაში რამდენიმე ნომინალს – ხალკი, დიხალკი, ტეტრახალკი – ჭრიდნენ.
56. **დირჰემი** – იგივე დირჰამი, ძველი არაბული ვერცხლის მონეტა. ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან (იხ. დრაქმა); იჭრებოდა 698-699 წწ - დან; მისი წონა VII ს - ის ბოლოსათვის - 2,97 გრ.. დირჰემის შუბლზე ქუფური შრიფტით წარწერილი იყო რელიგიური ფორმულა და ცნობები ზარაფხანისა და მოჭრის დროის შესახებ; ზურგზე – ყურანის სურები. ამგვარი დირჰემი იჭრებოდა არაბთა სახალიფოს ყველა ზარაფხანაში, ჰიჯრის 85 (704-705 წწ.) დირჰემი თბილისის ზარაფხანაშიც მოიჭრა. VIII ს - დან არაბულმა (ქუფურმა) დირჰემმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო სისტემაში; ის მრავლადაა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრებისას. ძველ ქართულ წყაროებში ვერცხლის ფულის, ანუ არაბული დირჰემის, აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი დრამა /იხ. ჯალაღანია/.
57. **დონატიური მონეტა** – პრივილეგირებული წრის ან პირისათვის სასაჩუქროდ მოჭრილი ან განკუთვნილი მონეტა.
58. **დრამა** – ვერცხლის ფულის ერთეული; XIII ს - დან XV ს - მდე ეს ტერმინი თავისი მნიშვნელობით ბერძნულ დრაქმას და შემდეგ არაბულ დირჰემს უდრიდა. დრამა და თეთრი გარკვეული პერიოდი ერთდროულად იხმარებოდა (იხ. დირჰემი) /დ. კაპანაძე/.
59. **დრაქმა** – (ბერძნ. drachme), ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში; ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი. მისი წონა – 4.366 გრ.; აქვს დანაყოფები: ტრიობოლი ანუ ჰემიდრაქმა (დრაქმის 1/2), ობოლი (დრაქმის 1/6) და სხვ.
60. **დრაჰკანი** – ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI - XVI სს - ის ქართულ წყაროებში. იმის მიხედვით, თუ რომელი მმართველისა იყო დრაჰკანი, იხმარებოდა ტერმინები “დრაჰკანი კონსტანტინატი” – ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე X - ის ოქროს მონეტა, “დრაჰკანი დუკატი” – მიქაელ VII დუკას ოქროს მონეტა და ა.შ. /გ. დუნდუა/; - ოქროს ფულადი ერთეულის ამსახველი ტერმინი XI ს - ში. ბიზანტიური ფულის ნიშანდობლივი ერთეულის აღსანიშნავად ამ ტერმინს ხშირად სხვა სიტყვასაც უმატებდნენ, მაგ., დრაჰკანი კონსტანტინატი, დრაჰკანი დუკატი და სხვ.; ტერმინი დრაჰკანი ფულის აღმნიშვნელ ტერმინად XV - XVI საუკუნემდე შემორჩენილა /დ. კაპანაძე/; - ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინი დარეჰკანი, ე.ი. დარიოსის. ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ იბერებს აქამენიდური ფული სცოდნიათ, და კონკრეტული ოქროს მონეტის ტერმინის ნატურალიზაცია მოუხდენიათ /თ. დუნდუა/.
61. **დროშა** – ეგვიპტესა და ბევრ სხვა ისტორიულ ქვეყანაში მოძიებული არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ალამი იმ ტოტემური ემბლემიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც დროთა განმავლობაში შტანდარტად იქცა, ხოლო ბოლოს დროშად. სპარსელები გრძელ ტარზე წამოცმულ მოოქროვილ არწივებს ატარებდნენ; მიდიელები – სამეფო გვირგვინებს; პართიელები – მახვილის პირს; ბერძნებსა და რომაელებთან ხმარებაში უკვე სამხედრო ემბლემაც კი იყო – შტანდარტები და დროშები. საერთო მათ ის ჰქონდათ, რომ აუცილებლად თვალსაჩინო ადგილას უნდა ყოფილიყვნენ აღმართულნი. დროშის ზეაქულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიმბოლოს მნიშვნელობისათვის. დროშა დღევანდელი გაგებით ანუ ტარზე დამაგრებული ნაჭერი ემბლემატური გამოსახულებით, ბერძნებმა და რომაელებმა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გადმოიღეს. თანამედროვე დროშის ისტორიული პროტოტიპი პირველად გამოიყენა ჩინელმა იმპერატორმა ჯოუმ (ჩვ. წ. ა - მდე XII ს - ში). IX საუკუნისათვის დროშა მთელ ევროპაში გავრცელდა, ხოლო XII ს - დან, ჰერალდიკის როგორც მეცნიერების წარმოშობასთან ერთად, დაიხვეწა დროშის სიმბოლიკა და კლასიფიკაცია. ამ დროიდან უკვე არსებობს სამეფო, სახელმწიფო, ცალკეული საგრაფოებისა და სამთავროების, სამხედრო, საზღვაო დროშები და ალმები /ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი/.
62. **დუკატი** – (ლათ. dukatus), XII-XIX სს-ის ევროპული მონეტა. ვერცხლის დუკატი პირველად მოჭრა სიცილიის სამეფოს მეფემ როჯერ II-მ 1140 წ.; ვენეციაში დოჟმა ჯოვანი დანდოლომ 1283/84 წელს დაიწყო ოქროს დუკატის მოჭრა; წონა – 3,559 გრ.; შუბლზე გამოსახულია ვენეციის რესპუბლიკის მფარველი წმ. მარკოზი, რომელიც მუხლმოყრილ დოჟს გადასცემს ალამს; ირგვლივ ლათინური ზედწერილია: “წმინდა მარკოზი ვენეციისა”, მარჯვნივ – დოჟის სახელი და გვარი, ალმის ტარის გასწვრივ – წარწერა “ჰერცოგი”. ზურგზე გამოსახულია ვარსკვლავებით გარშემოვლებული ქრისტე და წრიული ზედწერილი: “ქრისტე! საჰერცოგო, რომელსაც განაგებ, დეე, გებოდოს შენ”. ოქროს დუკატი სწრაფად გავრცელდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში და XIV ს-დან საერთაშორისო ფულადი ერთეული გახდა. XIV ს-დან ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ტიპის დუკატი იჭრებოდა. რუსეთში დუკატს ჭრიდნენ 1701-1855 წწ-ში; ეწოდებოდა – ჩერვონეცი, იწონიდა - 3,6 გრ.; ვენეციაში დუკატს ცეხინი ეწოდებოდა. XV-XVIII სს-ში საქართველოში ხმარობდნენ ვენეციურ, ჰოლანდიურ და უნგრულ დუკატებს, რომელთაც უწოდებდნენ

ფლურს, ჰოლანდიურ დუკატებს კი – ასლანსაც, რომლებიც მთელი XVII და XVIII საუკუნეების მანძილზე აქ დარჩა ოქროს ძირითად საფასედ. მათთან შედარებით ოსმალურ და, მით უმეტეს, ირანულ ოქროს გაცილებით მოკრძალებული ადგილი ეკავა საქართველოს ფულად მიმოქცევაში. მაღალსინჯიანი ოქროსაგან ნაჭედი ჰოლანდიური დუკატები საქართველოში უპირატესად ოსმალეთის გავლით შემოდიოდა და იქიდანვე შემოჰყვა მას სახელიც “ზაჯალო”, რაც დუკატს ეწოდა მასზე გამოსახული ტანმადალი მეომრის გამო (თურქულად ზაჯალო ნიშნავს გრძელფეხას, აყაყუდას). მოგვიანებით ეს სიტყვა ქართულში მაღალი სინჯის ოქროს ზოგად სახელად იქცა დუკატები აღმოჩენილია ლეხურის ხეობაში, ქუთაისში, ანანურში (დუშეთის რ-ნი), ახალსოფელსა (სოხუმის რ-ნი) და ირაგაში (თეთრი წყაროს რ-ნი) /რ. ქებულაძე/.

63. **ეკელი, იოსებ ილარი (1737-1798 წწ.)** – ნუმიზმატიკური მეცნიერების მამამთავარი, რომელიც წლების განმავლობაში ვენის საიმპერატორო ნუმიზმატიკური კაბინეტის მცველი იყო. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში “მეცნიერება ძველებური მონეტების შესახებ” (ტ. 1-8, 1792-1798 წწ.) დაასახულა, რომ ნუმიზმატიკა ცოდნის გარკვეული სისტემა და მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია.
64. **ელექტრუმი** – ვერცხლისა და ოქროს შენადნობი, ელექტრუმისაგან დამზადდა ლიდიამი მოჭრილი პირველი მონეტები; ძველ მსოფლიოში იგი ფართოდ გამოიყენებოდა სამონეტო საქმიანობაში.
65. **ელინიზმი** – (ძვ. წ. IV – I სს.), პირობითი ცნება, აღნიშნავს გარკვეულ ისტორიულ ეპოქას, რომელიც მოიცავს პერიოდს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის წარმოქმნიდან (ძვ. წ. 334–324 წწ.) რომელთა მიერ არმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის უკანასკნელი დიდი სახელმწიფოს – ეგვიპტის – დაპყრობამდე (ძვ. წ. 30 წ.). ელინიზმი ბერძნულიდან წარმომდგარი ტერმინია და პირველად მეცნიერებაში დროიზენმა დაამკვიდრა; ანტიკური ხანის ავტორებთან ელინისტი ჩვეულებრივ ეწოდებოდა არაელისს, ვინც სწორად მტყულებდა და წერდა ბერძნულად. თუ ძველად „ელინი“ ბერძნების საერთო სახელი იყო, ელინიზმის ხანაში აღმოსავლეთში მან ეთნიკური მნიშვნელობა დაკარგა და საზოგადოების პრივილეგიებული ფენის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. აღმოსავლეთისათვის ელინიზმი იყო წინსვლა – ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ფილოსოფიური სისტემების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების, მედიცინის, ასტრონომიის, ფილოლოგიის აყვავების ხანა. დიდი ცვლილებები მოხდა ფულის მიმოქცევაშიც. ალექსანდრე მაკედონელის ფულმა - ოქროს სტატერმა და ვერცხლის ტეტრადრემმა დაიპყრო მსოფლიოს სამონეტო ბაზარი. ცოტა მოგვიანებით, შავიზღვისპირეთის ქვეყნებში ასეთივე პოპულარობა მოიპოვა ალექსანდრეს ერთ-ერთი მემკვიდრის, თრაკიის მეფის ლისიმაქეს (ქ.წ. 306 - 282 წ.წ.) სტატერებმა. ალექსანდრეს და ლისიმაქეს სტატერების ემისია რამდენიმე ასეულ წელს გრძელდებოდა ამ დინასტიების გარდაცვალების შემდეგაც. ეს საფასები წარმოადგენდა ფულადი მიმოქცევის საფუძველს მთელს ელინიზმულ სამყაროში. მსხვილი სავაჭრო ოპერაციების უმეტესი ნაწილი შავიზღვისპირეთში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს სტატერებით ხდებოდა.
66. **ემბლემა** – (< emblema - ამობურცული სამკაული), რაიმე ცნების, იდეის პირობითი, სიმბოლური გამოსახულება.
67. **ენეოლითის ხანა** – (ლათ. aeneus - სპილენძი და ბერძნ. lithos - ქვა), ენეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი, როცა ჩნდება თვითნაბადი სპილენძის ცივი დამუშავების გზით დამზადებული იარაღი. ადამიანი თანდათან ეუფლება სპილენძის მადნის ჩამოსხმის ხერხს, ჩნდება სპილენძის ჩამოსხმული იარაღი და სამკაული. ენეოლითის ეპოქაში ქვის იარაღის გვერდით სპილენძის იარაღიც იხმარებოდა. მეცნიერთა უმრავლესობა ენეოლითს განიხილავს არა როგორც ცალკე ეპოქას, არამედ როგორც ბრინჯაოს ხანის ადრინდელ ეტაპს – სპილენძის ხანას. შუამდინარეთსა და ეგვიპტეში ენეოლითი იწყება ძვ. წ. IV ათასწლეულში, ევროპაში – ძვ. წ. III ათასწლეულში. საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ძეგლებია: ამირანის გორა, არუხლოს გორა, იმირის გორა, შულავრის გორა, თეთრი წყაროს ნასოფლარი.
68. **ერთობლივი მონეტა – მოკავშირეთა მონეტა – ჰიბრიდული მონეტა** – სხვადასხვა სამონეტო რეგალიების მფლობელთა მიერ ერთობლივად მოჭრილი მონეტა; მაგ., ანტიკურ ეპოქაში ამ სახის მონეტებს ჭრიდნენ ძვ. წ. VI-V სს–ში საბერძნეთის ქალაქპოლისებში; ცენტრალურ ევროპაში ორ ან რამდენიმე ქვეყნის შეთანხმების საფუძველზე მათი მოჭრა დაიწყო XIII-XIV სს–ში, რაც საგარეო ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა; კოლხური თეთრი სინთეზური კატეგორიის მონეტაა, მაგ., პირველი ტიპის კოლხური დიდრატმა, ე. წ. ჰიბრიდული მონეტა, იჭრებოდა ფაზისის ზარაფხანაში, რომლის შუბლის გამოსახულება უკავშირდებოდა აპოლონს (ე. ი. აკმაყოფილებდა მილეტელ კოლონისტებს, და მისაღები იყო კოლხებისთვისაც), ზურგის ეკონოგრაფია კი აღებული იყო ადგილობრივი პანთეონიდან (ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის გამოსახულება. მსოფლიო ნუმიზმატიკაში მას პარალელი არ ეძებნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადგილობრივი ღვთაებაა) /გ. დუნდუა/.
69. **ვალუტა** – (იტალ. valuta), 1. ამა თუ იმ ქვეყნის ფულის ერთეული და მისი ტიპი (ოქროს, ვერცხლის, ქაღალდის); 2. უცხო სახელმწიფოთა ფულის ნიშნები, აგრეთვე უცხოური ფულის ერთეულებით

გამოხატული მიმოქცევისა და გადასახდელის საკრედიტო საშუალებები (თამასუქები, ჩეკები, და სხვ.), რომელთაც იყენებენ საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

70. **ვერცხლი** – (ლათ. argentum), თეთრი ფერის პლასტიკური ლითონი, კარგად პრიალდება, განეკუთვნება კეთილშობილ ლითონებს. ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტეში, სპარსეთში, ჩინეთში. სასაქონლო წარმოების პირობებში ოქროსთან ერთად ვერცხლი ასრულებდა საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციას და ფულად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ვერცხლის თვისებებმა – ერთგვაროვნებამ, დამუშავების სიადვილემ და სხვ. თავდაპირველად ვერცხლი მიმოქცევაში იყო სხმულების სახით. ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე საბერძნეთსა და რომში, ვერცხლი, როგორც ოქრო და სპილენძი, ფართოდ გავრცელებული ფულადი ლითონი იყო. ადრეულ საუკუნეებში უპირატესად ოქროს მონეტებს ჭრიდნენ; XVI ს-დან ოქროს უკმარისობისა და ევროპაში ვერცხლის მოპოვების გაფართოების გამო ვერცხლი ევროპის ქვეყნებში ძირითად ფულად ლითონად იქცა. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა ვერცხლის მონომეტალიზმი და ბიმეტალიზმი. ოქროს მსოფლიო მოპოვების ზრდამ დააჩქარა მიმოქცევიდან გაუფასურებული ვერცხლის გამოდევნა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ოქროს ვალუტით ვერცხლის ვალუტის გამოდევნა XX ს-ის დასაწყისისათვის დამთავრდა. II მსოფლიო ომამდე მოპოვებული ვერცხლის 75%-ს მონეტების მოსაჭრელად იყენებდნენ, 1971 წლისათვის ეს მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა. **იხ. სინჯი.**
71. **ვერცხლის კრიზისი** – XII ს-ში საქართველოს ფულად მეურნეობაში გაქრა ვერცხლის მონეტები და ის დაფულნებული იყო მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის მონომეტალიზმზე; ამ პერიოდის საქართველოში მიმოიქცეოდა ე. წ. საკრედიტო მონეტები. ეს გამოწვეული იყო, ე. წ. ვერცხლის კრიზისით. ვერცხლის კრიზისი არა მხოლოდ ქართული მოვლენა იყო, მან მოიცვა მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ვერცხლის კრიზისის გამომწვევ მიზეზებად ასახელებენ: ვერცხლის მარაგის შემცირებას, რაც გამოწვეული იყო ვერცხლის მასობრივი გადინებით, ფართო ექსპორტით ევროპაში; მადნების გამოფიტვას და ასევე ზოგიერთ პოლიტიკურ მომენტსაც, მაგალითად, სელჩუკთა მოძრაობა დასავლეთისაკენ, გაუთავებელი ომები, მათი დაფინანსების აუცილებლობა და ა. შ. /გ. დუნდუა/.
72. **ვერცხლის მონეტები** – ძველი ბერძნული ვერცხლის მონეტების ძირითად ერთეულს დრაქმა ეწოდება; იჭრებოდა ასევე დიდრაქმა (ორდრაქმიანი), ტეტრადრაქმა (ოთხდრაქმიანი), დეკადრაქმა (ათდრაქმიანი) და სხვა; რომაული ვერცხლის ფულს დენარი ეწოდება. ძვ. წ. VI ს – დან აღმოსავლეთში, აქემენიანთა ერანის ეპოქაში ვერცხლისაგან იჭრებოდა სიკილა, VII – XIV სს – ში – დირჰემი, თემურ ლენგის ეპოქიდან – თანგა, სეფიანთა ერანში – აბაზი, თურქეთში – აყჩე.
73. **ვერცხლის ძველებური მონეტები** – ძველი ბერძნული ვერცხლის მონეტების ძირითად ერთეულს დრაქმა ეწოდება; იჭრებოდა ასევე დიდრაქმა (ორდრაქმიანი), ტეტრადრაქმა (ოთხდრაქმიანი), დეკადრაქმა (ათდრაქმიანი), და სხვა; რომაული ვერცხლის ფულს დენარი ეწოდება. ძვ. წ. VI ს –დან აღმოსავლეთში, აქემენიანთა ერანის ეპოქაში ვერცხლისაგან იჭრებოდა სიკილა, VII – XIV სს –ში – დირჰემი, თემურ ლენგის ეპოქიდან – თანგა, სეფიანთა ერანში – აბაზი, თურქეთში – აყჩე.
74. **ვერცხლის ფული** – ძველ წყაროებში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინიც ჩნდება, მაგ., დანგი, ცხუმური თეთრი, ჩითახური, დინარი, სომი, თუმანი და სხვ. მაგრამ ამ ტერმინებს შედარებით იშვიათად იყენებდნენ. ამათგან ცხუმური თეთრი და ჩითახური გეოგრაფიული ხასიათის ტერმინებია - ცხუმური, ანუ სოხუმური თეთრი (**იხ. ჩითახური თეთრი**); XVII-XVIII სს-ის საქართველოში მიმოიქცეოდა ვერცხლის ფულის შემდეგი ნომინალები: ექვსშაურიანი (ნახევარმარჩილიანი), აბაზი, ორშაურიანი და შაურიანი, იშვიათ შემთხვევაში ჩნდება სპარსეთიდან შემოდებული ფანჯშაპი (ხუთშაურიანი) და უკნინესი ვერცხლის მონეტა ბისტი /დ. კაპანაძე/.
75. **ზარაფი** – იგივე მინცმაისტერი, მონეტების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირი. თბილისში მომუშავე ზარაფთა ნიშნები: II3 – პეტრე ზაიცივი (1804 – 1806წწ); AK – ალექსეი კარპინსკი (1806 -1809 წწ; 1822-1824 წწ); AT – ალექსანდრე ტრიფონოვი (1810 – 1822; 1826 – 1831); BK – ვასილ კლეიმენოვი (1831 – 1833).



ზარაფთა ნიშნები მოთავსებული იყო გერბის ქვეშ ან მონეტის გურტზე.

76. **ზარაფხანა** – მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დასამზადებელი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს მოოქროვების, მოვერცხლვისა და საიუველირო მინაქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს. ზარაფხანა შეიქმნა სახელმწიფოსთან ერთად, როცა მონეტების მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა. რუსეთში პირველი სახაზინო ზარაფხანა შეიქმნა 1534 წელს მოსკოვში; 1724 წელს – პეტერბურგში. 1876 წლიდან პეტერბურგის ზარაფხანა ერთდერთი იყო რუსეთში. ინგლისში პირველი ზარაფხანა XII ს-ში გაიხსნა ლონდონში, ხოლო ფილადელფიაში – 1792 წელს. საქართველოს ტერიტორიაზე მონეტას ჭრიდნენ ძვ. წ. VI ს-დან. კოლხური თეთრი საქართველოშია მოჭრილი, თუმცა ზარაფხანის ადგილმდებარეობა უცნობია. 704 წლის არაბულ დრამაზე პირველად აღინიშნა თბილისის ზარაფხანა. IX ს-დან თბილისში დროგამოშვებით იჭრებოდა ფული არაბი ხალიფას, ხოლო X ს-ის II ნახ-დან თბილისის ამირას სახელით. XIII ს-ის 40 -იანი წლებიდან XV ს-ის დასაწყისამდე მონეტებზე კვლავ გვხვდება თბილისის ზარაფხანის აღნიშვნა. 1603 წლიდან XVIII ს-ის დასასრულამდე თბილისის ზარაფხანაში სისტემატურად იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. XVII ს-ში ზარაფხანა მდებარეობდა კალაში, სიონის ტაძრის მახლობლად. დასტურლამალში შემონახულია ზარაფხანის წესდება. 1803-1833 წწ-ში თბილისის ზარაფხანა უშვებდა, ე.წ. რუსულ-ქართულ ფულს. ეს ზარაფხანა როსტომ მეფის სასახლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. თბილისის გარდა დროგამოშვებით ფული იჭრებოდა დმანისის, ახალციხის, ანისის, არტანუჯის, ზაგემის ზარაფხანებში. სხვადასხვა დროს ზარაფხანები მოქმედებდნენ უფლისციხეში, ქუთაისში, ცხუმში, ზუგდიდსა და სხვ. /ც. ღვაბერაძე, თ. ქუთელია / **იხ. საზარაფო საქმე საქართველოში. იხ. იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში.**
77. **თანგა** – ფულის ერთეულის აღმნიშვნელი თათრული ტერმინი; მონღოლთა ბატონობისას დამკვიდრდა როგორც საქართველოში, ისე სხვაგან, თანგა საქართველოში მიმოიქცეოდა XV-XVI სს - ში (**იხ. შირვანული თანგა**); მაგ., ძველ რუსეთში ის ფულის საზოგადო აღმნიშვნელადაც იქცა – танга, деньга, деньги /დ. კაპანაძე/.
78. **თეთრი** – ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი საქართველოში; წერილობით წყაროებში პირველად XIII ს – ში გაჩნდა. XIII – XIV სს – ში „თეთრი“ აღნიშნავდა კონკრეტულ ფულად ერთეულს და შეესაბამებოდა მონღოლურ დირჰემს, რომლის მასა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო (2,13გრ.; 175 გრ.; 1,4 გრ.; 1,02 გრ.; 0,9 გრ. და 0,5 გრ.). უნიფიცირებულმა დირჰემმა, რომელიც 1298 წ - დან ილხანთა სახელმწიფოს დაცემამდე საქართველოს ზარაფხანებში რეგულარულად იჭრებოდა და ილხანთა მონეტისაგან მხოლოდ ზარაფხანის სახელით განირჩეოდა, მიმოქცევიდან განდევნა რეფორმამდელი მონეტები და დაიკავა წამყვანი ადგილი საქართველოს ფულად მიმოქცევაში. ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება აგრეთვე ყაზანური თეთრი, გიორგაული თეთრი, კირმანეული თეთრი. XIII ს – ის დასასრულს და XIV ს – ში ქართულ თეთრს საანგარიშო და სამონეტო ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა. 6 თეთრი 1 დრაჰკანს შეადგენდა. მომდევნო საუკუნეებში „თეთრი“ ვერცხლის საფასის ზოგადი ტერმინი იყო, ზოგჯერ კი საერთოდ ფულს აღნიშნავდა. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კანონიერ საგადასხდელი ხურდა ფულს წარმოადგენს თეთრი, რომელიც ლარის მესამედ ნაწილს ეწოდება; მიმოქცევაშია 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის ღირებულების უყანავი ფოლადის მონეტები.
79. **თითბერი** – სპილენძის ფუძეზე დამზადებული შენადნობი, რომლის ძირითადი დანამატია თუთია (50%-მდე); თუთიის შენადნობი სპილენძთან – თითბერი – ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე ძველი ბერძნებისა და ეგვიპტელებისათვის იყო ცნობილი. სუფთა სახით თითბერის მიღება დიდი ხნის განმავლობაში არ ხერხდებოდა; მხოლოდ 1746 წელს ა. მარგრაფმა შეიმუშავა თითბერის მიღების მეთოდი. სპილენძის შენადნობებიდან თითბერი ყველაზე გავრცელებულია: ადვილად მუშავდება წნევით, ახასიათებს მაღალი მექანიკური თვისებები, არის ლამაზი ფერის და შედარებით იაფია; შენადნობში თუთიის შემცველობის გაზრდასთან ერთად იცვლება თითბერის ფერი – წითლიდან ღია – ყვითლამდე. ფართოდ გამოიყენება სამონეტო საქმიანობაში.
80. **თუთია** – (ლათ. zinkum), მოცისფრო-თეთრი ლითონი; ცივ მდგომარეობაში თუთია მყიფე ლითონია, 100–150° C - ისას პლასტიკურია და ადვილად იგლინება.
81. **თუმანი** – საანგარიშო ფულადი ერთეული XVIII ს – ში; მონღოლურად 10000 - ს ნიშნავდა და 10000 დინარს უდრიდა. XVII ს - ის დასაწყისში თუმანი 10 მინალთუნს შეიცავდა, თვით მინალთუნი კი 5 აბაზს უდრიდა და 1000 – ით აღინიშნებოდა. ქართული თუმანი შეიცავდა 10000 ნახევარდრაჰმიან სპილენძს. რაოდენობრივი შემადგენლობით ქართული თუმანი მონღოლურისაგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ მონღოლური თუმნის ძირითადი ერთეული იყო ოქროს დინარი, ქართული თუმნისა კი – ნახევარდრაჰმიანი სპილენძი /ირ. ჯალალანია/; თუმანი სამანეთო ფულადი სისტემის დროს 10 მანეთის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა.

82. **თულრა** – მონეტებსა და საბუთებზე აღბეჭდილი კალიგრაფიულად გაფორმებული სულთნის სახელი. პირველად გვხვდება სელჩუკი ემირის ასჰაკ იბნ ალისის (1374 – 1390 წწ.) საბუთებზე. თულრას იყენებდნენ აგრეთვე ყირიმის ხანები, ირანელები, ავღანელები და სხვ. თულრა აღბეჭდილია თბილისში XVIII ს-ში მოჭრილ მონეტებზეც – აშრაფი, ონლიქი, ბემლიქი, ნიმბემლიქი.
83. **ილდეღიზიდური მონეტა** – იგივე ელდიგუზიანი, XII – XIII სს – ში ახლანდელი აზერბაიჯანის მმართველი ათაბაგების ილდეღიზიდების მიერ მოჭრილი არასწორი ფორმის და სხვადასხვა წონის სპილენძის მონეტა. მის ერთ მხარეს ათაბაგების უშუალო სიუზერენის – ერაყის სელჩუკი სულთნის და ბაღდადის ხალიფას სახელება ამოკვეთილი; მეორე მხარეს – თვით ათაბაგის სახელი. ილდეღიზიდთა მონეტა აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული; აღმოჩენილია დმანისში, რუსთავში, აგრეთვე XII – XIII სს – ის – ლილოს, კრწანისის, თბილისის, განჯის, კარის, რიყის განძებში /იხ. ჯალაღანია/.
84. **იმპერიალი** – (ლათ. imperialis - საიმპერატორო), რუსული ოქროს მონეტა; იჭრებოდა 1755 წლიდან 10 მან. ნომინალით, ტოლფასოვანი იყო 10 ვერცხლის მანეთისა. შეიცავდა 11,61 გრ. ოქროს. 1895 – 97 წწ. ფულის რეფორმამ და ბრუნვაში ოქროს ვალუტის შემოღებამ განაპირობა ძველი წონის იმპერიალის მოჭრა 15 მან. ნომინალით; შესაბამისად შეიცვალა ოქროს ნახევარიმპერიალის ნომინალიც (5 მან–დან 7 მან. და 50 კაპ.). რეფორმის შემდეგ მოჭრილი 10 – და 5 – მანეთიანი ახ. ოქროს მონეტები შეადგენდა იმპერიალის 2/3 და 1/3; XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან ჰოლანდიური ოქროს ჩერვონეცები (დუკატები) თანდათანობით შეავიწროვა რუსულმა იმპერიალებმა და ნახევარიმპერიალებმა, რომლებიც შესაბამისად 10 რუბლად და 5 რუბლად ფასობდა. ამავე პერიოდში მიმოიქცეოდა ისინი საქართველოში, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა სპილენძის ფულის დეფიციტი საქართველოში.
85. **ისტორია** – (ბერძნ. historia - თხრობა, მოთხრობა გარდასულ ამბებზე), 1. განვითარების ყოველგვარი პროცესი ბუნებასა და საზოგადოებაში; მაგ., სამყაროს შექმნის ისტორია, ცალკეულ მეცნიერებათა – ფიზიკის, მათემატიკის, სამართლის ისტორია და ა. შ.; 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოების წარსულს მთელი მისი კონკრეტული ფორმებითა და მრავალფეროვნებით. საზოგადოების ისტორია პროცესებისა და მოვლენების, ცალკეულ ინდივიდთა, ადამიანთა კოლექტივების, მთელი კაცობრიობის კონკრეტული და მრავალმხრივი მოქმედებისა და საქციელის ერთიანობაა. ისტორია არის ცოდნის სფერო, რომელიც შედგება მეცნიერების ცალკეული დარგებისაგან, დამხმარე და სპეციალიზებული ისტორიული დისციპლინებისაგან. ცალკეულ ნაწილთა სპეციალიზაციის ხარისხი სხვადასხვაა, რის გამოც გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს. პირველ ჯგუფს შეადგენს ისტორიული მეცნიერების ის დარგები, რომელთა ფარგლებში ისტორიკოსები საზოგადოების ისტორიას შეისწავლიან მთლიანად ან ნაწილების მიხედვით. ისტორიას სწავლობენ ფორმაციებისა და ეპოქების, კომლექსური პრობლემების მიხედვით, სივრცობრივ-გეოგრაფიული პრინციპით, გარდა ამისა ცალკე შეისწავლიან ადამიანთა ისტორიის სხვადასხვა მხარესა და მოვლენას. პირველ შემთხვევაში მსოფლიო ისტორიაში გამოიყოფა: პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია და უახლესი ისტორია. სივრცობრივ – გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით გამოიყოფა: დიდი, ერთმანეთთან ისტორიულად დაკავშირებული რაიონების რეგიონალური ისტორია და ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების ისტორია. მეორე ჯგუფს ქმნის დამხმარე და სპეციალიზებული ისტორიული დისციპლინები: წყაროთმცოდნეობა, არქეოგრაფია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ქრონოლოგია, ისტ. მეტროლოგია, სფრაგისტიკა, გენეალოგია, ჰერალდიკა, ნუმისმატიკა. დამოუკიდებელ ადგილს იკავებს ორი სპეციალიზებული ისტორიული მეცნიერება არქეოლოგია და ეთნოგრაფია.
86. **ისტორიზმი** – სინამდვილის შესწავლის პრინციპი, რომლის მიხედვით მოვლენები შეისწავლება მათი დროში ცვალებადობისა და განვითარების მიხედვით.
87. **ისტორიოგრაფია** – 1. ისტორიული მეცნიერების ისტორია, აგრეთვე განსაზღვრული თემის, პრობლემის ან ისტორიული ეპოქისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ან ისტორიული ხასიათის ნაშრომების ერთობლიობა. 2. ისტორიული მეცნიერების ისტორიულად შემსწავლელი მეცნიერება.
88. **ისტორიული მონეტა** – ნუმისმატიკური ძეგლი, რომლის ლეგენდა და გამოსახულება ასახავს რომელიმე ისტორიულ ეპოქას, პიროვნებას ან ფაქტს; იგი ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, ამდენადაც ის დაზღვეულია ავტორის სუბიექტური შეხედულებებისა და ტენდენციისაგან.

89. **კალა** – (ლათ. stannum), თეთრი, მზინვარე, რბილი, მძიმე და პლასტიკური ლითონი; კალა და მისი შენადნობები ცნობილია უძველესი დროიდან; ასევე უძველესი დროიდან ფართოდ გამოიყენება როგორც გამოყენებით ხელოვნებაში, ისე სამონეტო საქმიანობაში.
90. **კაპადოკიური მონეტა** – ძვ. წ. IV- ახ. წ. III სს - ში კაპადოკიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, გამოიყოფა 2 ჯგუფად: საკუთრივ კაპადოკიის მეფეთა მიერ და რომის იმპერატორთა სახელით მოჭრილი; I ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო არიარათე I-ის (ძვ. წ. 333 - 322 წწ.) დროს და გრძელდებოდა ძვ. წ. 36 -17 წლამდე. მონეტები არცთუ ისე მრავალფეროვანია. ძვ. წ. III ს-ის 20 - იანი წლებიდან ხდება სამონეტო ტიპების საბოლოო უნიფიკაცია. შუბლზე ყოველთვის გამოსახულია კაპადოკიის მეფის პროფილი, ხოლო ზურგზე მთელი ტანით მარცხნივ მიმართული ათენა, რომელსაც გაწვდილ მარჯვენა ხელში გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკება უჭირავს, მარცხენაში კი – შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი; ბერძნულ ლეგენდაში აღნიშნულია კაპადოკიის ამა თუ იმ მეფის სახელი და მონეტების მოჭრის დრო. კაპადოკიური დრაქმები აღმოჩენილია საქართველოშიც, კერძოდ, ვანში. II ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო ახ. წ. 30 წ - დან იმპერატორ ტიბერიუსის (14 - 37 წწ.) დროს; პირველად იჭრებოდა დრაქმა. კალოგულას ხანიდან მიმოქცევაშია დიდრაქმები. სპილენძის მონეტა მოჭრეს კლავდიუსის (41-54 წწ.) მმართველობისას. II ჯგუფის მონეტების მოჭრა გრძელდებოდა III ს-ის შუა წლებამდე; სამონეტო ტიპი მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ბევრია მონეტები, რომელთა ზურგზე არგის მთა ან ჰერაკლეს კომპალა გამოსახული, შუბლზე კი - ყოველთვის რომის იმპერატორის პორტრეტი; ზედწერილები ბერძნულია. კაპადოკიის მთავარი ქალაქის კესარიის ზარაფხანა II ს-ში ფართო მასშტაბის სამონეტო ემისიას ახორციელებდა და მთელი მცირე აზიის, მ. შ. კოლხეთის, ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – სოხუმი, ბიჭვინთა, ბანმა, სეფიეთი, ურეკი, სუფსა, ეკი და სხვ. – აღმოჩენილია 1200-მდე კაპადოკიური მონეტა; ადრიანეს (117-138 წწ.) დიდრაქმები აღმოჩენილია III ს-ის 30-იან და 50-იან წლებში ჩამარხულ განძებში – ეკი, ბიჭვინთა და მიკველუღია III ს-ის შუა წლების კულტურულ ფენაში – ბიჭვინთა /გ. დუნდუა/.
91. **კაპიკი** – „კოპიკა“, რუსული ხურდა მონეტა, უდრიდა მანეთის 1/100-ს; პირველად მოიჭრა XVI ს-ის 30-იან წლებში ვერცხლისაგან; XVI - XVII მას უფრო ხშირად ნოვგოროდკას უწოდებდნენ. საქართველოში რუსული „კოპიკა“ ქართულ „კაპიკად“ იქცა. საბჭოთა კავშირში ვერცხლის მონეტების ემისიის შეწყვეტის შემდეგ (1931 წ.) ლითონის მონეტას მხოლოდ ხურდა ფულის ფუნქცია შეერჩა; 1961 – 1991 წწ-ში მიმოიქცეოდა 1, 2, 3, 5, 10, 15, 20, 50 - კაპიკიანი მონეტები.
92. **კარატი** – ძვ. ბერძნული წონის ერთეული; შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც; ბერძნულ – რომაული კარატი უდრიდა 0,189 გრ., ეგვიპტური – 0,19 გრ.; საქართველოში დამკვიდრდა XI – XVII სს-ში კერატის და XVII-XVIII სს-ში ყირათის სახელწოდებით. კერატი შედიოდა დრამის წონით სისტემაში და მისი 1/12-ს, ანუ 1,212 გრ. იყო; ყირათი შეადგენდა მისხლის 1/24-ს, ანუ 0,192 გრ-ს. 1907 წლის პარიზის საერთაშორისო კონვენციის განსაზღვრით კარატი უდრის 200 მგ. ან 2·10⁻⁴ კგ-ს. კარატი არის ასევე ძვირფასი ქვების მასის საზომი; აღნიშნავს ასევე ძვირფასი ლითონების შენადნობთა სინჯს.
93. **კვადრატუმ ინკუსუმ** – (quadratum incusum), ჩაჭდიული კვადრატი მონეტაზე, ტექნიკური დანიშნულების დეტალი, რომლის ფუნქციაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაქუჩის დარტყმისას მონეტის ნამზადი სიქიდან არ ამოვარდნილიყო.
94. **კვაზიფული** – (კვაზი... ლათ. quasi – თითქოს, ვითომცდა), ეს ტერმინი გულისხმობს ყველაფერს, რაც თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით არ ასოცირდება და არანაირ კავშირში არ არის ფულთან.
95. **კირმანელი თეთრი** – XIII-XV სს-ის დასავლურ - ქართული ვერცხლის ფული; სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან “კირ” და “მანუელ” (ბატონი მანუელი) და დაკავშირებულია ტრაპიზონის კეისრის მანუელ I – ის (1238-1263 წწ.) სახელთან. მონეტის შუბლზე გამოსახულია მეფე და დამახინჯებული ბერძნულით აწერია ტრაპიზონის კეისრების მანუელის ან იოანეს სახელი. კეისრის ფეხთან გამოხატულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ე. წ. “სოლომონის ბეჭედი”; ზურგზე ტრაპიზონის იმპერიის მფარველის წმ. ეგვიპტის გამოსახულებაა და ბერძნულად აწერია წმინდანის სახელი. ტრაპიზონის იმპერიაში მოჭრილი ასპრი ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი შემოტანა შეწყდა, იჭრებოდა მისი მინაბამები, რომელსაც კირმანელი თეთრი ეწოდა. XVI ს-ის კირმანელების ბევრი ეგზემლარი გახვრეტილია. ფიქრობენ, რომ ნახვრეტები გაკეთებულია იმისათვის, რომ მონეტისათვის დაეკლოთ წონა და გაეტოლებინათ იგი ყაზან-ყანის რეფორმის შემდეგდროინდელ შემსუბუქებული დირჰემის წონასთან. საკუთრივ რომელი სუვერენი ჭრიდა კირმანულ თეთრს და კონკრეტულად სად იჭრებოდა იგი ცნობილი არ არის /ირ. ჯალაღანია/.

96. **კლიშე** – (ფრანგ. cliché), საბეჭდი ფორმა, იყენებენ საილუსტრაციო ორიგინალების მაღალი ბეჭდვის ხერხით აღწარმოებისათვის. სარეპროდუქციო ორიგინალის ხასიათის მიხედვით კლიშე არის შტრიხული და რასტრული. შტრიხულ კლიშეს იღებენ შტრიხებით შედგენილი გამოსახულებიდან (კალით ნახატი, გრავიურის ანაბეჭდი, ნახაზი). რასტრულ კლიშეს ნახევრადტონოვანი გამოსახულებიდან, რომელიც შედგება სხვადასხვა ნაჯერობის ელემენტებისაგან (ფოტოსურათი, აკვარელით ან ზეთის საღებავებით ნახატი). კლიშეს აკეთებენ ხეზე, თუთიაზე (ყველაზე მეტადაა გავრცელებული) ასევე თითბერზე, სპილენძზე.
97. **კლიშეგრაფი** – ელექტრონული საგრაფირებელი ავტომატი.
98. **კოლექცია** – (ლათ. collectio - შეგროვება, კრებული), ერთგვაროვანი ან თემატურად გაერთიანებული საგნების, რომლებსაც როგორც წესი, აქვს ისტორიული მნიშვნელობა, სისტემაში მოყვანილი კრებული. კოლექციონერობა შემგროვებლობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი გულისხმობს საკოლექციო მასალის გამოვლინებას, შეგროვებას, შესწავლას და სისტემაში მოყვანას; აღმოცენდა რენესანსის ეპოქაში (მედიჩები ფლორენციაში, ლუი XIV, ფრანგი კარდინალები რიშელიე და მაზარინი, პაპები იულიუს II, ლეო X და სხვ.). ცნობილი უნივერსალური კოლექცია ჰქონდათ გოეთესა და ამერიკელ მხატვარსა და ბუნებისმეტყველს ჩ. პილსს. XIX და XX სს-ის მიჯნაზე ჯერ აშშ-ში, შემდეგ ევროპაში კოლექცია კაპიტალის დაბანდების სარფიან ხერხად იქცა, რადგანაც გადასახადები არ ედებოდა. რამაც კოლექციის ობიექტებით სპეკულაცია გამოიწვია. კოლექციონირება ხელს უწყობდა ნუმისმატიკის, ჰერალდიკის, სფრაგისტიკის, აგრეთვე არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სხვ. განვითარებას. ჩამოყალიბდა კოლექციონირების 3 სახე: სამეცნიერო, სასწავლო და მოყვარულთა. გამოიკვეთა მისი დარგებიც: ფილატელია (საფოსტო მარკების შეგროვება და შესწავლა), ბონისტიკა (ქალაქის ფულის, ნიშნებისა და ბონების შეგროვება და შესწავლა), მოყვარულთა ნუმისმატიკა (მონეტების შეგროვება), ფილუმენია (ასანთის კოლოფების ან მათი ეტიკეტების შეგროვება), ფილოკარტია (ბარათების შეგროვება და შესწავლა), ფალერისტიკა (სამკერდე ნიშნების შეგროვება და შესწავლა), ფილოფონია (მუსიკალური ჩანაწერების შეგროვება და შესწავლა) და სხვ. ზევრ ქვეყანაში არის კოლექციონერთა საზოგადოებები, გამოდის სპეციალური წიგნები, ჟურნალები და კატალოგები/გ. დუნდუა/.
99. **კოლხური თეთრი** – ძვ. წ. VI-III სს-ის ვერცხლის მონეტა, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხური თეთრის მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ბერძნულ ახალმწეებს (მაგ. ფასისს). არსებობს კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი: ა) ტეტრადრაქმა, რომლის წონაა 13გრ., მის შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ლომის თავი, ზურგზე - ფრთოსანი რაშის პროტომა. ბ) დიდრაქმა: I ტიპი. შუბლზე – მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი, ზურგზე – მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. II ტიპი. შუბლზე – ხაზოვან რკალში ადამიანის პროფილი; ზურგზე – ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი ორი ხარი. კოლხური დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99-9,90 გრ.. გ) დრაქმა: შუბლზე – ლომის თავი ფასში; ზურგზე – მარჯვნივ მიმართული ხარის თავი; წონა – 5,52 გრ.. დ) ნახევარდრაქმები: I ტიპი. შუბლზე – ლომის თავის პროფილი მარჯვნიდან; ზურგზე – მარჯვნივ მიმართული მუ ლომის პროტომა; საშუალო წონა – 2,17 გრ.: II ტიპი. შუბლზე – მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი; წონა – 1,2-2,6გრ.: ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნული ასოები. კოლხურ მონეტებს შორის ყველაზე გავრცელებულია II ტიპის ნახევარდრაქმა, რომელიც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხური თეთრის არსებობა ერთ-ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ ძვ. წ. VI-V სს-ში დასავლეთ საქართველოს მიწა - წყალზე სახელმწიფო არსებობდა /გ. დუნდუა/.
100. **კონსტანტინატი** – ბიზანტიური მონეტა, მიმოიქცეოდა და იყო გადახდის საშუალება XI ს-ის საქართველოში (კონსტანატი, კუსტანატი, დრაჰკანი კონსტანტინატი), ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია კონსტანტინე X დუკას სახელთან, მაგრამ, რადგანაც ამ იმპერატორის ნომისმების ზედსახელი არის დუკატი, კონსტანტინატი უფრო კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ნომისმებს გულისხმობს /გ.ჯაფარიძე/.
101. **კუპონი** – (ფრანგ. coupon – მოსაჭრელი ტალონი) 1993 წლიდან ბრუნვაში არსებული სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 1961-1992 წლებში გამოშვებული ფულის ნიშნების პარალელურად და პარიტეტული კურსით მიმოქცევაში გავიდა დროებითი ფულადი ნიშნები კუპონები. ისინი მხატვარ ელგუჯა ამაშუკელის ესკიზების მიხედვით დაბეჭდა ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქალაქების დამამზადებელმა ინგლისურმა ფირმამ „თომას დე ლა რუმ“. 1993-1994 წწ-ში მიმოქცევაში არსებულ კუპონებს დამატა ახალი ნომინალები, რომლებიც ნოდარ მაღაზონიას ესკიზების მიხედვით დაბეჭდა ფრანგულმა ფირმამ „ფრანსუა-შარლ ობერტურმა“. საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები მიმოიქცეოდა 1995 წლამდე.

102. **ლარი** – საქართველოს რესპუბლიკის სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში გავიდა 1995 წლის 25 სექტემბერს; 1, 2, 5, 10, 20, 50, 100, 200 და 500 ლარის ნომინალური ღირებულების კუპონრებით. ისინი მხატვრების ნოდარ და ბაჩა მალაზონიების ესკიზების მიხედვით დაბეჭდა ფრანგულმა ფირმამ „ფრანსუა-შარლ ობერტურმა“. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ლარი ერთადერთ საგადასახადო საშუალებად იქცა საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე. 2006 წლიდან მიმოქცევაშია ასევე 1 და 2 ლარის ნომინალური ღირებულების მონეტები /ნ. ჯავახიშვილი/; სიტყვა „ლარი“, რომელიც ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად ჯერ კიდევ 1992 წელს შეირჩა, ძველი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას. ლარი, როგორც ფულადი ერთეულის სახელი ბუნებრივად ამოუდგა გვერდში ამავე ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს „მოლარესა“ და „სალაროს“, რომელიც ძველ ქართულში შესაბამისად განძის მცველსა და საგანძურს ეწოდებოდა; თანამედროვე ქართულში კი სემანტიკურად ფულთან არის დაკავშირებული.
103. **ლითონის ფული** – სხვადასხვა სახის ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი თუ სხვ.) დამზადებული ფულის ნიშანი, მონეტა.
104. **ლეგენდა** – ზედწერილი (წარწერა) მონეტის ავერსსა ან რევერსზე.
105. **ლიგატურა** – ძვირფასი ლითონის მონეტის მოსაჭრელად განკუთვნილი შენადნობისათვის დაბალი ხარისხის ლითონის დამატება; მაგ., ვერცხლის ან სპილენძის დამატება ოქროსათვის, სპილენძისა – ვერცხლისათვის და ა.შ.; ამგვარ შენადნობს ოქროთი ან ვერცხლით ლეგირებული ეწოდება, მონეტის ჩამოსხმისათვის მოხმარებულ შენადნობის მასას (წონას) კი - მონეტის ლიგატურული მასა.
106. **ლობანჩიკი – იხ. დუკატი.**
107. **მანეთი** – რევოლუციამდელი რუსეთისა და სსრკ-ის ფულის ერთეულის „რუბლის“ ქართული სახელწოდება, გავრცელებულია აზერბაიჯანულ, თურქმენულ, სპარსულ და ზოგიერთ სხვა ენაში; მომდინარეობს монета – სგან, რომელიც ვერცხლის მანეთიანის აღსანიშნავად იხმარებოდა. მისი გავრცელება ქართულსა და სხვა ენებში „რუბლის“ მნიშვნელობით ემთხვევა კასპიისპირეთში რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პერიოდს – XVIII ს-ის I ნახ-დან. ტერმინი „რუბლი“, როგორც უზალთუნის ვერცხლის ზოდის (200გრ.) ნახევრის სახელწოდება, აღმოცენდა XIII ს-ის ნოვგოროდში. XIV ს-დან იგი გავრცელდა ცენტრალური რუსეთის სამთავროებში. საქართველოში მმართველობის შემოღებიდან ამ ტერმინმა საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი და „რუბლის“ ოფიციალურ ეკვივალენტურ ქართულ სახელწოდებად იქცა. ამ ორი ტერმინის ტრადიციული იდენტურობა აისახა საბჭოთა ფულის ერთეულთა ნომენკლატურაშიც. XIX ს-ის პირველ ათეულ წლებში საქართველოს სამონეტო ბაზარზე გაიზარდა რუსული ფულის ხვედრითი წილი საქართველო რუსეთის საფინანსო სისტემაში აღმოჩნდა ჩართული. საბჭოთა მანეთი საქართველოში 1993 წლის აპრილამდე მიმოიქცეოდა. 1961-1992 წწ-ში მიმოიქცევაში იყო 1, 3, 5, 10, 25, 50 და 100 – მანეთიანი სახაზინო ბილეთები.
108. **მაკედონელის მონეტა** –ალექსანდრე მაკედონელმა (ძვ. წ. 336-323 წწ.) შემოიღო ახალი ფულადი სისტემა, რომელიც ძირითადად ოქროზე იყო ორიენტირებული. შეიცვალა მონეტის გარეგნული სახე და ფაქტურაც: მონეტაზე დაიწყო მეფის პორტრეტებისა და მისი სახელის აღმნიშვნელი წარწერის მოთავსება. ალექსანდრე მაკედონელმა პირველმა გაბედა თავის ვერცხლის მონეტებზე გამოსახულ ჰერაკლეს პროფილისათვის საკუთარი სახის ნაკვთები მიეცა. ეს იყო რევოლუციური აქტი სამონეტო საქმეში, ვინაიდან აქამდე მონეტებზე მხოლოდ ღმერთებსა და გერბებს ათავსებდნენ /გ.დუნდუა/.
109. **მარჩილი** – XVI ს-ის შუა წლებიდან საქართველოში ფულის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც დასტურლამალის განმარტებით 3 აბაზს ან 12 შაურს უდრის; სიტყვა „მარჩილი“ იტალიური წარმოშობისაა და, რ. ქებულაძის აზრით, საქართველოში ევროპულ ტალერებთან ერთად გავრცელდა; მარჩილის, როგორც ფულის ერთეულის ტერმინის აღდგენის ცდას ადგილი ჰქონდა საქართველოში მენშევიკური მთავრობის დროს; ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ლანსერეს ოცდახუთმარჩილიანის – 15 - მანეთიანის – პროექტი, მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელება მენშევიკურ მთავრობას არ დასცალდა. /დ. კაპანაძე/; - ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში. სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის „მარჩილოს“ სახელწოდებიდან. გავრცელდა XVI-XVII სს-ში. როგორც ვახტანგ VI –ის „დასტურლამალიდან“ ირკვევა, XVIII ს-ში მარჩილი 12 შაურს ანუ 3 აბაზს შეადგენდა. მისი მასა სხვადასხვანაირი იყო. მარჩილი იხმარებოდა XVII ს-ის საქართველოში გავრცელებული ევროპული მონეტის – ტალერის აღსანიშნავად; იმ დროისათვის ტალერი 3 აბაზად ფასობდა, ხოლო 3 აბაზი 1 მარჩილს შეადგენდა /ირ. ჯალალანია/.

110. **მატრიცა** – (გერმ. matrize < ლათ. matrix – წყარო, საწყისი), ა) ზოგიერთი შტამპის ან ლითონის წნევით დამუშავებისას გამოყენებული სამუშაო იარაღის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელსაც აქვს ფორმით ან კონტურით დასამუშავებელი დეტალის შესაბამისი ჩაღრმავება ან გამჭოლი ხვრელი. მოწყობილობის მიხედვით მატრიცა არის მთლიანი, გასართი და სექციებიანი; ბ) რელიეფური საბეჭდი ფორმიდან პლასტიკურ მასალაზე (ლითონი, მუყაო, პლასტმასა და ა.შ.) გადატანილი ჩაღრმავებული ანაბეჭდი, რომელსაც იყენებენ სტერეოტიპული პირების მისაღებად.
111. **მაჰმუდი** – იხ. უზალთუნი.
112. **მემორიალური (სამახსოვრო) მონეტა** – მნიშვნელოვანი მოვლენის ან საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად მოჭრილი და მიმოქცევაში გაშვებული მონეტა. **იხ. სამახსოვრო მონეტა.**
113. **მინალთუნი** – დამახინჯებულად მილანთუნი; თურქულად 1000 ნიშნავს და ხუთ აბაზს შეიცავდა; XVIII ს-ის მოგზაური აკად. გიულდენშტედტი იტყობინება, რომ საქართველოში ქართული ან სპარსული მინალთუნი მიმოქცევაში არ ყოფილა; ეს ცნობა მართლაც დასტურდება ფაქტიური ნუმისმატიკური მასალით; თუმცა ბრიტანეთის კატალოგის ჩანაწერის მიხედვით ცნობილია XVIII ს-ის ერთი თბილური მინალთუნიანი; შესაძლოა ეს ერთადერთი ცალი საჩუქრად იყო მოჭრილი, მსხვილი ნომინალები კი საანგარიშო ერთეულებად ითვლებოდა /დ. კაპანაძე/.
114. **მიუნცაბინეტი** – მონეტების კაბინეტი, სადაც დაცული იყო კოლექციონერების შეგროვილი მასალა და წარმოებდა მათი შესწავლა. XVIII საუკუნეში ხუთი ასეთი ცენტრი შეიქმნა: სამეფო ან საიმპერატორო ნუმისმატიკური ცენტრები ვენაში, ბერლინში, პარიზში, ლონდონსა და პეტერბურგში. თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში ნუმისმატიკის კაბინეტი დაარსდა 1924 წელს აკად. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, რომელსაც დღიდან მისი დაარსებისა სათავეში ედგა თამარ ლომოური. 1931 წელს უნივერსიტეტის ნუმისმატიკური კაბინეტის მონეტები და ინვენტარი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და აქ უკვე მეორე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკად. დავით ჩუბინაშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ნუმისმატიკურ უჯრედს, რომელიც შემდეგში განყოფილებად გადაიქცა /გ. დუნდუა/.
115. **მოკავშირეთა მონეტა – იხ. ერთობლივი მონეტა.**
116. **მონეტა** – (ლათ. moneta), ლითონის ფულის ერთეული; ლითონის რომელიმე სახეობისაგან მოჭრილი ფული, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება. თავიდან დასაწყისად სიტყვა „მონეტა“ იყო ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთი ეპითეტი და ნიშნავდა დამრიგებელს. სახელი მომდინარეობს კაპიტოლიუმის ბორცვზე (ქ. რომი) იუნონა – მონეტას ტაძარში მოთავსებული ზარაფხანისაგან, სადაც იჭრებოდა ლითონის ფული. მონეტის სამშობლოდ მიჩნეულია ლიდია. ძვ. წ. VII ს-დან მონეტამ მრგვალი ფორმა მიიღო და მისი სრულფასოვნების გარანტიას სახელმწიფო იძლეოდა. მონეტის შემოღებამდე მიმოქცევაში იყო ლითონის სხვადასხვა ფორმის ზოდები. მონეტის მოჭრა საქართველოში ძვ. წ. VI ს-დან დაიწყო და სისტემატურად გრძელდებოდა 1834 წლამდე. ტერმინი მონეტა ძველ ქართულ წყაროებში არ იხსენიება. სამონეტო საქმიანობა საქართველოში განახლდა 1995 წლიდან. მონეტის მოჭრის უფლება, როგორც წესი, სახელმწიფოს კომპეტენციაა; ამდენად, მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საბუთია.
117. **მონეტა პლაკირებული – იხ. სუბერატი.**
118. **მონეტა-სენდვიჩი – იხ. სუბერატი.**
119. **მონეტათა მექანიკური დაზიანება** – ნუმისმატიკო-კოლექციონერთა შორის გავრცელებული ცნება, რომლითაც აღნიშნავენ არა ბუნებრივი ცვეთის შედეგად დაზიანებულ მონეტას, არამედ უხეშად მოპყრობით გამოწვეულ დაზიანებებს, მაგ., ნაჭდები მონეტაზე, დაქლიბული გურტი და ა. შ.
120. **მონეტარიები** – რომაულ ეპოქაში ზარაფხანების მომსახურე პერსონალი.
121. **მონეტის არე** – მონეტის შუბლისა და ზურგის მთელი სივრცე.
122. **მონეტის ექსპერტიზა** – (ფრანგ. expertise), მონეტათა ექსპერტიზა ტარდება სპეციალურ ლაბორატორიებში. ნუმისმატიკო-ექსპერტის დასკვნა ადასტურებს – მონეტის ორიგინალობას (ან ასლი), განსაზღვრავს მის წარმოშობას, სამონეტო ტიპს, დაცულობის ხარისხსა და ღირებულებას; მონეტის ღირებულება მისი ისტორიული მნიშვნელობით, ხშირად მხატვრული თვისებებითა და ზოგჯერ დაცულობითაც განისაზღვრება. მეცნიერული თვალსაზრისით მონეტის, როგორც ისტორიული დოკუმენტის, მნიშვნელობა

და ღირებულება ყოველთვის მისი იშვიათობით არ განისაზღვრება; მონეტის იშვიათობა (შემოკლებით – R) ფასდება ჩვენამდე მოღწეული ცალკების რაოდენობით; მონეტის ღირებულებას განსაზღვრავს მისი ზომა და წონა, ამიტომ მონეტის აღწერის დროს ის აუცილებლად უნდა აღნიშნოს. მონეტის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ძველებური მონეტის დაცულობას, რადგან კარგად შენახული ცალკის საშუალებით წარწერებისა და გამოსახულებათა საჭირო დეტალების აღდგენა უფრო ადვილია; ამიტომ არის, რომ კარგად დაცულ მონეტას ბევრად მეტი ფასი აქვს, ვიდრე ასეთივე, მაგრამ ცუდად დაცულ მონეტას.

123. **მონეტის პასპორტი** – ცნობა მონეტის აღმოჩენის ადგილის, დროისა და გარემოების შესახებ /გ. დუნდუა/.

124. **მონეტათა ცვეთა** – მონეტის სტანდარტული წონის შემცირება ცვეთის შედეგად.

125. **მონოგრამა** – (ლათ. monogramma, ბერძ. monos–ერთი, ერთიანი, ერთადერთი; gramma – ნაწერი, ასო), იგივე ვენზელი; მხატვრულად გაფორმებული, ხშირად ერთმანეთში ჩაქარაგმებული სახელისა და გვარის პირველი ასოები. მონოგრამები გვხვდება რომაულ და ბერძნულ მონეტებზე, ასევე თამარის სახელით მოჭრილ მონეტებზე და ა.შ.

126. **მონომეტალიზმი** – (ბერძნ. monos – ერთი, ერთიანი, ერთადერთი; მეტალი < ბერძნ. metallum – ლითონი), ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ერთი ლითონი არის საყოველთაო ეკვივალენტი და ფულადი მიმოქცევის საფუძველი. იმის მიხედვით, თუ რომელი ლითონი ასრულებს ამ როლს, მონომეტალიზმი შეიძლება იყოს: სპილენძის, ვერცხლისა ან ოქროსი. სპილენძის მონომეტალიზმი არსებობდა რომში ძვ. წ. III – II სს-ში, ვერცხლისა – რუსეთში (1843-1852 წწ.), პოლანდიაში (1847-1875 წწ.), ინდოეთში (1852-1893 წწ.). ჩინეთში დიდხანს არსებობდა ვერცხლის მონომეტალიზმი, რომელიც ოფიციალურად შეიცვალა 1935 წ-ს. ოქროს მონომეტალიზმი შემოიღეს XVIII-ის ბოლოს დიდ ბრიტანეთში და XIX-ის ბოლოს ევროპის სხვა ქვეყნებში, რუსეთსა და იაპონიაში – 1897 წ-ს, აშშ-ში – 1900 წ-ს /ქსე/; XVII- XVIII სს-ში ერანის ძირითადი სამონეტო ერთეული ვერცხლის აბაზი იყო და რამდენადაც ამ დროს აღმოსავლეთ საქართველო მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბუნებრივია, აქაც ბატონობდა ვერცხლის მონომეტალიზმი, ოქრო იშვიათად გვხვდება, ხოლო სპილენძს, რომელიც დიდი რაოდენობით იჭრებოდა, მხოლოდ ხურდა ფულად ხმარობდნენ. ვერცხლის მონომეტალიზმს ამ პერიოდის საქართველოში ადასტურებს ვახტანგ VI –ის კანონთა კრებული, სადაც სპეციალური კარი (თეთრის გარიგებისა) სწორედ ვერცხლის მონეტის მოჭრას ითვალისწინებს /დ. კაპანაძე/.

127. **მოქმედი მონეტა** – სამახსოვრო მონეტისაგან განსხვავებით, მოქმედი მონეტა უმთავრესად მიმოქცევისთვისაა განკუთვნილი: როგორც წესი, მისი ემისია რამდენიმე წლის განმავლობაში, დიდი რაოდენობითა და უცვლელი დიზაინით მიმდინარეობს. სამონეტო საქმის თანამედროვე პრაქტიკაში არის სამახსოვრო და მოქმედი მონეტების თავისებურებათა შერწყმის შემთხვევები, მაგ., სხვადასხვა ქვეყანაში სამახსოვრო მონეტები ხშირად დიდი რაოდენობით იჭრება.

128. **მსუბუქი მეტალი** – მეტალი, რომლის სიმკვრივე 5 გრ/სმ³-ზე მცირეა, ისეთები როგორცაა მაგ., ალუმინი, მაგნიუმი, ტიტანი. მონეტების დასამზადებელ შენადნობათათვის იყენებენ მხოლოდ ალუმინის ლეგატურას, უმეტესად ეს არის ალუმინი-სპილენძი-მაგნიუმის შენადნობი. ეკონომიის მიზნით ის ფართოდ გამოიყენება წვრილი მონეტების დამზადებისას, რადგანაც მსოფლიო ბაზარზე ძვირადღირებული სპილენძისაგან დამზადებული მონეტის ფასი გადააჭარბებდა წვრილი მონეტის ნომინალურ ღირებულებას.

129. **მუსლიმური ქვეყნების მონეტები** – მათზე სარწმუნოებრივი მოტივების გამო აკრძალული იყო რაიმე გამოსახულების მოთავსება და მთელი აქცენტი გადატანილი იყო ლეგენდებზე. ლეგენდით ლაკონურად მთელი ისტორიაა გადმოცემული; მაგალითად, არაბული მონეტების ზედწერილი გვაუწყებს: 1. მმართველის სახელს; 2. მმართველის მამის სახელს; 3. მის ტიტულს; 4. არაიშვიათად ამ მმართველის ვეზირის სახელს; 5. მისი მმართველობის ერთ-ერთ წელს; 6. სამეფოს ერთ-ერთი ქალაქის სახელს; 7. მონეტაზე მოთავსებული ლოცვის თანახმად ისტორიკოსი არკვევს რომელ რელიგიურ სექტას მიეკუთვნება ეს პირი; 8. თუ იგი რომელიმე ოლქის მმართველია, მაშინ ზედწერილში მოხსენიებულია მისი უმაღლესი ხელისუფლის სახელი და ასევე ხალიფას სახელიც /გ. დუნდუა/.

130. **ნადირი** – ირანული ვერცხლის მონეტა, ნადირ-შაჰის (1736-1747 წწ.) მიერ შემოღებული ახალი სამონეტო სისტემის ძირითადი ერთეული; შესაბამებოდა ინდურ რუპიას; შეიცავდა 500 დინარს და იწონიდა 11,66 გრ-ს; იმავე დროს იჭრებოდა დაქვეითებული წონის 4,6 - გრამიანი აბაზიც. 1 ნადირი 2/5 აბაზს უდრიდა; 1739-1747 წწ-ში თბილისშიც ჭრიდნენ /თ. ქუთელია/.

131. **ნეოლითის ხანა** – (ნეო – ბერძნ. neos - ახალი, რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს ახალს, განახლებულს; ლითი, ლითო – ბერძნ. lithos – ქვა, რთული სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს ქვასთან, ქანებთან

დამოკიდებულებას), ახალი ქვის ხანა, ქვის ხანის ბოლო საფეხური, რომელიც შეცვალა ენეოლითმა. ტერმ. „ენეოლით“ მეცნიერებაში 1865 წელს შემოიტანა ჯ. ლაზოკმა იმ პერიოდის აღსანიშნავად, როდესაც ადამიანი თავის საკვებს მარცვლეულის კულტივაციითა და ცხოველთა მოშინაურებით მოიპოვებდა, მაგრამ იარაღის დასამზადებლად (ხისა და ძვლის გარდა) ჯერ კიდევ მხოლოდ ქვას იყენებდა. ენეოლითის განმსაზღვრელი ნიშნებია: მიმთვისებლური მეურნეობიდან (ნადირობა, თევზჭერა, შემგროვებლობა) მწარმოებლურ მეურნეობაზე (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა) გადასვლა, თიხის ჭურჭლის გაჩენა, ქვის იარაღის გაპრიალება, გახვრეტა. კულტურულ –სამეურნეო ნიშნების მიხედვით ენეოლითის კულტურები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: 1. მიწათმოქმედ – მეცხოველე ტომთა და 2. მაღალგანვითარებულ მონადირეთა და მეთევზეთა. ევროპასა და აზიაში ენეოლითის ძეგლების დიდი ნაწილი ძვ. წ. VI – III ათასწლეულებით თარიღდება. ახლო აღმოსავლეთში უძველეს მიწათმოქმედ – მესაქონლე ტომთა კულტურები ძვ. წ. VIII –VII ათასწლეულებით თარიღდება. ენეოლითის კულტურებს უკავშირდება შუა აზიის სამხრეთში გავრცელებული ჯეითუნის კულტურა (ძვ. წ. VI-V). ჩინეთის სამიწათმოქმედო ენეოლითი (იანშაო) ეკუთვნის IV – III ათასწლეულს. ეგვიპტესა და ჩრდ. აფრიკაში სამიწათმოქმედო ენეოლითი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებით თარიღდება. კავკასიაში ენეოლითის ძეგლები ძირითადად თავმოყრილია დას. ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი – დას. საქართველოში. აქ გვხვდება როგორც ადრინდელი ენეოლითური უკერამიკო ენეოლითის კომპლექსები (ქობულეთი, ხუცუბანი, ანასეული I, ხორში, გალი I და სხვ.). გვხვდება აგრეთვე განვითარებული ენეოლითის ხანის კომპლექსები (ოდიში, ანასეული II, კისტრიკი, გურიანთა, მელიური და სხვ.). აღმ. ამიერკავკასიის ვრცელი ტერიტორია (აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, არარტის ველი და სამხ. – აღმ. საქართველო) ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში ათვისებული ჰქონდათ მიწათმოქმედ – მესაქონლე ტომებს (შულავერ – შომუთეფეს კულტურა), რომლის ადრეული ძეგლები (შულავრისგორა, გადაჭრილიგორა, იმირის გორა, შომუთეფე, ხათუნარხი და სხვ.) ყველა ნიშნის მიხედვით განვითარებულ ენეოლითს მიეკუთვნება. ცენტრ. კავკასიის მთისწინა ზოლში, კავკასიის ორივე კალთაზე, გავრცელებული ჩანს მონადირე – მეთევზეთა და შემგროვებელთა ზონალური კულტურა პალურ-ნაგუთანის ტიპისა, რომელიც კოდორიდან არაგვ-თერგის აუზამდე ჩანს გავრცელებული. ამ კულტურას ახასიათებს თავისებური ქვის ინდუსტრია, რომელიც მთიან ზონაში გავრცელებული მეზოლითის საფუძველზე იყო განვითარებული /თ. კილურაძე/.

132. **ნიკელი** – (ლათ. nīccolum), მოვერცხლისფრო-თეთრი, ჭიმვადი და პლასტიკური ლითონი; დედამიწის ქერქში ნიკელის შემცველობაა $5,8 \cdot 10^{-3}\%$. არასუფთა სახით ნიკელი პირველად მიიღო შვედმა ქიმიკოსმა ა. კრონსტედტმა 1751 წელს. უფრო სუფთა სახით იგი მიღებული იყო 1804 წელს გერმანელ ქიმიკოსის ი. რიხტერის მიერ. სახელწოდება „ნიკელი“ მომდინარეობს მინერალ კუპფერნიკელისაგან (NiAs), რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ XVII ს-ში. ნიკელის საერთო წარმოების დაახლოებით 80%-ს სულფიდური სპილენძ-ნიკელის მადნებისაგან იღებენ. ნიკელს ძირითად შენადნობების მისაღებად იყენებენ. სუფთა ქადადი ნიკელი ფართოდ გამოიყენება სამონეტო საქმიანობაში.
133. **ნიმბეზლიქი** – თურქული ვერცხლის მონეტა; იჭრებოდა საქართველოშიც. **იხ. ონლიქი.**
134. **ნოიზილბერი** – (გერმ. noisilber), მელქიორი (გერმ. melchior, ამ შენადნობის სახელწოდება ფრანგი გამომგონებლების მაიოს (Maillot) და შორიეს (Chorier) სახელებიდან მომდინარეობს), სპილენძის შენადნობი ძირითადად ნიკელთან (5-30%). ადრე მელქიორს უწოდებდნენ როგორც სპილენძ-ნიკელის, ისე სპილენძ-ნიკელ-თუთიის შენადნობებსა და მოვერცხლილ თითბერსაც. ნოიზილბერი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება სამონეტო საქმიანობაში.
135. **ნომინალი** – (ლათ. nominalis – სახელობითი < nomen – სახელი, სახელწოდება). ფასიანი ქაღალდის (აქცია, ობლიგაცია და ა. შ.), ქაღალდის ფულის, მონეტის ნომინალური ღირებულება.
136. **ნომისმა** – ნიკიფორე ფოკას (963-968 წწ.) დროიდან პირველად ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში მოიჭრა ორი განსხვავებული წონითი სტანდარტის მქონე მონეტა: სრულწონიანი – ჰისტამენონ ნომისმა (4,40 გრ.) და შემსუბუქებული წონის (3,81-4,08 გრ.) ტეტარტერონ ნომისმა; მიხეილ IV-ის (1034-1041 წწ.) დროიდან ჰისტამენონს ეძლევა ჩადრმავებული ფორმა, ხოლო ტეტარტერონის ფორმა ტრადიციულად ბრტყელი დარჩა. საქართველოში, როგორც ამას აღმოჩენები მოწმობს (დვირის განძი), ჰისტამენონ ნომისმა ჯარბობდა /გ. დუნდუა/.
137. **ნოქალაქევი** – ისტორიული ციხე – ქალაქი დასავლეთ საქართველოში (ახლანდელი სოფელი ნაქალაქევი), ისტორიული წყაროების თანახმად, ააგო ეგრისისა და სვანეთის ერისმთავარმა ქუჯიმ (ძვ. წ. III ს – ის დასაწყისში), ციხე – ქალაქის აგება განპირობებული იყო სტრატეგიული მოსაზრებით და მოსახლეობის სიმრავლით. ქალაქის თავდაპირველი სახელწოდება იყო ციხეგოჯი, უფრო გვიან იგი მოხსენიებულია ბერძნული სახელწოდებით – არქეოპოლისი. ნოქალაქევი ეგრისის ერთ –ერთი დიდი და ძლიერი ქალაქი იყო. VIII ს – ის 30 – იან წლებში ქალაქი არაბმა სარდალმა მარვან იბნ მუჰამადმა (მურვან ყრუ) დაარბია. შემდგომში იგი ჩვეულებრივი დასახლებული პუნქტი იყო, XVI-XVIII სს – ში ოდიშის მმართველთა

დადიანთა რეზიდენცია. ნოქალაქევი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ძვ. წ. IV-III სს – ის სამაროვანში მიცვალეზულეს პირში ედოთ კოლხური თეთრი, სამარხში ხელოვნების იშვიატ ნიმუშებთან ერთად აღმოჩნდა სპილენძისა და ოქროს მონეტები; აღსანიშნავია აქვე აღმოჩენილი ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიოსის (582 – 622 წწ.) სახელით მოჭრილი 23 ოქროს მონეტის განძი /ვ. ზაქარაია/.

138. **ნუმი** – (< ლათ. nummus - მონეტა), სპილენძის მონეტა; პირველად მოჭრეს ბიზანტიაში იმპერატორ ანასტასიოს I – ის (491 – 518 წწ.) დროს; მირითადად იჭრებოდა 40, 20, 10 და 5 – ნუმიანი მონეტები, ზურგზე შესაბამისად აღნიშნებოდა ასოებით (M, K, I, E). ნუმისი ემისია გრძელდებოდა ბასილი I – ის (867 – 886 წწ.) მმართველობამდე. ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში განსაკუთრებით ზევირ აღმოსავლეთში ბიჭვინთაში /გ. დუნდუა/.

139. **ნუმიზმატიკური პროვინცია** – უცხოური მონეტების გავრცელების არეალი და დასაქმების სიხშირე ამა თუ იმ ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში.

140. **ნუმიზმატიკა** – (ლათ. Numisma - მონეტა) ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მონეტებს. ნუმიზმატიკა, როგორც მეცნიერული ტერმინი, შუა საუკუნეებიდან იხმარება. თავდაპირველად მასში მონეტებისა და მედლების შეგროვება იგულისხმებოდა, რასაც საფუძველი ჩაეყარა იტალიაში XIV-XV სს-ში; აქედან გავრცელდა ის სხვა ქვეყნებშიც. კოლექციონერობას კერძო პირები მისდევდნენ, მაგრამ მალე მან სახელმწიფოებრივი ღონისძიების ხასიათი მიიღო და ევროპის მუზეუმებში შეიქმნა ნუმიზმატიკური კაბინეტები. დაარსდა ხუთი დიდი ნუმიზმატიკური ცენტრი: ლონდონში, პარიზში, ვენაში, ბერლინსა და პეტერბურგში. ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელია ავსტრიელი ნუმიზმატი ი. ეკელი (1737-1798).

141. **ნუმიზმატი – კოლექციონერები** – ანტიკური მონეტებით გატაცება დაიწყო იტალიაში რენესანსის (აღორძინების) ეპოქაში. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ნაბიჯი მეცნიერული ნუმიზმატიკის შექმნის საქმეში კოლექციონერობა, მონეტების შეგროვება იყო. ამდენად, ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების ისტორია საწყის ეტაპზე ფაქტობრივად მონეტების შეგროვების ისტორიაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის იგივეობის ნიშანი დავსვათ. პირიქით, მათ შორის პრინციპული სხვაობაა. ერთ-ერთი პირველი კოლექციონერი იყო ცნობილი ჰუმანისტი პოეტი პეტარკა (1304-1374 წწ.), რომელმაც რომაული მონეტების ბრწყინვალე კოლექცია შეაგროვა. ანტიკური მონეტების შესანიშნავი კოლექციები შეაგროვეს ფლორენციელმა მეცენატმა კოზიმო მედიჩიმ (1389-1464 წწ.) და ნეაპოლის მეფემ ალფონს არაგონელმა. XV საუკუნეში ეს გატაცება იტალიის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება. ევროპის სახელმწიფოს თითოეული მმართველი ცდილობდა რაც შეიძლება კარგი და მრავალრიცხოვანი კოლექცია შეეგროვებინა. კოლექციონერობით გატაცებული იყვნენ ავსტრიისა და საფრანგეთის იმპერატორები და მეფეები მაქსიმილიან პირველი (1459-1519 წწ.), ანრი IV (1589-1610 წწ.), ლუი XIV (1661-1715 წწ.) და მაკგრაფი გეორგ ვილჰელმი (1619-1640 წწ.) და სხვ. /გ. დუნდუა/.

142. **ნუმიზმატიკური პროვინცია** – უცხოური მონეტების გავრცელების არეალი და დასაქმების სიხშირე ამა თუ იმ ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში.

143. **ობოლი – იხ. დრაქმა.**

144. **ონლიქი** – თურქული ვერცხლის მონეტა; მოჭრა დაიწყო სულთან ოსმან II –ის (1618 -1622 წწ.) დროს; წონა – დაახლოებით 3 გრ.; მისი ემისია გამოწვეული იყო ახჩის წონისა და სინჯის კატასტროფული დაცემით. ონლიქს ჰქონდა დანაყოფები: ბეშლიქი და ნიშეშლიქი. 1723 წელს ოსმალთა მიერ თბილისის აღების შემდეგ სამივე ნომინალი თბილისის ზარაფხანაშიც მოიჭრა აჰმედ III-ისა (1703 -1730 წწ.) და მაჰმუდ I – ის (1730 -1754 წწ.) სახელით. აჰმედ III - ის მონეტის შუბლზე ცენტრში გამოსახულია აჰმედ III – ის თულრა. მის ქვემოთ სამტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „მოიჭრა თბილისის (ჰიჯრით) 115 (1703 წ.). ესაა აჰმედის ტახტზე ასვლის და არა მონეტის მოჭრის თარიღი; ზურგზე – ოთხსტრიქონიანი ზედწერილია: „სულთან იორი ხმელეთისა და ხაკანი ორი ზღვისა, სულთან, ძე სულთნისა“. მაჰმუდ I – ის დროს მონეტის ტიპი გამარტივდა, შუბლზე მაჰმუდ I –ის თულრაა, ზურგზე არაბულად აწერია: „იქედა თბილისის (ჰიჯრით) 1143 წ. (1730/31 წწ.)“ /გ. დუნდუა/.

145. **ორნოვანი მონეტა** – ე. ი. ისეთი მონეტები, რომლებზეც წარწერები ორ ენაზეა მოცემული; მაგ., ქართულ ძველებურ მონეტებზე ქართულთან ერთად მოთავსებული იყო უმეტესად არაბული ან სპარსული წარწერები, XIX ს – დან – რუსული, 1995 წლიდან – ინგლისური.

146. **ორთაღი** – საქართველოში შუა საუკუნეების ვაჭართა საკრედიტო ასოციაცია, რომელსაც 1259 წლის სიგელით ორთაღი (მონღოლურად – ამხანაგობა) ეწოდებოდა; ორთაღი ასრულებდა უცხოური ფულის ადგილობრივზე გადახურდავებას.
147. **„ორი დავითის მონეტა“** – დავით VII ულუს (1247-1270 წწ.) დასავლეთ საქართველოში ყოფნის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ბიზანტიური ტიპის უთარილო ვერცხლის მონეტა, რომელიც „ორი დავითის მონეტის“ სახელით არის ცნობილი. მონეტაზე ორი მეფეა გამოსახული და მას მხოლოდ ქართული წარწერა აქვს. ერთი დავითი მეფეთ – მეფედ მოიხსენიება, მეორე კი მეფედ. რომელ დავითს ეკუთვნის მეფეთ - მეფის ტიტული მნელი სათქმელია, რადგან წერილობით წყაროებში ორივე დავითი მეფეთ - მეფედ იხსენიება.
148. **ორტა** – პოლონური ვერცხლის მონეტა; სახელწოდება გერმანული წარმოშობისაა და ტალერის მეოთხედ ნაწილს აღნიშნავს; მოიჭრა 1608 წელს რეჩ – პოსპოლიტაში, ქ. გდანსკის ზარაფხანაში, წონა – 7,6 გრ.; შუბლზე გამოსახულია მეფის ბიუსტი პროფილით, მოჭრის თარიღის დასაწყისი ციფრები და მეფის სახელი და ტიტულატურა ლათინურად; ზურგზე ქ. გდანსკის გერბი და მოჭრის თარიღის ბოლო ციფრები და ლათინური ზედწერილი: „ქალაქ გდანსკის მონეტა“. 1616 წ - დან ორტის მოჭრა დაიწყეს ბიდგომის, ვარშავისა და კრაკოვის ზარაფხანებში. ასეთი ორტის შუბლი ზემოაღწერილის მსგავსია; ზურგზე გამოსახულია რეჩ – პოსპოლიტას გერბი, თარიღი და ლათინური ზედწერილი. ემისია გაგრძელდა XVIII ს - ის ბოლომდე. საქართველოში XVII ს - ში მიმოქცევაში იყო რეჩ - პოსპოლიტისა (სიგიზმუნდ III-ის) და ბრანდენბურგ-პრუსიის (გეორგ ვილჰელმის) ორტები. აღმოჩენილია როგორც ცალობით, ისე განძების სახით – ზესტაფონი, შინდისი, ჭანჭათი, აბასთუმანი და სხვ. /რ. ქებულაძე/.
149. **ოსმალური ახჩა** – XV ს – დან ფართოდ გავრცელდა ოსმალური ახჩა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც მათ მიხედვით იჭრებოდა კიდევ ცალმხრივ სიქანაკრავი მინაბამები. საკუთრივ ქართულ ფულზეც შეინიშნება ოსმალური სამონეტო ტრადიციის გავლენა თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე კი, ხოლო XV ს - ის II ს – ის ნახევრის ქართული მონეტების ტიპები პირდაპირ ნასესხებია მათი თანადროული ოსმალური სავაყებთან.
150. **ოქრო** – (ლათ. Aurum), რბილი და ძლიერპლასტიკური, ყვითელი ფერის ლითონი; ოქროს უძველესი დროიდან იცნობდნენ ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ინდოეთსა და ჩინეთში; იგი მოხსენიებულია ბიბლიაში, „ილიადაში“, „ოდისეაში“ და ძველი ლიტერატურის სხვა ძეგლებში. ოქროს უძველესი დროიდან იყენებენ ხელოვნებაში. უძველესი დროიდან ოქროსაგან ამზადებდნენ მონეტებს. განსაკუთრებით ანტიკურ ეპოქაში; შუა საუკუნეებში ოქროსა და ვერცხლის მონეტები თანაბარი რაოდენობით მიმოიქცეოდა, XIX ს-ის შუა წლებიდან ოქრომ ფულის ძირითადი ლითონის ფუნქცია შეიძინა, ვერცხლისაგან კი მხოლოდ გაცვლით მონეტებს ამზადებდნენ. დღესდღეობით ოქრო საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციას ასრულებს. სასაქონლო სამყაროში ოქროს ფულის ფუნქცია იმიტომ დააკისრა, რომ როგორც ფულად საქონელს მასაც გააჩნია საუკეთესო ფიზიკური და ქიმიური თვისებები: ერთგვაროვნება, გაყოფდობა, პორტატიულობა (მცირე მასა და მოცულობა და დიდი ღირებულება) და სხვ. ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება მონეტების დასამზადებლად ან ცენტრალური ბანკების მარაგის სახით. ქართულ ცნობიერებაში ოქრო უპირველესად „ოქროს საწმისთან“ და თამარ მეფის „ოქროს ხანასთან“ ასოცირდება. **იხ. სინჯი.**
151. **ოქროს ბაზრები** – განსაკუთრებული ცენტრები, სადაც ხორციელდება ოქროს რეგულარული ყიდვა-გაყიდვა. ოქროს ყიდვან ძირითადად ოქროს მომპოვებელი ქვეყნები და ოქროს მარაგის კერძო მფლობელები: ყიდულობენ კერძო ფირმები და პირები, მრეწველები, ინვესტორები, თეზავრატორები, ზოგჯერ ცენტრალური ბანკებიც. ოქროს ბაზრები ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, ლეგალურად არსებობს. იმ სახელმწიფოებში, სადაც მოქალაქეებს ეკრძალებათ ოქროს ყიდვა-გაყიდვა, ფუნქციონირებს არალეგალური, „შავი“ ოქროს ბაზრები; ოქროს ბაზრების მეტი წილი ემსახურება თავისი ქვეყნის მრეწველობასა და თეზავრატორების მოთხოვნას. მრავალი ოქროს ბაზარი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. უმეტესად ასეთ ბაზრებზე ხდება ოქროს ძირითადი მასის რეალიზაცია. ამ ბაზრებზე ოქროს შემოტანა და გატანა თავისუფალია. XIX ს-ის დასაწყისიდან ოქროს მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი არის ლონდონი, რომლის მეშვეობით ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოპოვებული ოქროს რეალიზაცია. მთავარი საერთაშორისო ოქროს ბაზრებია ლონდონსა და ციურხში. ამ ბაზრების დაფიქსირებული ოქროს ფასი ითვლება მის მსოფლიო ფასად.
152. **ოქრო თვითნაბადი** – თვითნაბადი ელემენტების კლასის მინერალი, ქიმიურად წარმოადგენს ოქროს, რომელიც მყარი ხსნარის სახით შეიცავს ვერცხლსა და მცირე რაოდენობით სხვა მინარევებს. კრისტალდება კუბურ სინგონიაში. კრისტალები ოქტაედრული, რომბოიდოდეკაედრული, კუბური ან უფრო რთული ფორმისა აქვს; ხშირია დამახინჯებული კრისტალები, მავთულეები, თმისებრი წარმონაქმნები და სხვა; ყვითელია, მინარევების გამო შეიძლება იყოს ღია ყვითელი, მოწითალო ან მომწვანო. სიმკვრივე მინერალოგიური სკალით 2,5; სიმკვრივე – 15600–18700 კგ/მ³. ნაწილაკების ზომა მეტად ცვალებადია. 5 გრ–ზე მეტი მასის აგრეგატს ზოდი ეწოდება. ბუნებაში ოქრო ძირითადად თვითნაბადი სახით გვხვდება.

153. **ოქროს მადნები და ქვიშრობები** - ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები, რომლებშიც ოქროს საშუალო შემცველობა და საერთო რაოდენობა იმდენია, რომ მისი მოპოვება ეკონომიკურად ხელსაყრელია. მადნებში ოქრო ძირითადად თვითნაბადი სახითაა, გვხვდება აგრეთვე როგორც ტელურიდები (კავალერიტი და სხვა), რომელთაც ნაკლები სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ოქროს საბადოები იყოფა ძირეულად და ქვიშრობებად. ძირეული საბადოებია ჰიდროთერმული გზით წარმოქმნილი მარდები, მათი სისტემები, ბუდობები და მარდულ-ჩაწინკლული მადნიანი ზონები. ოქროს მადნებში ოქროსა და ოქროს ნაერთის გარდა, ჩვეულებრივ, შედის კვარცი, რკინის სულფიდები (პირიტი, მარკაზიტი), არსენობირიტი, აგრეთვე სხვადასხვა სულფომარილი, ჟანგეული და კარბონატი. ოქროს მადნების დიდი ძირეული საბადოებია შუა აზიაში, სომხეთში, ურალში, ენსიეესპირეთში, აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, ავსტრალიაში, აფრიკის მრავალ სახელმწიფოში. სამრეწველო რაოდენობით ოქრო გროვდება ზოგიერთ სულფიდური საბადოს ჟანგვის ზონაშიც. ქვიშრობები წარმოადგენს ძირეული საბადოებისა და ოქროსშემცველი ქანების ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნამსხვრევი მასალის ფხვიერ (ზოგჯერ შეცემენტებულ) ოქროსშემცველ ნალექებს. ყველაზე დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს როგორც თანამედროვე, ისე განამარბებულ ალუვიურ ქვიშრობებს. უდიდესი ქვიშრობებია აღმოსავლეთ ციმბირის მდინარეთა აუზებში, აშშ-ში – ალასკა, კალიფორნია; კანადაში, ავსტრალიასა და სხვა. მეტამორფიზებული ქვიშრობების (ოქროსშემცველი კონგლომერატი) განსაკუთრებულ ტიპს ეკუთვნის ვიტვატერსანტის უდიდესი საბადო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.
154. **ოქროს მანეთი** – პირობითი ფულის ერთეული (0,774235 გრ. ხალასი ოქრო) რუსეთში; შემოიღეს 1895–1897 წლების ფულის რეფორმის შემდეგ. ამის შედეგად წარმოიშვა ოქროს მონომეტალიზმი. ოქრობოდა აგრეთვე 5, 10, 15 – მანეთიანი (**იხ. იმპერიალი**), აგრეთვე 7,5 – მანეთიანი (ნახევარიმპერიალი) ოქროს მონეტები. ოქროს მონეტები მიმოქცევაში იყო 1914 წლამდე. 1921–1922 წლებში ოქროს მონეტას იყენებდნენ საანგარიშო ერთეულად.
155. **ოქროს მარაგი** - ოქროს სარეზერვო მარაგი ზოდებისა და მონეტების სახით, რომელიც ეკუთვნის ქვეყნის ცენტრალურ საემისიო ბანკს ან ხაზინას.
156. **ოქროს მოპოვებელი მრეწველობა** - ოქროს მოპოვებელი სამთო მრეწველობის დარგი. ჩვენს ერში ოქროს მოპოვებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. მდიდარი საბადოები აღმოჩენილი იყო განაში (1471 წ.), მექსიკაში (1500 წ.), პერუსა და ჩილეში (1532 წ.), ბრაზილიაში (1577 წ.), რუსეთში (ურალი, 1745 წ.), კანადაში (1823 წ.), აშშ-ში (1848–1890 წწ.), ალასკაზე (1890 წ.), ავსტრალიაში (1851 წ.), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (1884 წ.). ოქროს მდიდარი საბადოების შემდგომი აღმოჩენებისა და ტექნიკური განვითარების შედეგად XIX ს–ის დასასრულს და XX ს–ის დასაწყისში ოქროს ოქროს უფრო მეტი რაოდენობით მოიპოვებდნენ. მაგალითად, XVI ს–ში მოიპოვეს 763 ტ., XVII ს–ში 914 ტ., XVIII ს–ში 1890 ტ., XIX ს–ში 11616 ტ., XX ს–ში 1971 წლამდე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გარეშე – 54714 ტ.
157. **ოქროს პარიტეტი** - (ლათ. paritas - თანასწორობა, სრულფასოვნობა), 1. ეროვნულ ფულად ერთეულში კანონით ფიქსირებული ხალასი ოქროს წონითი შემცველობა. ოქროს მიმოქცევისა და ქაღალდის ფულის ოქროზე შეუზღუდავი გადაცვლის დროს ოქროს ფასი ეროვნულ ფულად ერთეულში შეესაბამებოდა ამ ერთეულის ოქროს წონით რაოდენობას. მაგ., თუ აშშ დოლარის ოქროს შემცველობა 1934 წელს კანონით 0,888671 გრ. ოქროს შეადგენდა, მაშინ ერთი სამონეტო უნცია (31,1035 გრ.) ხალასი ოქროს ფასი 35 დოლარს ეტოლებოდა. ეს ფასი ოფიციალური იყო მსოფლიო ბაზარზე. 2. ორი ფულადი ერთეულის თანაფარდობა, გაანგარიშებული კანონით ფიქსირებული ოქროს შემცველობის საფუძველზე. იგი გვიჩვენებს სხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც ხალასი ოქროს იმავე რაოდენობას შეიცავს, რამდენიც კანონით არის დაწესებული მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულისათვის. მაგ., გირვანქა სტერლინგი შეიცავდა 2,13281 გრ. ხალას ოქროს, ხოლო ფრანგული ფრანკი – 0,161 გრ., ე. ი. გირვანქა სტერლინგში 13,33–ჯერ მეტი ოქრო იყო, ვიდრე ფრანკში. ამიტომ მათი საპარიტეტო კურსი შეადგენდა 1 გირვანქა სტერლინგს – 13,33 ფრანკს. ოქროს სტანდარტის დროს ვალუტის კურსი მერყეობდა პარიტეტის ირგლივ ოქროს წერტილების ფარგლებში.
158. **ოქროს სავალუტო რეზერვები** - ხაზინისა და ცენტრალური ბანკების კუთვნილი კუთვნილი ოქროს მარაგი ზოდებისა და მონეტების სახით, უცხოეთის ვალუტით გამოხატული სახსრები საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშზე და უცხოეთის ბანკნოტები და მონეტები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წევრ–ქვეყნები თავის ოქროს სავალუტო რეზერვებში რთავენ ლიმიტის თავისუფალ ნაშთს, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ გამოითხოვონ სსფ–დან უცხოეთის ვალუტა. ამ ლიმიტის მთლიანი ჯამი განისაზღვრება ფონდის კაპიტალში ქვეყნის კვოტის ანგარიშზე ოქროთი შესატანის ოდენობით, ხოლო 1970 წლის დასაწყისიდან აგრეთვე იმ სახსრების ჯამით, რომელიც მას სსფ–ში ვალუტის მიღების სპეციალურ უფლებას აძლევს. ოქროს სავალუტო რეზერვი ძირითადად ასრულებს საერთაშორისო სადასახდლო საშუალებების ფუნქციას და აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის

დასაფარავად, აგრეთვე ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად. ქვეყნის ოქროს სავალუტო რეზერვი არ არის მუდმივი სიდიდე. ოპტიმალურია მისი ისეთ დონეზე შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს სხვა ქვეყნისათვის კუთვნილი გადასახდელის დროულად და შეუფერხებლად დაფარვას. ოქროს სავალუტო რეზერვის გამოლევა იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანას არასახარბილო სავალუტო მდგომარეობა აქვს. კაპიტალისტური ქვეყნების მთლიანი ოქროს სავალუტო რეზერვი მათი იმპორტის ერთობლივ ღირებულებასთან შეფარდებით განუზრვლად მცირდება. ეს ძირითადად გამოწვეულია არასაკმარისი რაოდენობის ოქროს შემოტანით.

159. ოქროს საწმისი – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყავი (ბეწვი) ვერძისა, რომელმაც ორქომენოსის (ელადა) მეფის, ათამასის, ქალ-ვაჟი ჰელე და ფრიქსე განარაღა დედინაცვალს და აიის ქვეყანაში, ანუ კოლხეთში გადახვეწა. მეფე აიეტმა შეიფარა ფრიქსე (მისი და ჰელე გზაში დაიღუპა), ვერძი მსხვერპლად შესწირა ზევსს, „დედნითა მფარველს“ (ფიქსიოსს), ხოლო მისი ოქროსბეწვიანი ტყავი, ე. წ. ოქროს საწმისი, არესის ჭალაში ჩამოვიდა და დარაჯად მარად ფხიზელი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული მიუჩინა. ოქროს საწმისი ელადაში დააბრუნეს არგონავტებმა, რომლებიც ამ მიზნით კოლხეთში გაგზავნა იოლკოსის მეფე პელიამ. ოქროს საწმისია გამოსახული პირველ ქართულ ოქროს საინვესტიციო მონეტაზე (2006 წ.). **იხ. ქართული საინვესტიციო ოქროს მონეტები.**

160. ოქროს სტანდარტი - ოქროს მონომეტალიზმი, ფულადი სისტემა, რომლის დროსაც საყოველთაო ეკვივალენტის როლს ოქრო ასრულებს, ხოლო მიმოქცევაში ფუნქციონირებს ოქროს მონეტები ან ოქროზე გასაცვლელი ფულადი ნიშნები. ოქროს მონომეტალიზმის სისტემა ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთში XVIII ს-ის ბოლოს, ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. ოქრომონეტარული სტანდარტისათვის, რომელიც ოქროს მონომეტალიზმის კლასიკური ფორმაა, დამახასიათებელია ოქროს მონეტის თავისუფალი მიმოქცევა და ოქროს მიერ ფულის ყველა ფუნქციის შესრულება. ოქროს არასრულფასოვანი ფული თავისი ნომინალური ღირებულებით შეუზღუდავად იცვლებოდა ოქროზე. ოქრო თავისუფლად შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. ამით უზრუნველყოფილი იყო მისი ფუნქცია მსოფლიო ფულის როლში და მოცემული ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის სიმტკიცე. ოქრომონეტარული სტანდარტი შეესაბამებოდა განვითარებადი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს, ხელს უწყობდა მისი საკრედიტო სისტემის განვითარებას, საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის გატანის ზრდას. იმპერიალიზმის დროს ოქრომონეტარული სტანდარტი საყოველთაოდ გავრცელდა, მაგრამ ამასთან ერთად დაიწყო მისი საფუძვლების რყევა, უპირველეს ყოვლისა, შეიზღუდა ოქროს მონეტების თავისუფალი მოჭრა, შემდგომ კი აიკრძალა და მიმოქცევიდან იქნა ამოღებული. საერთო ეკონომიკურმა კრიზისმა ძირი გამოუთხარა ოქროს სტანდარტს. 1914–1918 წლებში ფართოდ გავრცელდა ქალაქის ფულის ემისია. 1924–1928 წლებში ევროპის მრავალ ქვეყანაში ომის შემდგომი ფულადი რეფორმების შედეგად შემოიღეს ოქროს სტანდარტის ახალი ფორმები: ოქროზოდური სტანდარტი, რომლის დროს ბანკნოტების გაცვლა არსებითად შეიზღუდა, იცვლებოდა მხოლოდ ოქროს ზოდებზე (12,4 კგ. ინგლისში, 12,7 კგ. საფრანგეთში); ოქროდევიზური სტანდარტი, რომლის დროს ბანკნოტები იცვლებოდა არა მარტო ოქროზე, არამედ სხვა ქვეყნების ვალუტაზეც, ეს უკანასკნელი კი შეიძლება გაცვლილიყო ოქროზე. ოქროს სტანდარტის ახალმა ფორმებმა არ გაამართლა 1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო წარმოშობილი სავალუტო კრიზისის შედეგად. საერთაშორისო სავალუტო სისტემას, რომელიც გაფორმდა 1944 წელს ბრეტონვუდში, ზოგჯერ უწოდებენ ოქროთაშორის სტანდარტს, ვინაიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების თანახმად, მის წევრ-ქვეყნებს თავისი საგადასახდელი ბალანსების დეფიციტის დასაფარავად რეზერვები უნდა ჰქონდეს ოქროსა და დევიზებში (ძირითადად აშშ-ის დოლარებში). მაგრამ აშშ-ის ოქროს მარაგის შემცირების გამო ოქროზე ქალაქის დოლარის გაცვლა განულებული იყო სხვა ქვეყნების მთავრობებისა და ცენტრალური ბანკებისთვისაც კი. 1971 წელს აშშ-ში ოფიციალურად შეწყვიტეს ასეთი გაცვლა.

161. ოქროთი უზრუნველყოფა - ოქროს სარეზერვო ფონდი, რომელიც გამოიზნულია საბანკო ემისიის, ზოგიერთ ქვეყანაში კი ცენტრალური საემისიო ბანკის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად. ოქროს სტანდარტის პერიოდში ოქროთი უზრუნველყოფა ვალუტის სიმტკიცის გარანტიას ემსახურებოდა. ამჟამად მრავალ ქვეყანაში ფულადი ემისიისა და ცენტრალური ბანკის სხვა ვალდებულებების ოქროთი უზრუნველყოფა გაუქმებულია. ოქროთი უზრუნველყოფის კანონი ზოგიერთ ქვეყანაში (შვეიცარია, ბელგია და სხვა) ტრადიციის ძალით მოქმედებს.

162. ოქროს წერტილები - ქვეყნებს შორის ოქროს მიმოქცევისა და ოქროს თავისუფალი მოძრაობის პირობებში ვალუტების კურსის სამონეტო პარიტეტისაგან გადახრის ქვედა და ზედა ზღვარი. ოქროს წერტილები განისაზღვრებოდა ქვეყნებს შორის ოქროს გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯებით (ტრანსპორტი, დაზღვევა). არც ერთი ვალუტის კურსი ოქროს მიმოქცევისა და ოქროს თავისუფალი შემოტანა-გატანის პირობებში არ აღემატებოდა ოქროს წერტილების ზედა ზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადამხდლებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ოქრო გაეგზავნათ კრედიტის ქვეყანაში და გაეცვალათ ეროვნულ ვალუტაზე პარიტეტის მიხედვით. ამ შემთხვევაში მოხდებოდა ოქროს მოდინება მოცემული

- ვალუტის ქვეყანაში. ხოლო ოქროს წერტილების ქვედა ზღვარის მიდწევისას უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ქვეყნიდან ოქროს გატანა, ე. ი. დაიწყებოდა მისი ინტენსიური უკუქეცვა. ოქროს სტანდარტის გაუქმებისა და სავალუტო შეზღუდვების შემოღების შემდეგ ოქროს წერტილებმა დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა.
163. **ოქროს ძველებური მონეტები** – ძველი ბერძნული სამყაროს ოქროს ფულს ეწოდება სტატერი, რომაულს – აურეუსი; აქემენიანთა ერანში იჭრებოდა ოქროს მონეტა დარიკი, თურქეთში – ალთუნი.
164. **პალადიუმი** – (ლათ. palladium), მორუხო-თეთრი ფერის რბილი ლითონი; ბუნებაში გვხვდება პლატინის ჯგუფის ლითონებთან ერთად.
165. **პანტიკაპეონის სტატერი** – ოქროს მონეტა, რომელიც იჭრებოდა ძვ. წ. IV ს – ის 70 – იანი წლებიდან ამავე საუკუნის დასასრულამდე ბოსფორის სამეფოს დედაქალაქ პანტიკაპეონში (ახლანდელი ქ. ქერჩი). თავდაპირველად იწონიდა 9,10 გრ., შემდეგ – 8,55 გრ. შუბლზე გამოსახულია გრძელწვერა სატირი, ზურგზე – მარცხნივ მიმართული ლომისთავა გრიფონი, რომელსაც პირში შუბი აქვს გაჩრილი. სამი ბერძნული ასო ΠΑΝ (პან) ქალაქის სახელწოდებას გადმოსცემს. 1901 წელს სვანეთში აღმოჩენილი სამონეტო განძი დაახლოებით 30 ცალ პანტიკაპეონის სტატერს შეიცავდა /გ. დუნდუა/.
166. **პართული დრაქმა** – ძვ. წ. III – ახ. წ. III სს –ში პარტიის სამეფოში მოჭრილი ვერცხლის მონეტები. შუბლზე გამოსახულია პართიის მეფის დიადემიანი ბიუსტი (ზოგი მათგანი, შესაძლებელია, პორტრეტულიც იყოს); ზურგზე – მარჯვნივ მიმართული, ომფალოსზე ან ტახტზე მჯდომი დინასტიის დამაარსებლის არშაკის სქემატური გამოსახულება მოზიდული მშვილდისრით. მრავალსტრიქონიანი ბერძნული ზედწერილით გადმოცემულია არშაკის სახელი და ვრცელი ტიტულატურა. პართული დრაქმის წონა იცვლებოდა ეპოქების მიხედვით (იყო 4 გრ–ზე მეტი და 3 გრ–ზე ნაკლები). ძვ. წ. I – ახ. წ. I სს – ში პართული დრაქმა ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მცხეთასა და მის მიმდებარე რაიონებში /გ. დუნდუა/.
167. **პატინა** – მონეტის სიძველის ერთგვარი ელფერი, რომელიც ფარავს და იცავს მონეტის ზედაპირს.
168. **პერპერა** - (<ბერძნ. hyperpyron – გავარვარებული, გაწმენდილი ოქრო), ბიზანტიური ოქროს მონეტა ჰიპერპერონი, ჩადრმავებული ფორმისა. ემისია უკავშირდება ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) სამონეტო რეფორმას., დაახლოებით 1092 წელი. ბიზანტიურ წყაროებში ტერმინი პერპერა იხსენიება 1093 წლიდან და ოქროს მონეტების ერთადერთი სახელწოდებაა XII-XIII სს - ში და XIV ს - ის I ნახ - ში. ტერმინი პერპერა გვხვდება ქართულ წერილობით წყაროებშიც; კერძოდ, ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში, დავით აღმაშენებლის ანდერძში, „ვეფხისტყაოსანში“. პერპერა აღმოჩენილია საქართველოში – გურჯაანის ბიზანტიური ოქროს მონეტების განძში /გ. დუნდუა/; ბერძნული წარმოშობის ტერმინი, ასახავს X ს -ში დამკვიდრებული ოქროს ფულის ძირითად ერთეულს; მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საკუთრივ ქართული ოქროს ფული არ იჭრებოდა, პირველად X ს - ში შემოღებული ეს ტერმინი შემდეგშიც იხმარებოდა; ამ ტერმინს იყენებს ევროპელი მოგზაური პლანკარპინი და XIII ს - ის ისტორიკოსი ჯაქარია ყაზვინი /დ. კაპანაძე/.
169. **პირველი მონეტა** – მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში გახდა აუცილებელი საქონლის ღირებულების საზომისა და ფასების მასშტაბის შემოღება. თავდაპირველად ამგვარი საზომის როლს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა საქონელი, უპირატესად ლითონის ზოდები ასრულებდა. ქ. წ. VII ს-ის დასაწყისში მცირე აზიაში იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყანაში – ლიდიაში – საქონლის ღირებულების საზომად შემოიღეს დისკოს ფორმის, განსაზღვრული წონისა და სინჯის მქონე ელექტრუმის ზოდები, რომელთა სრულფასოვნობის გარანტიას სახელმწიფო იძლეოდა. ამის ნიშანი იყო ზოდებზე დაჭედული სახელმწიფო ზეჭედი – დამდა. ეს იყო პირველი მონეტა.
170. **პირველი ქართულწარწერიანი მონეტები** – VI ს - ის დასარულს ქართლის ერისმთავრებმა მოჭრეს საკუთარი ვერცხლის მონეტა – ქართულ - სასანური დრამები, რომლებზეც პირველად ფულის ისტორიაში ქართული ზედწერილები და ქრისტიანული სიმბოლიკა – ჯვრის გამოსახულება გაჩნდა.
171. **პირველყოფილი ფული** – სხვადასხვა წონისა და ზომის ბრინჯაოს მასიური რგოლები, რომელთაც ხუთ - ხუთ ცალს ერთად ასხმულს პოულობენ არქეოლოგები საქართველოში ქ.წ. II-I ათასწლეულების სამარხებში, როგორც ჩანს, საფასის როლს ასრულებდნენ. უძველესი საფასები უნდა ყოფილიყო ვერცხლის (9 ცალი) და ოქროს (3 ცალი) პრიზმის ფორმის დამდაკარული ზოდები, რომლებიც ქ. წ. VIII – VII საუკუნის სხვა არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად აღმოჩნდა 1891 წელს გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯთან. ეს უნიკალური ზოდები პეტერბურგში გადაადნეს.
172. **პლაკირებული მონეტა – იხ. სუბერატი.**

173. **პლატინა** – (ლათ. platinum), მწვანე-ცისფერი კეთილშობილი ლითონი. თვითნაბად პლატინას უძველესი დროიდან იცნობენ ეგვიპტეში, ეთიოპიაში, საბერძნეთსა და სამხრეთ ამერიკაში. XVI ს-ში ესპანელმა კონკისკადორებმა კოლუმბიაში თვითნაბად ოქროსთან ერთად აღმოაჩინეს მკრთალი თეთრი ლითონი, რომლის გადნობა ვერ მოახერხეს. მას უწოდეს platina (< კნინ. Plata-ვერცხლი). დედამიწის ქერქში პლატინა ძირითადად თვითნაბადი სახით გვხვდება.
174. **პოლტორაკი** – XVII ს - ის დასაწყისიდან საქართველოში გაჩნდა ტალერის ჯერადი უფრო მცირე ნომინალები – პოლონური და ბრანდენბურგ-პრუსიული ორტები და პოლტორაკები (დრაიპოლკერები), რომლებიც ადვილად ჩაერთო ფულად მიმოქცევაში, რადგანაც ისინი წონით შეესაბამებოდნენ ირანული ფულადი სისტემის აბაზს და შაურს. ევროპული ვერცხლის ფულის შემოტანა საქართველოში შეფერხდა უკრაინისათვის რუსეთ-პოლონეთის 1648-1654 წლების ომის დროს, როცა გადაიკეტა დნეპრის სავაჭრო გზა.
175. **პონტოს სამეფო** – (ბერძნ. Pontos – შავი ზღვა), ელინისტური სახელმწიფო ჩრდ.-აღმ. მცირე აზიაში ძვ. წ. 302 (301) – 64 წ. წ.; დააარსა ქ. ქიოსის ყოფილმა დინასტმა, აქემენიდთა გვარის წარმომადგენელმა მითრიდატე II-მ (იხსენიება როგორც მითრიდატე III- დ, ასევე მითრიდატე I-ად). დასავლეთით ესაზღვრებოდა პაფლაგონია (მდ. ჰალისი), ჩრდილოეთით – შავი ზღვა, აღმოსავლეთით – კოლხეთი (მდ. ჭოროხი), სამხრეთით – არმენია, კაპადოკია და გალატია. ძირითად მოსახლეობას კაპადოკიელები შეადგენდნენ. პონტოს სამეფომ თანდათანობით მიიერთა შავი ზღვის (ეგქსინის პონტო, აქედან – სახელმწიფოს სახელწოდება) სანაპიროს ბერძნული ქალაქები და აღმოსავლეთ საზღვრებზე მცხოვრები ტომები: ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები, სანები, სასპერები და სხვა ქართველური ტომები. დედაქალაქი იყო ამასია. ძირითადი ქალაქები ზღვის სანაპიროზე იყო: სინოპი, ამისოსი, თემისკირა, პოლემონიონი, კოტიორა, ტრაპეზუნტი და სხვა; ქვეყნის შიგნით – ამასია, გაზელიონი, კომანა, კაბეირა და სხვა; მდიდარი იყო ხე-ტყით, მადნეულით (რკინა, სპილენძი, ვერცხლი), სამოვრებით, ნოყიერი ნიადაგით. განვითარებული იყო გემთმშენებლობა, მეტალურგია, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მევენახეობა, მებაღეობა. პონტოს სამეფოს ქალაქებში მონათმფლობელური ურთიერთობა ბატონობდა, სოფლებში კი, როგორც ჩანს, შემორჩა თემი და თავისუფალ მწარმოებელთა შრომის ექსპლუატაცია. გაბატონებული ფენა ბერძნულ კულტურას, ენასა და დამწერლობას ითვისებდა. არიობარხანეს და მითრიდატე II-ის მმართველობის დროს (ძვ. წ. III ს.) პონტოს სამეფოს მძიმე ბრძოლები ჰქონდა გალატასთან. ქვეყანა ძლიერდებოდა ძვ. წ. II ს-ის დასაწყისიდან ფარნაკე I-ის მეფობის დროს (ძვ. წ. 185–169 წ. წ.), რომელმაც 183 წ. ხელში ჩაიგდო სინოპი (თავის რეზიდენციად გამოაცხადა, მოგვიანებით იგი სატახტო ქალაქად იქცა) და ომი დაიწყო რომის მფარველობაში მყოფი პერგამონის სამეფოს წინააღმდეგ (ფარნაკეს ომი). მან წარმატებით დალაშქრა ბითინია, გალატია, პაფლაგონია და კაპადოკია. განმტკიცდა კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ათენსა და კ. დელოსთან. ქვეყნის ძლიერებისთვის ბევრს ზრუნავდა მითრიდატე V ევერგეტე (ძვ. წ. 150–120 წ. წ.), რომელსაც რომთან „მოკავშირეობა და მეგობრობა“ ჰქონდა. შექმნა დაქირავებულთა ჯარი ბერძნების ყაიდაზე ბერძენი მეთაურებით და საზღვაო ფლოტის მშენებლობას შეუდგა. გააფართოვა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი საბერძნეთთან, რომსა და შავი ზღვის კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრებთან. პონტოს სამეფოს აყვავებისა და ნამდვილი ძლიერების ეპოქა მითრიდატე VI ევპატორის ხანაა (ძვ. წ. 120–63 წ. წ.). მან მოახდინა საომარი ძალების რეორგანიზაცია და დაიწყო სახელმწიფო საზღვრების გაფართოება. დაიპყრო ბოსფორის სახელმწიფო, აზოვის ზღვის აუზი, ტამანი და მდ. ყუბანის ქვემო წელი. მითრიდატე VI ევპატორი შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთიდან ყოველწლიურად ღებულობდა 180 ათას მედიმნ ხორბალს და 20 ვერცხლის ტალანტს. აქედანვე ავსებდა საომარ ლაშქარს. ძვ. წ. I ს. 90-იან წწ-ში მითრიდატე VI ევპატორმა შემოიერთა კოლხეთი, საიდანაც გაჰქონდა ძეღვევა, სელი, კანაფი, ცვილი და ლაშქრად გაჰყავდა „შმაგად მეომარი“ კოლხი მხედრები და ზღვაოსნები. დაიმორჩილა მცირე არმენია და კავშირი შეკრა თრაკიასთან, იბერიასთან, დიდ არმენიასა და პართიასთან. დაიწყო პირველი, ე. წ. მითრიდატული, ომი (ძვ. წ. 89–85/84 წ. წ.) რომთან. მითრიდატე დაპყრობილ ოლქებში მონებს ათავისუფლებდა. მითრიდატე VI ევპატორის პოლიტიკამ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების მმართველების უკმაყოფილება გამოიწვია და ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდნენ, რამაც ხელი შეუწყო რომაელების გამარჯვებას. 83 წ-ს რომაელებმა ომი განაახლეს. მითრიდატე VI ევპატორმა რომაელები დაამარცხა, მაგრამ მის შემდგომ წინცვლას ხელი შეუშალა კოლხეთის აჯანყებამ. 74 წ-ს დაიწყო III მითრიდატული ომი. 66 წ-ს გნეუს პომპეუსმა მითრიდატე VI ევპატორი საბოლოოდ დაამარცხა და დაიპყრო. ძვ. წ. 47 წ-ს პონტოს სამეფოს არსებობა სამუდამოდ შეწყდა /ლ. სანიკიძე/.
176. **პუნსონი (პუანსონი)** – (ფრანგ. – poincon), ლითონების მტამპვისა და წნეხვის დროს გამოყენებული იარაღის ერთ - ერთი მთავარი დეტალი - პატარა ზომის ტვიფრი ციფრის, ასო-ნიშნის ან ასო-ნიშანთა ჯგუფის რელიეფური გამოსახულებით.
177. **რევერსი** – (ინგ. reverse < ლათ. revertor – უკან ვაბრუნებ, ვბრუნდები), მონეტის ან მედლის მეორე მხარე, ზურგი; რევერსის გამოსახულებას გამოსაცნობი ფუნქცია აკისრია, მისი დახმარებით ადგენენ მონეტის მოჭრის ადგილს (სახელმწიფოს, ქალაქს) /გ. დუნდუა/.

178. **რეგულარული (სამწყობრო) ჭედვა** - მონეტების მოწესრიგებული მანქანური ჭედვა მრგვალ ნამზადებზე.

179. **„რეზას ზღურბლი“** - მერვე შიიტი იმამის, რეზას, აკლდამა მემკვიდრეში.

180. **რემედიუმი** – (ლათ. remedium, რისამე საწინააღმდეგო საშუალება), მონეტის სინჯისა და წონის კანონით დასაშვები გადახვევა საეტალონო ერთეულიდან; ოქროს მონეტის სტანდარტის დადგენილი ნორმიდან მონეტის ფაქტობრივი მასის გადახრის ზღვარი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ.

181. **რენესანსი** – აღორძინება (ფრანგ. renaissance), კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი (XIV – XVI სს.) დას. და ცენტრ. ევროპის მრავალ ქვეყანაში (ქრონოლოგიური საზღვრები: იტალიაში – XIV – XVI სს.. სხვა ქვეყნებში XV ს. დასასრული და XVI ს.). რენესანსი წარმოიშვა შუა საუკუნეების ქალაქის კულტურის საფუძველზე. მისი კულტურის სპეციფიკური ნიშნებია: ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, საერო ხასიათი, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი (აქედან სახელწოდება – „აღორძინება“, რომელიც მეცნიერებაში დამკვიდრდა XVIII ს–იდან). რენესანსის ეპოქაში მოხდა ფასეულობათა გადაფასება, შეხედულებების შეცვლა აწყმოსა და წარსულზე. უდიდესი წარმატებები იყო მიღწეული ლიტერატურის, ფილოსოფიის, არქიტექტურის, მხატვრობის, საბუნებისმეტყველო და სხვა მეცნიერებებში.

182. **რენოვაცია** – მონეტების რენოვაცია გულისხმობს ძველი მონეტების ახლით შეცვლას. შუა საუკუნეებში მონეტათა რენოვაცია დროის გარკვეული შუალედურობით ხასიათდებოდა (წელიწადში რამოდენიმეჯერ, ყოველწლიურად ან რამოდენიმე წელიწადში ერთხელ), რაც მოქმედი მონეტის გაუფასურებით იყო განპირობებული.

183. **რკინა** - (ferrum), მზზინვარე მოვერცხლისფრო-მოთეთრო ლითონი. რკინა ცნობილია წინასტორიული დროიდან. ადამიანი პირველად, ალბათ, მეტეორიტულ რკინას გაეცნო, რაზეც მიგვანიშნებს მისი დასახელება უძველესი ხალხების ენებზე, მაგ., ძველბერძნული „ჰენი-პეტი“ ნიშნავს „ციურ რკინას“. ვარაუდობენ, რომ რკინის მადნებისაგან პირველად აზიის დასავლეთ ნაწილში მიიღეს ძვ. წ. II ათასწლეულში. ამის შემდეგ რკინას იყენებდნენ ბაბილონში, ეგვიპტეში, საბერძნეთში. საქართველოს ტერიტორია მიჩნეულია რკინის წარმოების უძველეს კერად. ბიზანიაში მოხსენიებულია, რომ აქ მოზინადრე ტომები უხსოვარი დროიდან მისდევდნენ ლითონების, კერძოდ, რკინის წარმოებას. ამასვე გვაუწყებს ძვ. ბერძნული და სხვა წერილობითი წყაროები. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებული, რომ რკინის წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის დასაწყისში დაიწყო, მაგ., რაჭაში რკინის დამზადება-ჭედვა უხსოვარი დროიდანაა ცნობილი). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია რკინის მისაღები ქურები, რომლებიც აგრეთვე საქართველოში რკინის უძველეს წარმოებაზე მიგვითითებს. მრავალი საუკუნის განმავლობაში რკინის მადნისაგან ცივბერითი პროცესით იღებდნენ მადანს, საიდანაც რკინა უნდა მიეღოთ, ხის ნახშირით აღადგენდნენ ორმოში მოწყობილ ქურაში, რომელშიც ჰაერს საბერველით ჭირხნიდნენ; აღდგენილ პროდუქტს (გუნდას) აცილებდნენ წიდას და მისგან ჭედვით სხვადასხვა ნაკეთობებს ამზადებდნენ. ბერძნის ხერხის გაუმჯობესებისა და ქურის სიმაღლის გადიდების შედეგად გაიზარდა, რაც იწვევდა რკინის ნაწილის დანახშირბადებას. ამის შემდეგ კი მიიღებოდა თუჯი, რომელსაც სიმყიფის გამო წარმოების ნარჩენად მიიჩნევდნენ. XII-XIII სს-ში ცივბერითი პროცესი საგუნდო პროცესით შეიცვალა (რკინას ქურაში თუჯის გაწმენდით ღებულობდნენ). XIV ს-დან თუჯს იყენებდნენ ნახევარპროდუქტად როგორც შემდგომი გადამუშავებისათვის, ისე სხვადასხვა ნაკეთობის ჩამოსასხმელ მასალად. ამავე პერიოდში ქურის რეკონსტრუქციის შედეგად შექმნეს სხტური ღუმელი, შემდეგ კი ბრძმედი. XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში განვითარდა ალქმედი ღუმლის რკინიანი წიდი დატკეპნილ ქვედზე თუჯის რკინად გადაკეთების პულდინგპროცესი. ფოლადის მასობრივი გამოშვება დაიწყო XIX ს-ის შუა წლებში, როცა შეიმუშავეს ბესემერის, ტომასისა და მარტენის პროცესები. ლითონსფეროში რკინას ალუმინის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს (4,65% მასის მიხედვით) ლითონებს შორის. რკინა თანამედროვე ტექნიკის უმნიშვნელოვანესი ლითონია. სუფთა რკინა მცირე სიმტკიცის გამო პრაქტიკულად არ გამოიყენება. რკინის ძირითად მასას იყენებენ ნაირგვარი შედგენილობის შენადნობების სახით. რკინისა და მისი შენადნობების წარმოება განუწყვეტელივ იზრდება.



რკინის სიმბოლო.

184. **რკინის მადანი** - ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნი, რომელიც ისეთი ნაერთების სახითაა და ისეთი რაოდენობით შეიცავს რკინას, რომ მისგან ლითონის ამოღება ეკონომიკურად მიზანშეწონილია. რკინის მადნები ერთმანეთისაგან განსხვავდება მინერალური შედგენილობის, რკინის შემცველობის, სასარგებლო და მავნე მინარეჟების რაოდენობის, წარმოქმნის პირობებისა და სამრეწველო თვისებების მიხედვით.

185. **რკინის შენადნობი** - ლითონური სისტემები, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია (როგორც წესი, ჭარბი რაოდენობით) რკინა. რკინის შენადნობები ჩვეულებრივ შეიცავს მინარეჟებს (მანგანუმს, სილიციუმს, გოგირდს, ფოსფორს და სხვა), აგრეთვე მალეგირებელ ელემენტებს. უმნიშვნელოვანესი რკინის შენადნობია რკინანახშირბადოვანი შენადნობები (ფოლადი, თუჯი). რკინის შენადნობს განეკუთვნება აგრეთვე რკინის ფუძეზე მიღებული სპეც. შენადნობები (მაღალი ელექტრული წინაღობის, მაგნიტური, არამაგნიტური, მზურვალმტკიცე და სხვ.) და ფეროშენადნობები. რკინის შენადნობის წილად მოდის მთელი ლითონური პროდუქციის 95%-მდე.

186. **რომის იმპერია** - ერთ-ერთი პირველი იმპერია, რომელიც ანტიკურ ეპოქაში წარმოიქმნა იყო რომის იმპერია. ძლიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდა რომაული იმპერია, რომელიც თავისი აღმავლობის პერიოდში (ჩვ. წ. II ს-ის დასაწყისიდან) მოიცავდა თითქმის მთელ დასავლეთ და სამხრეთ ევროპას, წინა აზიას, შავი ზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას. 395 წელს იგი ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ რომაულ და აღმოსავლეთ რომაულ იმპერიებად. ამ უკანასკნელმა ბიზანტიის იმპერიის სახელწოდებით კიდევ ათას წელს იარსება, 1453 წლამდე. მომდევნო ეპოქებში წარმოქმნილმა სხვა მსოფლიო იმპერიებმა ბევრი რამ შეითვისეს რომის იმპერიის გამოცდილებიდან /ზ. კიკნაძე/.

187. **რუსულ - ქართული ფული** - XIX ს - ის დასაწყისში საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ - ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით გადაწყდა ფულის ნიშნების თბილისში მოჭრის საკითხი. 1804 - 1834 წწ - ში თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა ვერცხლის „ქართული თეთრი“ და სპილენძის „ქართული ფული“. რუსულ - ქართული ფული აბაზის ჩვეული სისტემით უნდა მოჭრილიყო და მასზე მხოლოდ ქართული ზედწერილები ყოფილიყო. ფულის ნომინალი ორივე მათგანზე ქართული ასო - ნიშნებით იყო აღნიშნული, რომელთაც ციფრების მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულ წარწერებთან ერთად თბილურ ორაბაზიანებზე ზარაფხანის მთავარ ზარაფთა ინიციალებია მოთავსებული (იხ. ზარაფი). იჭრებოდა უმეტესად ვერცხლის მონეტები - „ქართული თეთრი“, 1810 წ - ის შემდეგ კი სპილენძის ფული საერთოდ არ მოჭრილა. „ქართული ფულის“ შუბლზე გამოსახულია საქალაქო გვირგვინი, რომლის ქვეშ მოთავსებულია ქართული ასოთანიშნები, რომლებიც აღნიშნავენ სათვალელი ფულადი ერთეულის შესაბამისობას ნომინალში და უტოლდებათ 2, 1 და 1/2 რუსულ კაპიკს. ქვემოთ არის წარწერა: „ქართული ფული“, თარიღი დაწერილია რუსული ასო - ნიშნებით. რუსულ - ქართულ ფულზე აღნიშნულ ასო - ნიშანთა ციფრული მნიშვნელობები:

ა - 1	დ - 4	ზ - 7	ი - 10	რ - 100	უ - 400
ბ - 2	ე - 5	ფ - 8	კ - 20	ს - 200	ყ - 800
გ - 3	ვ - 6	თ - 9	ლ - 30	ჩ - 1000	

188. **საინვესტიციო მონეტა** - (ინვესტიცია - /გერმ. Investition<ლათ. Investio - ვაცმევ/, მოგების მიღების მიზნით კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება კორპორაციაში, აქციებში, ობლიგაციებში ან სხვ.), კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული ფულის ნიშანი; მას ძირითადად კაპიტალის საიმედო დაბანდებისა და შენახვის ფუნქცია აქვს; წარმოადგენს ასევე გადახდის კანონიერ საშუალებას, თუმცა, როგორც წესი, საინვესტიციო მონეტის ნომინალი ბევრად ნაკლებია მის რეალურ ღირებულებაზე. საინვესტიციო მონეტებს გააჩნიათ ასევე საკოლექციო და სასაჩუქრო ფუნქციები. ჭედვის ტექნოლოგიის მიხედვით საინვესტიციო მონეტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: 1) უმაღლესი ხარისხის სერის (IPYD) საინვესტიციო მონეტებს ახასიათებთ - მონეტის სარკისებური ზედაპირი, მკრთალი რელიეფური გამოსახულებისა და ლეგენდების არსებობა, კომპოზიციურად რთული და მრავალფეროვანი მოხატულობა რევერსზე, არის მცირე ტირაჟით მოჭრილი და მხატვრული და ნუმისმატიკური მნიშვნელობის გამო, გაცილებით ძვირია იმ კეთილშობილ ლითონზე, რომლითაც ეს მონეტები დამზადდა; 2) ჩვეულებრივი ხარისხის სერის საინვესტიციო მონეტები - არა აქვთ სარკისებური ზედაპირი; გამოსახულება, მონახატი და ლეგენდა - ერთნაირი ზედაპირული ფაქტურით; რევერსზე - მარტივი ნახატი; მათი ტირაჟი განუსაზღვრელია; დაბალი თვითღირებულის საფასურად (ჭედვის ტრადიციული ავტომატიზირებული მეთოდი) ჩვეულებრივი ხარისხის მონეტების ფასი უახლოვდება მათში შემავალ ძვირფასი ლითონების ფასს.

189. **საიუბილეო მონეტა** – სამახსოვრო მონეტა, მოჭრილი ისტორიული თარიღის, ფაქტის, პიროვნებისადმი მიძღვნილი ან რარიტეტული დატვირთვით; მიმოქცევაშია მცირე ტირაჟით და ძირითადად ნუმისმატიკურ იშვიათობას წარმოადგენს.
190. **საოკუპაციო მონეტა** – დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტა; აქ იგულისხმება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრილი მტრის ადმინისტრაციისა და ან გარნიზონების მიერ მოჭრილი ნიმუშები. მაგ., XVIII ს–ის პერველ ნახევარში, როდესაც ოსმალებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს თბილისში ფული მოიჭრა აჰმედ მესამისა და შემდეგ მაჰმუდ პირველის სახელით; ან პირიქით, XVIII ს–ის დამლევს მეფე ერეკლეს მიერ დაპყრობილ განჯაში, მისი ნაცვლები რამდენიმე წლის განმავლობაში თბილური აბაზიანების მსგავს მონეტებს ჭრიდნენ /დ. კაპანაძე/.
191. **საოკუპაციო მონეტა (საქართველოში) – იხ. ჯუჭიღური ფული.**
192. **საკრედიტო მონეტა** – მონეტა, რომლის რეალური ღირებულება ნომინალურზე დაბალია. **იხ. ქართული საკრედიტო მონეტა.**
193. **სამახსოვრო მონეტა** – ტერმინი აერთიანებს საიუბილეო, სასაჩუქრო და სხვა სპეციალურ მონეტებს, რომელთა დასამზადებლად გამოიყენება როგორც ძვირფასი, ისე სხვა სახის ლითონები. მონეტის მოჭრის ტექნოლოგიები და მხატვრული გაფორმების მეთოდები სამახსოვრო მონეტებს ანიჭებს საკოლექციო ან სხვა სპეციფიკურ თვისებებს და განსაზღვრავს მათ რეალურ ღირებულებას. სამახსოვრო მონეტები გამოყენებისა და დანიშნულების მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად: **I კატეგორია** – სამახსოვრო მონეტა განკუთვნილია უშუალოდ მიმოქცევისათვის და წარმოადგენს ჩვეულებრივ ფულად ერთეულს; ეს მონეტები მიმოქცევაში გამოიყენება მათზე აღნიშნული ნომინალური ღირებულებით. ამ კატეგორიის მონეტები შესაბამისი დამუშავების შემდეგ (ყუთში ან კაფსულაში მოთავსება, „პრუფ“ ვარიანტი /მონეტის დამუშავების მეთოდი, როდესაც მისი არე სარკისებურია, ხოლო წარწერები და რელიეფური გამოსახულება – ხაოიანი/ და ა. შ.) შესაძლოა ნუმისმატიკური დანიშნულებით იქნეს გამოყენებული. **II კატეგორია** – აერთიანებს მხოლოდ ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტებს, შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ გადახდის საშუალებას და ნომინალის აღმნიშვნელი ციფრიც მხოლოდ სიმბოლურია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება – ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ყველა სახის მონეტა; როდესაც მოჭრილ მონეტათა რაოდენობა არ აღემატება 1000 ცალს; მონეტა, რომელიც მასზე აღნიშნული ნომინალით, დიზაინით, ზომით ან სხვა პარამეტრით არ შეესაბამება მიმოქცევისათვის განკუთვნილ ფულად ერთეულის პარამეტრებს. **III კატეგორია** – ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტა, რომელზეც არ არის აღნიშნული ნომინალი და დამზადებულია სუვენირის სახით ან წარმოადგენს ძველი მონეტის ასლს.
194. **სამონეტო კონვენციები და კავშირები** – სახელმწიფოებს შორის შეთანხმება მონეტის წონისა და სინჯის სტანდარტიზაციისა და მათი ურთიერთმიღების შესახებ /ქსე/. მონეტებში გამოხატული ღირებულების ერთეულის საზომის დასადგენად თითოეულ ქვეყანას აქვს მთავრობის სათანადო დადგენილებანი. ზოგჯერ რიგი სახელმწიფოებისა ერთიანდება საერთო სამონეტო სისტემის მისაღებად. ასეთ შეთანხმებას, ანუ კონვენციას ადგილი ჰქონდა, მაგ., 1865 წელს საფრანკეთს, იტალიას, ბელგიასა და შვეიცარიას შორის. ამ კონვენციას შემდეგში არაოფიციალურად შეუერთდნენ ესპანეთი, საბურძნეთი და რუმინეთი. ასეთივე შეთანხმება 1872 წელს მოხდა სტოკჰოლმში, სადაც დანიას, შვედეთსა და ნორვეგიას შორის დადებული იყო, ე. წ. სკანდინავიის, ანუ ჩრდილოეთის სამონეტო კონვენცია /დ. კაპანაძე/.
195. **სამონეტო პარიტეტი** – 1. კანონმდებლობით დადგენილი სავალუტო ლითონის შემცველობა მონეტაში. 2. სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის თანაფარდობა მონეტაში კანონმდებლობით დადგენილი წმინდა ოქროს (ვერცხლის) რაოდენობის შესაბამისად.
196. **სამონეტო რიგი** – მონეტათა განსაზღვრული რაოდენობა განსაზღვრული წონის ლითონიდან უნდა მოჭრილიყო, სამონეტო რიგი განსაზღვრავს შეფარდებას ლითონის წონასა და მისგან მოჭრულ მონეტათა რიცხვს შორის.
197. **სამონეტო სუვერენიტეტი** – ქვეყნის სამონეტო საქმიანობის უზრუნველყოფისა და ორგანიზების სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება.
198. **სამონეტო ტიპი** – მონეტაზე მოთავსებული გამოსახულებები და ლეგენდები (ზედწერილები), რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ფენის იდეოლოგიას გამოხატავს. სამონეტო ტიპის საშუალებით ადგენენ მონეტის მოჭრის ადგილს, დროსა და ნომინალს. სახელმწიფო სამონეტო ერთეულად იღებს განსაზღვრული რაოდენობის (წონის) ლითონს და მათ განსაკუთრებულ სახელებს აძლევს (მაგ., დრაქმა, სტატერი, დირჰემი, ტალერი, ფრანკი, მარკა და სხვ.).

199. **სამონეტო რეგალია** - (ლათ. regalis – სამეფო), სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება მონეტების მოჭრასა და მიმოქცევაში გაშვებაზე. სამონეტო რეგალიის საფუძველზე სახელმწიფო ახორციელებს სამონეტო კანონმდებლობას, განსაზღვრავს მონეტის დასახელებას, მასალას, სინჯს, წონას, ზომას, მის გარეგან განმასხვავებელ ნიშნებს, რემედიუმს და ა.შ.
200. **საოკუპაციო მონეტა** – იხ. ჯუჭიდური ფული.
201. **სასანიანები** – სამეფო დინასტია ირანში (226–651 წწ.); წარმოშობით ფარსიდან იყვნენ; სახელი ეწოდა სასანის მიხედვით, რომელიც ქალღმერთ ანაჰიტას ტაძრის ქურუმი იყო და ფარსის სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისი შვილი პაპაკი ისთახრის მმართველი იყო (მას მეფის ტიტული ჰქონდა). პაპაკის შვილმა არდამირ I – მა დაამარცხა უკანასკნელი პართელი მეფე არტაბან V და თავისი ძალაუფლება გაავრცელა მთელ რიგ ოლქებზე, რომლებიც ადრე პართიის სახელმწიფოში შედიოდა. სასანიდების ხელმწიფეებს შაპურ I-დან (242–273 წწ.) მოყოლებული ირანის და არა ირანის მეფეთმეფის (შაჰინშაჰის) წოდებულება ჰქონდათ. III ს – ში, სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მიზნით, ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა ზოროასტრიზმი, რომლის გავრცელებასაც სასანიანები IV ს – დან იბერიასა და სომხეთშიც ცდილობდნენ; მაგრამ ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. სასანიანების დროს ირანში მიმდინარეობდა ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა–განვითარების პროცესი. გაბატონებული კლასი შედგებოდა ქურუმთა, მხედართა და „მწერალთა“ (მოხელეთა) პრივილეგირებული წოდებისაგან. სასანიანების ირანის ეკონომიკური ცხოვრების საფუძველი მიწათმოქმედება იყო. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხელოსნობა და სატრანსპორტო ვაჭრობა ინდოეთ–ჩინეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან. სასანიანების წინააღმდეგ მიმართული სახალხო მოძრაობები რელიგიური ხასიათისა იყო. III ს – ში ირანსა და შუა აზიაში ფართოდ იყო გავრცელებული მანიქეველთა მოძრაობა. V ს – ის ბოლოს კავად I-ის დროს იფეთქა დიდმა ანტიფეოდალურმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მაზდაკი. მაზდაკელთა მოძრაობის ობიექტური შედეგი იყო ქურუმებისა და დიდებულების გავლენის შესუსტება, სახელმწიფოს ცენტრალიზაცია, ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი განვითარება. სასანიანების ირანში მაღალ დონეზე იყო კულტურა. სასანიანები საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ რომს (ბიზანტიას) სომხეთის, იბერიის, ლაზიკის, ჩრდ. მესოპოტამიისა და არაბეთის ნახევარკუნძულის ხელში ჩასაგდებად. გაუთავებელი ქიშპი ჰქონდათ შუა აზიის მომთაბარე და ბინადარ ხალხებთან (ხიონიტები, კიდარიტები, ეფტალიტები). 484 წ. ეფტალიტებთან ბრძოლაში დაიღუპა პეროზი. სასანიანებმა დაკარგეს უზარმაზარი ტერიტორია მარვის აღმოსავლეთით. შუააზიელი და ამიერკავკასიის ხალხები თავგამოდებით იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ; 451 წ. სომხეთში იფეთქა დიდმა აჯანყებამ, 481–484 წწ. ვახტანგ გორგასლის მეთაურობით სასანიანების წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველები, სომხები და ალბანელები. 571 წ. სომხეთში კვლავ დიდი აჯანყება მოხდა. ხანგძლივმა ომებმა, რომელთაც გააღარიბეს ქვეყანა, გადასახადების მკვეთრმა ზრდამ, სოციალური უთანასწორობის გაძლიერებამ დაასუსტა სასანიანების ირანი, რითაც ისარგებლეს არაბებმა და ბოლო მოუღეს მას /დ. კაციტაძე/.
202. **სასანური დრაქმა** – სასანიანთა ირანში მოჭრილი ვერცხლის მონეტა; საქართველოში გავრცელებული იყო VI-VII სს – ში. ფულის სასანური სისტემა დამყარებული იყო ძვ. ბერძნულ დრაქმაზე, რომლის მასა იმ დროს 4 გრ–მდე დაწესდა. სასანიანები ჭრიდნენ დრაქმებს, ნახევარდრაქმებს, განსაკუთრებულ შემთხვევაში – წვრილ ნომინალებსაც, მცირე რაოდენობით სპილენძისას, იშვიათად – ოქროსას (ძირითადად სასაჩუქროდ). სასანური დრაქმის შუბლზე მოთავსებულია მეფის მკერდზევითა გამოსახულება, რომელსაც თავზე ფრთებიანი გვირგვინი აქვს; სახის მარჯვნივ და მარცხნივ მეფის სახელი და კეთილმოსურნე ფორმულაა ფალაურად; ყველაფერი მოქცეულია რკალში, რომლის გარეთ სამი ნახევარმთვარეა შიგ ჩასმული ვარსკვლავებითურთ. ზურგზე – ცენტრში გამოსახულია საკურთხეველი და ზედ ანთებული წმინდა ცეცხლი (მაზდეანობის სიმბოლო), რომელსაც მახვილზე დაყრდნობილი მცველები დარაჯობენ; მათგან მარცხნივ მოცემულია მეფის მმართველობის წელი, როდესაც მოიჭრა მონეტა, მარჯვნივ – ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური მონოგრამა; გარეთა არეზე – ნახევარმთვარე ვარსკვლავებითურთ. VI-VII სს – ში ქართლის ერისმთავრებმა სასანური დრამის ტიპის საკუთარი მონეტა მოჭრეს /ი. ჯალაღანია/. **იხ. ქართლის ერისმთავრის დრაქმები.**
203. **საჰეყერანი** – ირანის შაჰების ტიტული, რაც ნიშნავს „ვარსკვლავთა ბედნიერი თანხედრის მფლობელს“.
204. **სელჩუკური დირჰემი** – რუმის სასულთნოში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული XIII ს – ის საქართველოში. სელჩუკური დირჰემის წონა 2,8 – 3 გრ., რაც უახლოვდება რუსუდან დედოფლის დირჰემის წონას. მონეტის შუბლისა და ზურგის ზედწერილებში იხსენიება არაბი ხალიფა და სელჩუკი სულთანი /ი. ჯალაღანია/.
205. **სეფიანები** – დინასტია, რომელიც მეფობდა ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთის ნაწილსა და ავღანეთში 1502 – 1736 წწ – ში; სეფიანები თავს თვლიდნენ არდებიდის სუფიურ–დერვიშული ორდენის შეიხის სეფი აღდინ ისპაის (1252 –1334 წწ.) შთამომავლებად. XV ს – ის II ნახ – დან ისინი მსხვილ ფეოდალებად იქცნენ,

აქტიურად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანში პირველობისათვის ატეხილ შინაურ ბრძოლებში. სეფიანებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს ყიზილბაშური (თურქულ – თურქმენული, აზერბაიჯანული) ტომების დახმარებით. სეფიანების დინასტიის დამარსებელი ისმაილ I იყო. პირველ ხანებში სეფიანების სახელმწიფოში წამყვან როლს ასრულებდა ყიზილბაშური ფეოდალური არისტოკრატია. დედაქალაქი იყო ჯერ თავრიზი (1502 – 154 წწ.), შემდეგ ყაზვინი – (1548 – 1598 წწ.). სასახლის კარზე და ჯარში გაბატონებული იყო თურქულ – აზერბაიჯანული ენა. შაჰ აბას I – ის დროს (1587 – 1629 წწ.) ყიზილბაშურმა არისტოკრატამ დაკარგა პირველობა სახელმწიფოში. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, შაჰ აბას I – მა ჩაატარა ჯარის რეორგანიზაცია, რამაც ძირი გამოუთხარა ყიზილბაშური არისტოკრატის ძლიერებას. სეფიანების ძირითადი დასაყრდენი გახდა, ე. წ. „ახალი არისტოკრატია“ (ქართველები, სომხები, ჩერქეზები), ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია და მიწათმფლობელები. დედაქალაქი გადაიტანეს ისპაჰანში (1598 წ.). ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ განაპირობა ვაჭრობა – ხელოსნობის სწრაფი განვითარება. გაფართოვდა სავაჭრო – ეკონომიკური კავშირი ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანასთან. მნიშვნელოვნად განვითარდა ფეოდალური კულტურა (ისტორიოგრაფია, არქიტექტურა, მინიატურა, კედლის მხატვრობა და სხვ.). სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა შიიზმი. XVI ს – ში ირანში დაიწყო უცხოელი ვაჭარ – კოლონიზატორების შეჭრა. XVI ს – ის დასაწყისში პორტუგალიელებმა ხელთ იგდეს კ. ჰორმუზი (ისინი აქედან ინგლისელთა ფლოტის დახმარებით განდევნეს 1622 წ – ს), შემდეგ ირანში გაიხსნა ევროპული ოსტინდოეთის კომპანიის სააგენტოები; ირანის ქალაქებში გაჩნდნენ მისიონერები, რომელთა მოღვაწეობაც საფუძველს უმზადებდა ქვეყნის შემდგომ დაკაბალეებას. XVII ს – ის ბოლოდან გლეხთა და ხელოსანთა სასტიკი ექსპლუატაციისა და მათი გაჩანაგების შედეგად დაიწყო სეფიანების სახელმწიფოს შესამჩნევი დაცემა, რასაც ხელს უწყობდა გაუთავებელი ომები თურქეთსა და უზბეკეთის სახანოსთან. XVIII ს – ის დასაწყისიდან გახშირდა დაპყრობილი ხალხების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ავღანელები) აჯანყებები. სეფიანების სახელმწიფო დაეცა 72 წ – ს მომთაბარე ავღანელთა შემოსევის შედეგად. სეფიანების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი აბას III მოკლეს ნადირ ხან ავშარის ბრძანებით 1736 წ–ს. სეფიანების დინასტიის შაჰები: ისმაილ I (1502 – 1524 წწ.), თამაზ I (1524 – 1576 წწ.), ისმაილ II (1576 – 1577 წწ.), მუჰამად ხუდაბანდა (1578 – 1587 წწ.); აბას I (1587 – 1629 წწ.), სეფი I (1629 – 1642 წწ.), აბას II (1642 – 1666 წწ.), სულეიმანი (1666 – 1694 წწ.), სულეიმან ჰუსეინი (1694 – 1722 წწ.), თამაზ II (1722 – 1732 წწ.), აბას III (1732 – 1736 წწ.) /დ. კაციტაძე/.

206. **სიკლი** – იგივე სიკილა, აქემენიდური ირანის ვერცხლის მონეტა. მისი ემისია დაიწყო ძვ. წ. VI ს–ის II ნახ–დან. ძვ. წ. IV ს–ის 30–იან წლებამდე სამონეტო მიმოქცევაში აქტიურ როლს ასრულებდა; წონა – 5,6 გრ.; სიკლის შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული, ცალ ფეხზე დაჩოქილი წვეროსანი მეფე, რომელსაც გრძელი სამოსი აცვია და ხელში შუბი უჭირავს. ესაა ირანის მეფის ზოგადი პორტრეტი. ზურგზე გამოსახულია ჩაჭედული სწორკუთხედი; საქართველოში აღმოჩენილია სურამის ტერიტორიაზე /გ. დუნდუა/.

207. **სიმბოლო** – (ბერძნ. symbolon – ნიშანი), 1. გრძობად–აღქმადი ობიექტი, რომელსაც შეთანადებული აქვს ნებისმიერი ბუნების სხვა ობიექტი, როგორც მისი მნიშვნელობა. არ არის აუცილებელი, რომ სიმბოლო ჰგავდეს თავის მნიშვნელობას. სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური საგანი ან მოვლენა, ისე აზროვნებისეული ობიექტი – საგანთა თვისება, საგნობრივი ვითარება. სიმბოლო აღქმად – მატერიალურ სახეს აძლევს აზროვნების პროცესებს და ამით ქმნის ცოდნის დაგროვების, შენახვისა და გადაცემის საშუალებას. ზოგჯერ სიმბოლოს იყენებენ „პირობითი ნიშნის“ სინონიმად და განსაზღვრავენ მას, როგორც აშკარა შეთანხმებით შემოღებულ ნიშანს; 2. „სიმბოლა“ ძველ საბერძნეთში ეწოდებოდა დანაწევრებული ფირფიტის იმ ნატეხებს, რომელთა შეერთებითაც უნდა ამოეცნოთ ერთმანეთი ქონების მემკვიდრეებს ან იდუმალ თანამოაზრეებს. „სიმბოლას“ მფლობელთა პრობლემები არაფერია იმასთან შედარებით, რომელიც ახლავს სიმბოლოს, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის ფენომენის კვლევას. ეს სირთულე უკვე საკუთრივ „სიმბოლოს“ ცნების განსაზღვრებაში იწყება: „ნებისმიერ საგანს შეიძლება მიენიჭოს სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც იცვლება კულტურებისადა მიხედვით, ეპოქათა განმავლობაშიც. მაგრამ სიმბოლოს უნარი – ლაკონურად ყველასათვის გასაგებ ენაზე ასახოს ცნება, რომლის გამოხატვასაც მრავალი სიტყვა დასჭირდებოდა, უძველესი დროიდან გადააქცია ის რელიგიის, კულტურისა ხელოვნების უნივერსალურ ენად“. სიმბოლოში კონცენტრირებული ინფორმაცია წააგავს გენეტიკურ კოდს. ის მნიშვნელობათა ისეთივე ვრცელ მჭკრივს იტევს, როგორცაა, ვთქვათ, გენეტიკური სიმბოლო. თუ მილიონობით ადამიანთათვის ისეთი სიმბოლოები, როგორცაა, მაგალითად, ჯვარი და ნახევარმთვარე მხოლოდ ქრისტიანობასა და ისლამს განასახიერებენ, სიმბოლიკის მცოდნეთათვის, ეს ამოუწურავი თემაა. საკმარისია გავიხსენოთ რენე გენონის წიგნი „ჯვრის სიმბოლიკა“, რომელიც 700 გვერდს მოიცავს! ბროჯჰაუზისა და ეფრონის კლასიკური ენციკლოპედია სიმბოლოებს სამ კატეგორიად ჰყოფს: საგნობრივი სიმბოლიკა (ჯვარი, დისკო, მზე, ხელი, თვალი, ყვავილი და ა. შ.); რიტუალური სიმბოლიკა (ნებისმიერი რიტუალი – პირველყოფილი ცეკვებიდან დაწყებული და თანამედროვე აღლუმით დამთავრებული) და სიტყვიერი სიმბოლიკა (სახელთა და დახელოვნებულთა სიმბოლიკის ჩათვლით). სიმბოლოს განსაზღვრებას აადვილებს, მისი გამიჯვნა „მეზობელ“ ცნებათაგან“. ესენია: ნიშანი, ემბლემა და ალეგორია. სიმბოლო თავადაც ნიშანია (აღმნიშვნელი), მაგრამ ყოველი ნიშანი როდია სიმბოლო. სიმბოლოს უმთავრესი განსხვავება ნიშნისაგან (ემბლემისაგან) – მისი მრავალმნიშვნელობაა, პოლისემანტიზმი. ტყულიად

როდი ითქვა, რომ „სიმბოლო ესაა ერთდროულად საიდუმლოც და ამ საიდუმლოს წვდომაც“. სიმბოლოს ბოლომდე შეუცნობელ არსს ხაზგასმით აღნიშნავდა კარლ გუსტავ იუნგი: „სიმბოლო უნდა მოიცავდეს, ერთგვარ „გაუცნობიერებელ“ ასპექტს, რომელიც ბოლომდე ვერასოდეს ვერ იქნება ცალსახად ახსნილი ან ჩამოყალიბებული“. ეს „ცალსახობა“ და ერთმნიშვნელოვანება ემბლემას, ნიშანს და ალეგორიას ახასიათებს. ნებისმიერი ნიშანი – ასტროლოგიური, ალქიმიური თუ ყოფითი – საგზაო, მაგალითად, სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას მოიცავს. ეროვლიფში, სანოტო ნიშანსა და მენდელეევის ტაბულაში დაუშვებელია „მიახლოებითობის“ ცნება (ან – ან). ასევეა ემბლემატიკაში, ოდონდ აქ ერთგვარ სემანტიკურ ადრევასთან გვაქვს საქმე. ხშირად წმინდა ლინგვისტური ინერციით სიმბოლოდ იწოდება ისიც, რაც რეალურად ემბლემაა, სრულიად კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი. ემბლემატიკა – ჰერალდიკა – სიმბოლიკა რეალურ სინამდვილეში (და ისტორიულადაც) მუდმივად ურთიერთქმედებენ. შესაძლოა ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში ნიშანი იყოს, მეორეში – ემბლემა, მესამეში კი – სიმბოლო – ასე იქცა ეიფელის კოშკი პარიზის ემბლემად. „სადაა ცოდნის ძიებაში დაკარგული სიბრძნე, სადაა ცნობათა მოძიებაში გაბნეული ცოდნა – სიმბოლოებში“ – ომაზ სტერნზ ელიოტი; ემბლემები და სიმბოლოები მართავენ მსოფლიოს და არა სიტყვა და კანონი“ – კონფუცი /ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი/.

208. სინჯი (სინჯადობა) –1. მონეტის შემადგენლობაში კეთილშობილი ლითონის წილი; მონეტის შენადნობის დახასიათება, რომელიც მოცემულ შენადნობში მთავარი მეტალისა და ლიგატურის ოდენობის შემცველობას განსაზღვრავს; დასაშვები შეფარდება - 9:1; 2. კეთილშობილი ლითონების – ოქრო, ვერცხლი, პლატინა, პალადიუმი – შემცველობა იმ შენადნობში, რომლისგანაც მონეტებს და საიუველირო ნაკეთობებს ამზადებენ. ცნობილია სინჯის აღნიშვნის მეტრული და კარატული სისტემები. ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში მიღებულია სინჯის აღნიშვნის მეტრული სისტემა. ამ სისტემის მიხედვით სინჯს აღნიშნავენ კეთილშობილი ლითონის ნაწილების რიცხვით ლიგატურული შენადნობის 1000 ნაწილში (მასის მიხედვით). ხალას ლითონს შესაბამება 1000-იანი სინჯი. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში მიღებული კარატული სისტემის მიხედვით ლითონის 1000-იანი სინჯს შესაბამება 24 პირობითი ერთეული კარატები. რევოლუციამდელ რუსეთში იყენებდნენ სინჯის აღნიშვნის მისხლურ სისტემას – ზოლოტნიკოვია სისტემა, რომლის მიხედვით სინჯი გამოისახებოდა კეთილშობილი ლითონის შემცველობით (მასის მიხედვით) შენადნობის 96 ერთეულში.

კეთილშობილი ლითონების ყველაზე მეტად გავრცელებული სინჯები

ოქრო – 375, 500, 583, 585, 750, 958, 996.

ვერცხლი – 750, 800, 875, 916, 925, 960.

პლატინა – 950.

პალადიუმი – 500, 850.


გავრცელებულია 585 სინჯის ოქროს შენადნობი; ამ სინჯის შენადნობი მასში შემავალი ფერადი ლითონების ოდენობის მიხედვით იცვლის ფერს; მაგ., შენადნობში ვერცხლის წილის მომატებასა და სპილენძის კლებასთან ერთად შენადნობი მომწვანო ელფეს იღებს; სპილენძის წილის მომატებისა ვერცხლის წილის კლების შემთხვევაში ჯერ – ვარდისფერს, შემდეგ კი – მოწითალოს. 958 სინჯის ოქროს შენადნობი არამყარია და ამდენად იშვიათად გამოიყენება. ყველაზე მეტად გავრცელებულია 875 სინჯის ვერცხლის შენადნობი.

209. სირმა-აბაზი – ქართული ვერცხლის მონეტა, ჭრიდნენ თბილისის ზარაფხანაში 1752-1753 წწ - დას 1798 -1799 წწ - მდე; წონა – 3 გრ.; მასზე სპარსულ და არაბულ ენებზე წერია მოჭრის ადგილი, მუსლიმური რელიგიური ფორმულები, რომლებიც ქრისტიანულ იდეოლოგიას არ ეწინააღმდეგება. იჭრებოდა სირმა - აბაზის 4 ნომინალი: ნახევარი მარჩილი (6 შაური), აბაზი (4 შაური), უხალთუნი (2 შაური) და შაური. ნუხის სახანოში სირმა- აბაზის უხეში მინაბამები გამოდიოდა. განჯაში 1786-1791 წწ - ში ერეკლე მეორის ნაცვლები სირმა- აბაზის მსგავს მონეტებს ჭრიდნენ. სირმა - აბაზი ბრუნვაში დარჩა XIX ს-ის 80-იან წლებამდე. 1848 – 1849 წწ - ში რუსეთმა სირმა-აბაზის შესყიდვა სცადა, მაგრამ ხურდა ფულის ნაკლებობის გამო 1852 წლამდე ვერ შეისყიდა. საქართველოში სირმა-აბაზი ნაპოვნია შემთხვევითაც და განძების სახითაც - ფხოველში, ფასანაურში, სიმონიანთხევში, ჭიკანაში, ალში, მუხათში, თბილისსა და სხვ. /რ. ქებულაძე/.

210. სიქა – (<სპარს. სექქე), თეგი, ტვიფრი, რომლითაც იჭრება ლითონის ფული. თითო მონეტის მოსაჭრელად საჭიროა ორი სიქა – შუბლისა და ზურგის გამოსახულებისათვის. შუბლის სიქა იჭრებოდა გრდემლოზე, ზურგისა – მოძრავი ლითონის ღეროზე. სიქაზე ამოკვეთილია ნეგატიური გამოსახულება და სამონეტო ლეგენდა. უძველეს მონეტებს, ძვ. წ. VII – VI სს – ში, გამოსახულება მხოლოდ შუბლის მხარეზე აქვთ. ზედა სიქის ნაცვლად იხმარებოდა ოთხწახნაგა განიკვეთიანი რკინის ერთი ან რამდენიმე ღერო, რომელიც მონეტაზე ოთხკუთხა ღრმულს, ე. წ. quadratum incusum, ტოვებდა. ზოგჯერ ამ ღეროების ქვედა პირზე რაიმე მარტივი გამოსახულება – ვარსკვლავი, ჯვარი – იკვეთებოდა. თანდათან ეს გამოსახულება გართულდა და ძვ. წ. VI – IV სს-ში გაჩნდა მონეტის ზურგის გამოსახულებაც. მონეტის შუბლისა და ზურგის სიქები პირველად გამოიყენეს ათენში პისისტრატეს დროს. უძველეს სიქას ამზადებდნენ ბრინჯაოსა და რკინისაგან, შემდგომში – ნაწრთობი ფოლადისაგან. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში თითოეულ მონეტას ჭრიდნენ ზედა სიქაზე ჩაქუჩის დარტყმით. XIX ს-ში გამოიგონეს მონეტის მოსაჭრელი მანქანა, რომელიც პრაქტიკულად დღემდე უცვლელად იხმარება. სიქა გაცივით შემდეგ იცვლებოდა, ამიტომ მათი პოვნის

შემთხვევები იშვიათია. აღმოჩენილი სიქების უმეტესობა ყალბისმქნელებს ეკუთვნით. 1944 წელს გრემში ნაპოვნია ორი სიქა; ინახება სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში /თ. ქუთელია/; მოსკოვის დიდი მთავრების XIV-XV სს-ის მონეტებს, მაგალითად, პირდაპირ აწერია – „Печать великого князя“, რაც ნიშნავს, რომ ბეჭდის, ე. ი. სიქის, მფლობელია პირი, რომელსაც ფულის მოჭრის უფლება აქვს; ამავე მონეტების მეორე წაწერა აფრთხილებს ყალბი ფულის მოჭრელს – „А кто подпише, тот будет осу“ (ე. ი. ვინც ხელისუფლის ნებართვის გარეშე ფულს მოჭრის მას ხელს ან თავს მოაჭრიან) /დ. კაპანაძე/.

211. **სპილენძი** – (ლათ. cuprum), რბილი, ჭედადი მოწითალო ფერის ლითონი; სპილენძს კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს; სპილენძმა და მისმა შენადნობებმა დიდი როლი შეასრულეს კაცობრიობის განვითარებაში; მისი ლათინური სახელწოდება წარმოდგება კ. კვიპროსიდან, სადაც ძველი ბერძნები მოიპოვებდნენ სპილენძის მადანს. სპილენძის 30%-ზე მეტს იყენებენ შენადნობების სახით. სპილენძს, როგორც სამხატვრო მასალას იყენებენ ენოლითიდან; ნაჭედ და ჩამოსხმულ სპილენძს ამუშავებენ ჭედვით, გრავირებით; XV ს-დან იყენებენ საბეჭდი ფორმისათვის. უძველესი დროიდან დღემდე მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება სპილენძის შენადნობები სამონეტო საქმიანობაში.



სპილენძის სიმბოლო

212. **სომი** – XIV-XV სს - ის ვერცხლის ფულადი საანგარიშო ერთეული. სომი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XIV-XV სს-ის ადაპებსა 1460 წლის ერთ - ერთ ქართულ სიგელში. ამ ტერმინის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში დაკავშირებულია ჯუჯიანთა მონეტების მიმოქცევასთან; შესატყვისება ქართულ დირჰემს /ვ. ღვაბერიძე/.
213. **სპილენძის ხანა** - საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“, XII – XIII სს., ქართული ნუმიზმატიკის მკვეთრად გამოხატული „სპილენძის ხანა“ ემთხვევა. დავით აღმაშენებლის ვაჟის დემეტრე პირველის (1125-1156 წწ.) გამეფებიდან მოკიდებული ერთი საუკუნის მანძილზე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში, ვერცხლის ფული არ მოჭრილა. „ვერცხლის კრიზისი“ მოედო მესოპოტამიას, სირიას, ირანს, შუა აზიას. ამ ქვეყნებში ვერცხლის ფული ამოვიდა მიმოქცევიდან და მისი ადგილი სპილენძმა დაიკავა. ვერცხლის კრიზისის პერიოდში მკვეთრად შეიცვალა მონეტის გარეგანი სახეც. ფულის ნიშანთა გარკვეული ნაწილი შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრებოდა; ზოგჯერ ეს ფირფიტა იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ მასზე სიქის ანაბეჭდი მთლიანად ვერ თავსდება, ზოგ ფირფიტაზე კი სიქა რამდენჯერმე არის აღბეჭდილი.
214. **სრულფასოვანი მონეტა** – მონეტა, რომლის მსყიდველობითი უნარი შეეფარდება მასში შემავალი ლითონის ღირებულებას.
215. **სტატერი** – (ბერძნ. stater), ძვ. ბერძნული წონის ერთეული და მონეტა; ჭრიდნენ ელექტრუმის, ვერცხლისა და ოქროს სტატერებს. მასა სხვადასხვა პუნქტში სხვადასხვა იყო; მაგ., მილეტის ელექტრუმის ოქროს სტატერი იწონიდა 14 გრ.; კიზიკოზისა - 16 გრ.; ეგინის ვერცხლის სტატერი – 12,12 გრ.; ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336-323 წწ.) სახელით მოჭრილი ოქროს სტატერის საშ. წონა 8,6 გრ. შეადგენდა. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული კიზიკოსის ელექტრუმის, ალექსანდრე მაკედონელისა და თრაკიის მეფის ლისიმაქეს (ძვ. წ. 306-281 წწ.) ოქროს სტატერები. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებიდან სამასზე მეტი წლის შემდეგაც კი ირანის არშაკიანი მზრმანებლები ბერძნულწარწერიან მონეტას ჭრიდნენ და თავის თავს „ფილელის“ ე.ი. „ბერძენთამოყვარულს“ უწოდებდნენ, ხოლო რომის იმპერატორები საქართველოში ბერძნულ წარწერას ტოვებდნენ და არა ლათინურს /გ. დუნდუა/.
216. **სუბერატა** – იგივე პლავირებული მონეტა, იგივე მონეტა–სენდვიჩი, სპილენძის მოვერცხლილი ან მოოქროვილი მონეტები; სუბერატული მონეტის გულგულა სპილენძისა ან ტყვიისაა (წონის მისაცემად), ხოლო ზემოდან გადაკრული აქვს ვერცხლის ან ოქროს თხელი ფენა; პირველად სუბერატული მონეტები ძველმა რომაელებმა გაუშვეს მიმოქცევაში ძვ. წ. 217 წ-ს; მეორე ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების უმრავლესობა სუბერატულია.

217. **სუროგატი** – (ლათ. surrogatus - მაგიერი), 1. საგანი (ან პროდუქტი), რომელიც ნაწილობრივ ცვლის რომელიმე საგანს (ან პროდუქტს), რომელთანაც აქვს ზოგიერთი საერთო თვისება. 2. ნაყალბევი, ფალსიფიცირებული საგანი (ან პროდუქტი).
218. **სუფთა ლითონები** - ლითონები, რომლებიც მცირე რაოდენობით შეიცავენ მინარევს. სისუფთავის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ გადიდებული სისუფთავის (99,90 – 99,99%), მაღალი სისუფთავის, ანუ ქიმიურად სუფთა (99,99 – 99,9999%) და განსაკუთრებული სისუფთავის, ანუ სპექტრალურად სუფთა (99,9999% – ზე მეტი) ლითონებს.
219. **ტალერი** – ვერცხლის მონეტა, პირველად 1518 წელს მოჭრეს ჩეხეთში. 1555 წლიდან ფულის ერთეულად იყენებდნენ „საღვთო რომის იმპერიაში“, აგრეთვე პოლონეთში, შვედეთში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და სხვ.. თავდაპირველად შეიცავდა 28-29 გრ. სუფთა ვერცხლს; 1857 წ-დან ჩრ. გერმანიაში და ავსტრიაში ტალერის წონა შეადგენდა 16,67 გრ - ს, 1871-1873 წწ - ში, გერმანიაში ფულის რეფორმის დროს, ტალერი გაუთანაბრეს 3 ოქროს მარკას. ტალერის მოჭრა შეწყვეტილი იყო 1908 წლამდე, შემდგომ კი ისევ აღადგინეს 3 მარკის ნომინალური ღირებულებით; XVI ს-დან დაიწყო ევროპული ვერცხლის ტალერების შემოსვლა და მათი ბრუნვა შეფერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც XVII ს-ის 30-იანი წლებიდან ინტენსიურად ამოქმედდა თბილისის ზარაფხანა. დასავლეთ საქართველოში ტალერებთან ერთად მიმოიქცეოდა ოსმალური ყურუში, რომელიც ტალერის ორ მესამედად ფასობდა.
220. **ტეზავრაცია** – (ლათ. thesaurus - სიმდიდრის დაგროვება), ფიზიკური პირების მიერ განმების შექმნის (დაგროვების) პროცესი; სრულფასოვანი (ძვირფასი მეტალის) ფულის ერთ-ერთი ფუნქცია. ტეზავრაციის საშუალებით სტიქიურად და ამავე დროს ბუნებრივად რეგულირდება მიმოქცევაში გაშვებული ფულადი მასა. მიმოქცევაში არსებული სრულფასოვანი ჭარბი ფულის მასა ავტომატურად განიცდის ტეზავრაციას (განძებად ქცევას). სახელმწიფოსათვის დაგროვების საშუალებად გამოდის ოქროს მარაგი (რეზერვი); ფიზიკური პირებისათვის კი მატერიალური სიმდიდრე.
221. **ტვიფვრა** – (სამონეტო წარმოებაში) ლითონის მხატვრული დამუშავება, რომლის მიზანია მათ ზედაპირზე რელიეფურ გამოსახულებათა მიღება გამოწვევით. ლითონის ტვიფვრისათვის რელიეფურნახატიან ლითონის ან ქვის მატრიცაზე ადებენ ლითონის ფურცლებს, მათზე აფენენ რბილ შუასადებს და შემდეგ ჭედავენ. ამ ხერხს მიმართავენ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის, შუა საუკუნეების საქართველოსა და სხვა ქვეყნების ხელოვნებაში, განასხვავებენ რელიეფურ (ე. წ. კონგრეულ) და ბრტყლადჩადრმავებულ ტვიფრს.
222. **ტვიფრი** – რაიმე მასალაზე მაგ., ლითონზეპირუკულმა ამოზრცული წარწერა, გამოსახულება, ნიშანი ანაბეჭდის მისაღებად; იგივე – შტამპი; დამლა.
223. **ტიქე** – (ფორტუნა), ბედნიერების, კეთილდღეობის, ბედისა და შემთხვევითობის ქალღმერთი. ტიქე ძველბერძენთა რწმენით სამყაროს ცვალებადობასა და არამდგრადობას განასახიერებდა. მისი კულტი ელინისტური ხანიდან დამკვიდრდა. მას გამოსახავდნენ ახალგაზრდა ქალბატონად სფეროთი ან ბორბლით, ზოგჯერ სიუხვის რქა ან საჭე უყვრა ხელთ. ტიქე გამოსახული იყო სხვადასხვა ქვეყნის მრავალ მონეტაზე, მათ შორის ტრაპეზუნტის მონეტებზე. ელინისტური ეპოქის არისტარქე კოლხის სახელით მოჭრილ მონეტებზე.
224. **ტრაპეზუნტი** – ტრაპეზონი (Trabzon, ბერძნ. Trapezus), დააარსეს სინოპელმა ბერძენმა დაახლოებით ძვ. წ. VII/VIII სს – ში. ანტიკურ პერიოდში მნიშვნელოვანი ნავსადგური და სავაჭრო ცენტრი იყო; შედიოდა პონტოს სამეფოს (ძვ. წ. II ს – დან), რომის პროვინცია პონტოსა და ბითინიის (ძვ. წ. 63 წ – დან) შემადგენლობაში; ახ. წ. V ს – დან XIII ს –ის დასაწყისამდე ბიზანტიაში. 1205 – 1461 წწ – ში ტრაპეზონის იმპერიის დედაქალაქი იყო. 1461 წელს დაიპყრეს თურქ – ოსმალებმა და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ცნობა ტრაპეზუნტის შესახებ „ქართლის ცხოვრებიდან“: „მოვიდა ... ანდრია ქალაქად ტრაპეზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა...“ (ქც., I, 39); ძვ. წ. V-IV სს–ის ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე: ტრაპეზუნტი – „ხალხმრავალი ელინური ქალაქი პონტოს ევქსინოს სანაპიროზე, სინოპეს კოლონია კოლხების ქვეყანაში“.
225. **ტრაპეზუნტის მონეტები** – გვიანანტიკურ ხანაში (I-IV სს.) საკუთრივ კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე ორიგინალური ქართული მონეტა არ იჭრებოდა. მაგრამ არის ქართველური ტომებით დასახლებული ერთი პუნქტი, კერძოდ, ტრაპეზუნტი (შავი ზღვის სამხრეთ – აღმოსავლეთ სანაპირო), რომელიც II-III სს–ში ჭრის სპილენძის საქალაქო მონეტებს. მათ შუბლზე რომის იმპერატორის სახელი აწერია, ხოლო ზურგზე – თემისა (ტრაპეზუნტელებისა) /გ.დუნდუა/.

226. **ტყვია** – (ლათ. plumbum), ძლიერ პლასტიკური, რბილი (იჭრება დანით), მონაცრისფრო–მოცისფრო მძიმე ლითონი. ტყვია ძველთაგანვე იყო ცნობილი. ალქიმიკოსები მას სატურნს უწოდებდნენ და ამ პლანეტის ნიშნით აღნიშნავდნენ. ტყვიის საფუძველზე ამზადებენ მრავალ შენადნობს, რაც მრავალ სხვა დარგთან ერთად ფართოდ გამოიყენება სამონეტო საქმიანობაში.

227. **უზალთუნი** – (თურქ. Yüzaltın – ასი ალთუნი), ვერცხლის მონეტის სახელწოდება. ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება XVIII ს - დან, აღნიშნავს ირანის აბაზის სისტემის მონეტას – მაჰმუდს ანუ 2 შაურს. შეიცავს უკნინეს სათვლელ სამონეტო ერთეულს – ალთუნს ანუ დინარს. აბაზის წონის ცვლასთან ერთად უზალთუნის წონაც იცვლებოდა – 3,89 გრ., 2,70 გრ., 1,50 გრ.; უზალთუნს თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ XVII - XIX სს - ში /თ. ქუთელია/; ეს ტერმინი შემორჩენილი იყო მიმდინარე საუკუნის XX ს - ის პირველ წლებამდე; მას მაჰმუდსაც უწოდებდნენ; ის XVII ს - ის საქართველოში დამკვიდრდა როგორც საანგარიშო ერთეული, უზალთუნი 100 ალთუნს, ანუ ორ შაურს შეიცავდა /დ. კაპანაძე/.

228. **ულუსი** – მონღ. ოლკი, წილხვედრი ქვეყანა. ეს ტერმინი გულისხმობდა ასევე მონღოლთა ადმინისტრაციასაც.

229. ფანჯშაპი – იხ. შაური

230. **ფასისი (ფაზისი)** – ძველი და შუა საუკუნეების ქალაქი და ნავსადგური საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე; კოლხეთის სამეფოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. ძველი ფასისი ჯერ არ არის აღმოჩენილი, რაც აიხსნება საუკუნეთა მანძილზე ზღვისპირისა და მდ. რიონის კალაპოტის რელიეფის ცვლილებით. ფასისი წყაროებში პირველად მოხსენიებულია ბერძენი ავტორის ფსევდო – სვილას კარიანდელის „პერიპლუსში“ (ძვ. წ. IV ს.). სტრაბონის (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) მიხედვით, ფასისი კოლხეთის ემპორიონი (სავაჭრო ცენტრი) შემოფარგლული იყო მდ. ფასისით (ახლანდ. მდ. რიონი), ტბითა (ახლანდ. პალასტომის ტბა) და ზღვით. არიანესა (ახ. წ. II ს.) და V ს – ის ანონიმი ავტორის მიხედვით ფასისი მდებარეობდა მდ. ფასისის მარცხენა ნაპირზე და ემიჯნებოდა ტბას. წერილობითი ცნობებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე საფიქრებელია, რომ ფასისი მდებარეობდა თანამედროვე ფოთისა და მისი შემოგარენის რეგიონში. მეცნიერებაში ფასისის ტიპოლოგიის შესახებ არ არის აზრთა ერთიანობა: სპეციალისტთა ერთი ნაწილი მას ბერძნულ ქალაქად მიიჩნევს; მეორე ნაწილი – შერეული ტიპის ბერძნულ – კოლხურ ქალაქად (იმ მხარის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, სადაც სავარაუდოა ფასისის მდებარეობა, მეტყველებენ მის კოლხურ ტიპოლოგიაზე). ფასისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ სავაჭრო მაგისტრალზე. ფასისის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ისარგებლა რომის იმპერიამ – აქცია ის აღმოსავლეთში ექსპანსიის პლაცდარმად. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქს ირან – ბიზანტიის ომების პერიოდშიც (VI ს.). IV ს – ში ფასისში იყო კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა. ადრეულ შუა საუკუნეებში ფასისი ლაზიკის მიტროპოლიტის რეზიდენცია იყო.

231. **ფიგურული მონეტები** – XIII ს-ის დასაწყისში, ლაშა – გიორგის მეფობის დროს, მოიჭრა ე. წ. ფიგურული მონეტები, რომელთაც თევზის, ფრინველის, ნალის ან შუბისპირის მოხაზულობა ჰქონდა.

232. **ფლური** – 1252 წელს ფლორენციაში მოჭრილი ოქროს მონეტის სახელწოდება. XIV ს - ის II ნახევრიდან ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელსაც ხშირად თან ერთვისადა სადაურობის მითითებაც; მაგ., ვენეტიკური ფლური, ე. ი. ვენეციური დუკატი, ოსმანური ფლური ანუ ოსმალეთში მოჭრილი ოქროს მონეტა /გ. დუნდუა/; XIV ს - ის II - ნახ -დან ოქროს ფულადი ერთეულის ამსახველი ტერმინი; XVII - XVIII სს - ში უკვე დრაჰკანის მნიშვნელობით იხმარებოდა, მოგვიანებით დამოუკიდებლადაც არსებობდა; წარმოიშვა იტალიური ფულის - ფლორინისაგან; მოგვიანებით ფლური საერთოდ ოქროს ფულის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა, მაგ., ოთმანური (ოსმანური) ოქრო. ოქროს ფულის აღსანიშნავად სხვა ტერმინებსაც იყენებდნენ, მაგ., დინარს და ზოგჯერ უბრალოდ „ოქროსაც“, თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინები შედარებით იშვიათია /დ. კაპანაძე/.

233. **ფოლადი** - რკინის დეფორმირებადი (ჭედადი) შენადნობი ნახშირბადას (არა უმეტეს 2%-ისა) და სხვა ელემენტებთან. შავი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი. ფოლადის წარმოების უძველესი ხერხია ცივსაბერი პროცესი, რომელსაც საფუძვლად ედო ქურაში (მოგვიანებით შახტურ ღუმელში) რკინის აღდგენა მადნიდან ხის ნახშირით. ძველი ქართველი მელითონეები სიტყვა ფოლადს უწოდებდნენ მაგარ რკინას, რომელიც რუსულ ენაში „ბულატის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ადრეული მეტალურგიის უდიდეს მიღწევად ამ სახის ფოლადი ითვლება. ასეთი ფოლადის ნაშაადის ზედაპირი ტალღოვანია ან ქსოვილისებრი ზოჭკოვნებით გამოირჩევა, ახასიათებს მაღალი ფხამახვილობა, დიდი დრეკადობა და

სიმტკიცე. გამოყენების სფეროს მიხედვით ფოლადი არის საკონსტრუქციო, საიარაღო და განსაკუთრებული თვისებების მქონე.

234. **ფოლისი** – III ს – ის მეორე ნახევარში რომში კატასტროფულად დაეცა ვერცხლის მონეტების (დენარისა და ანტონიანის) ღირებულება, რის კომპენსირებას ხელისუფლება ცდილობდა ახალი ემისიებით. გაჩნდა ახალი ფულადი საანგარიშო ერთეული – ფოლისი – „ტომარა“, ე. ი. ფულით სავსე ტომარა. ამ ტერმინმა მრავალნაირი ცვლილება გამოსცადა – ბერძნული „ფოლისიდან“, არაბების დროს ის „ფელსად“ გადაიქცა და ამ სახით მონღოლთა დრომდე შემორჩა; XVII ს -დან „ფელსის“ ნაცვლად შემოდებული იყო სპარსული „ფულუსი“, რომელიც ჩვენში „ფულის“ სახით დამკვიდრდა /გ. დუნდუა/. **იხ. ქართული ფულუსი.**
235. **ფული** – ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი.
236. **ფული** – თავდაპირველად ღირებულების ერთეულის მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა შემდეგ ის უკვე საფასის ზოგად დასახელებად იქცა და ამ სახით დამკვიდრდა. ფულის ანუ კასბეკის საფასის სხვა ერთეულებთან შეფარდება შემდეგია: ერთი ფული უდრიდა ხუთ დინარს, რომელიც ღირებულების უკნინეს ერთეულს წარმოადგენდა და სინამდვილეში ამ დროს არც კი იჭრებოდა. ფაქტიურად ის მხოლოდ საანგარიშო ერთეულად ითვლებოდა; მაგრამ რადგანაც 4 ფული ერთ ბისტს შეადგენდა, ხოლო ორნახევარი ბისტი – შაურს და ორშაურიანი კი, იგივე უზალთუნს ას ალთუნს შეიცავდა, გასაგები ხდება, რომ ალთუნს და დინარი ერთსა და იგივე საანგარიშო ერთეულს წარმოადგენს. რადგან აბაზი უდრის ორ უზალთუნს = 4 შაურს = 10 ბისტს = 40 ფულს = 200 ალთუნს ანუ დინარს. გასაგები ხდება რიცხვითი მნიშვნელობა იმ ნომინალებისა, რომლებიც შემოდებული იყო XIX ს-ის უკანასკნელ ქართულ ფულზე. **იხ. რუსულ – ქართული ფული.**
237. **ფულის ემისია** – (ლათ. emissio -გამოშვება), ფულის მიმოქცევაში გაშვება.
238. **ფულის მიმოქცევა** – ფულის, როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალების, განუწყვეტელი მოძრაობის პროცესი.
239. **ფულის ნიშნები** – ღირებულების ნიშნები, რომლებიც ცვლიან მიმოქცევაში ოქროსა და ვერცხლის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას. ფულის ნიშნებს (ქაღალდის ფული, საბანკო ბილეთი), აგრეთვე არასრულფასოვან მონეტებს (სპილენძის, ნიკელისა და სხვ.) არა აქვთ საკუთრი ღირებულება, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლიათ შეცვალონ ოქროსა და ვერცხლის ფული, როგორც გადახდის საშუალება.
240. **ფულის რეფორმა** - ფულის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გარდაქმნები, რომლის მიზანია ფულის მიმოქცევის მოწესრიგება და ფულის სისტემის განმტკიცება. ფულის რეფორმის გატარების მეთოდები განპირობებულია წარმოების წესით, პოლიტიკური სისტემით, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობით და სხვა. ფულის მიმოქცევის ისტორიაში ცნობილია ფულის რეფორმის შემდეგი სახეები: 1. ერთი ტიპის ფულის სისტემიდან ან ერთი სახის ფულადი საქონლიდან მეორეზე გადასვლა; 2. არასრულფასოვანი, გაუფასურებული მონეტების შეცვლა სრულფასოვნით ან არაშუქვეყნადი ფულის ნიშნებისა -შექცევადით; 3. ცვლილებები ფულის ემისიის სისტემაში; 4. ვალუტის სტაბილიზაცია ან ფულის მიმოქცევის სრულყოფისათვის ნაწილობრივი ღონისძიებები; 5. ახალი ფულადი სისტემის წარმოქმნა.
241. **ფულის რეფორმები ძველ საქართველოში** - საქართველოს ისტორია იცნობს ფულის მიმოქცევის დარგში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს და რეფორმებს, იცვლებოდა მონეტის სახე ფორმა, ფულადი მასალა, სინჯი, მოჭრის წესი და სხვა. აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც ფულად –სამონეტო საქმესაც შეეხო (ვერცხლი შეცვალა სპილენძის მონეტამ), რუსუდან დედოფლის ღონისძიებები, ვახტანგ VI - ის კანონთა კრებული შეიცავდა „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს, რომელშიც გათვალისწინებული იყო ფულის მოჭრის პროცედურა, წესები. ფულის მიმოქცევის დარგში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ერეკლე II - მ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1804 - 1834 წწ.) მიმოქცევაში იყო რუსულ - ქართული მონეტები: საქართველოში იჭრებოდა „ქართული თეთრი“ (ვერცხლი) და „ქართული ფული“ (სპილენძი).
242. **ფულის სისტემა** – ცალკეულ ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია საერთო სახელმწიფო მასშტაბით. ყოველ ფულად სისტემას საფუძვლად უდევს განსაზღვრული ფულადი საქონელი, რომელიც გამოდის საყოველთაო ეკვივალენტის როლში.
243. **ქართლის ერისმთავრის დრაქმები** – VI ს – ის დასაწყისსა და VII – ის დასაწყისში ქართში მოჭრილი სასაწურ ტიპის ვერცხლის მონეტები. ცნობილია ქართულ – სასაწურ მონეტების სახელითაც. ნაპოვნია ოცდაათიოდე ცალი. მასა 2,5 – 3,5 გრ. შორის მერყეობს. ქართლის ერისმთავრის დრაქმები სასაწურისაა

ირანის მმართველების ჰორმიზდ IV (579 – 590 წწ.) და ხოსრო II – ის (590/1 – 628 წწ.) მონეტების იმიტაციაა. შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიბრუნებული ჰორმიზდ IV და ხოსრო II – ის სათანადო ფალაური წარწერა. ქართულ სასანურ მონეტებში გამოიყოფა 3 ჯგუფი: 1. ანონიმური მონეტები, რომელთა შუბლზე სასანიანთა მმართველების ბიუსტის გვერდით ან ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად გამოსახულია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლო – ჯვარი; 2. მონეტები, რომელთა შუბლზე ქართლის ერისმთავართა სახელები დაქარაგმებულია ქართული ასომთავრულით ან ამ ასოების ლიგატურით, მაგრამ ზურგზე მაინც შენარჩუნებულია ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა. ამ ჯგუფის დრაქმებზე ამოკვეთილია ორი ქართული ასო ჰმ (გნ), ე. ი. გურგენი; 3. მონეტები, რომლებს შუბლზეც ვრცელი ქარაგმით ან სრულად წერია ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახელი, ხოლო ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად საკურთხეველზე ჯვარია გამოხატული. ამ მონეტებს ჭრიდნენ 593/95 – 600/702 წწ – ში. სავარაუდოა, რომ დრაქმა, რომელზეც სტეფანოზის სახელი სრულადაა მოცემული, მოიჭრა მას შემდეგ, რაც ქართლმა დამოუკიდებლობა მოიპოვა /გ. დუნდუა/. **იხ. სასანური დრაქმა.**

244. **ქართულ – ბიზანტიური მონეტა** – X – XII სს – ის ვერცხლის ქართული მონეტები, რომელთა წარწერებშიც ქართველი მმართველები და მეფეები ბიზანტიური ტიტულებით არიან მოხსენიებული; ასეთებია: 1. დავით კურაპალატის (+1001 წ.) მონეტა. ნაპოვნია 3 ცალი, მასა 3,1 – 3,50 გრ.; შუბლზე ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილია: „ქრისტე, შეიწყალე დავით“. ზურგზე გამოხატულია ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი, რომლის ტოტებს შუა ასომთავრული ქარაგმით წერია: „კპტი“ (კურაპალარი). სავარაუდოა, რომ ეს ტიტული ტაო – კლარჯეთის მფლობელს მიენიჭა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც მან ბიზანტიის იმპერატორს ზასილი II – ს აღმოუჩინა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობისას (979 წ.). ამიტომ დავითის მონეტებზეც ამ წლით უნდა დათარიღდეს. საინტერესოა, რომ დავით კურაპალატის დღემდე ცნობილი სამივე მონეტა საქართველოს საზღვრებიდან შორსაა აღმოჩენილი: ერთი ნაპოვნია 1859 წ. ქ. შვანის მახლობლად (გერმანია), მეორე – 1878 წ. ოლონეცის გუბერნიაში (პეტერბურგის ოლქი), ხოლო მესამე – 1900 – იან წლებში ვილაში (ესტონეთი). 2. ბაგრატ IV (1027 – 1072 წწ.) მონეტა, მასა დაახლოებით 1,56 გრ.; მოჭრილია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომაქოსის (1042 – 1055 წწ.) მონეტების მიხედვით, იყოფა ორ ჯგუფად. პირველი: შუბლზე ორმაგი წერილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება და თავის ირვლივ განლაგებული ბერძნული ზედწერილი: „წმინდა ღვთისმშობელი“. ზურგზე – მონეტის კიდებზე, წერტილოვან რკალს შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე“. ცენტრში ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებულია სამსტრიქონიანი წარწერა: „და ნოველისიმოსი“. ნოველისიმოსის ტიტულს ბაგრატ IV ატარებდა 1057 – 1060 წწ – ში. ეს მონეტებიც ამ დროით უნდა დათარიღდეს. 1060 წ. ტურქ – სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით მას „სევასტოსობა“ უბოძეს, რაც აისახა კიდევ მეორე ჯგუფის მონეტებზე. ზემოაღწერილთაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ „ნოველისიმოსის“ ტიტული შეცვლილა „სევასტოსით“; 3. გიორგი II – ის (1072 – 1089 წწ.) მონეტა; ნაპოვნია 100 ცალი; ქართული ლეგენდის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა; I – შუბლზე წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდდით და სამი ვარდულით. გამოსახულების გვერდებზე ბერძნული ზედწერილია: „წმინდა ღვთისმშობელი“; ზურგზე, შერწყმულ წერტილოვან რკალში, ზედწერილია: „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში სამსტრიქონად განაწილებულია: „და ნოველისიმოსი“. II და III ჯგუფის მონეტები ზემოაღწერილისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ „ნოველისიმოსი“ შეცვლილია „სევასტოსითა“ და „კესაროსით“. პირველი ორი სამონეტო ჯგუფი 1072 – 1081 წწ, ხოლო მესამე – 1081 – 1089 წწ. უნდა დათარიღდეს; 4. დავით აღმაშენებლის (1089 – 1125 წწ.) მონეტები ბიზანტიური ტიტულებით. ნაპოვნია 6 ცალი; მასა 0,51 – 0,87 გრ.; იყოფა ორ ტიპად. პირველი იმეორებს ბაგრატ IV – ისა და გიორგი – II – ის მონეტებს, შეცვლილია მხოლოდ ზურგის ქართული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“. დავითის მეორე ტიპის მონეტა პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ მის ზურგზე გამოხატულია ჯვარი და ფრაგმენტულად შემორჩენილი ქართული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე დავით მეფე და...“ აქ შეიძლება ყოფილიყო ან „სევასტოსი“ ან „პანიპერსევასტოსი“. ორივე ტიპის მონეტის ემისიის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1085 – 1103 წწ. გაერთიანებული საქართველოს ძლიერმა მეფემ შემდგომში ჯერ უარი თქვა თავის მონეტებზე ბიზანტიური ტიტულის მოთავსებაზე და ზოლოს – საერთოდ მონეტის ბიზანტიურ ტიპზე /გ. დუნდუა/.

245. **ქართულ – ჰულაგუიანური დირჰემი** – XIII ს – ის 80 – იან წლებში თბილისში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მხარეს ილხანის სახელის შემცველი ზედწერილია უიღურულად, ხოლო მეორეზე – ქრისტიანული ლოცვა არაბულად: სახელითა მამისათა, მისათა და სულისა წმიდისათა, ღმერთისა ერთისა“ და ჯვრის გამოსახულება, გარე სემენტებში – გამოშვების თარიღი. იშვიათად მოჭრის ადგილი – თბილისი. ამგვარი ფული იდგი რაოდენობით მიმოიქცეოდა აღმ. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, რასაც მათი განძებად აღმოჩენის შემთხვევებიც მოწმობს. საქართველო ერთადერთი იყო ჰულაგუიანების ქვეშევრდომ სახელმწიფოთა შორის, რომელიც მონეტას ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებით უშვებდა /ი. ჯალალანია/.

246. **ქართული ნუმიზმატიკის მკვლევარები** – ქართული ნუმიზმატიკური მასალის პირველი მკვლევარები არიან **ადღერი**, რომელმაც რომში გამოაქვეყნა პირველი ქართული მონეტა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად და ცნობილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი **მარი ბროსე (1808 -1880წწ.)**. მარი ბროსემ საქართველოში მოგზაურობისას (1847-1848 წწ.) შეკრიბა ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური მასალა და 1849 - 1851 წლებში პეტერბურგში გამოაქვეყნა, რითაც საკმაოდ წინ წასწია ქართული მონეტების შესწავლის საქმე.

ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი – იხ. მ. ბარათაშვილი

ივანე ბართოლომი (1813-1870 წწ.) – ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატი, გენერალ-ლეიტენანტი; 1850-იანი წლებიდან ქართული მონეტებით დაინტერესდა. მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის ანტიკური ხანის მონეტების არსებობის შესახებ, ყურადღება გაამახვილა სასაზღვრო ტიპის ქართულ მონეტებზე. ბართოლომიმ წვლილი შეიტანა კავკასიის ეთნოგრაფიის განვითარებაშიც. მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი "Поездка в вольную Сванетию в 1853 году" (ტფ. 1855). როგორც ცნობილია, ჩეჩნებსა და აფხაზებს დამწერლობა არ ჰქონდათ, სწორედ ბართოლომიმ შექმნა დამწერლობა აფხაზებისა და ჩეჩნებისათვის: შეადგინა „აფხაზური ანბანი“ (ტფ. 1865) ასევე „ჩეჩნური ანბანი“ (ტფ. 1866); 1856 წლიდან ბართოლომი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტადაც აირჩიეს.

ვიქტორ ლანგლუა (1863 -1929 წწ.) – ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიისა და პალეოგრაფიის პროფესორი; დაინტერესებული იყო საქართველოს ფულადი ნიშნებით - მისი ძირითადი სამეცნიერო შრომები ეთმობა შუა საუკუნეების საფრანგეთს, ისტორიულ ბიბლიოგრაფიასა და მეთოდოლოგიას. 1852 წელს და 1860 წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა ვიქტორ ლანგლუას მონოგრაფია „ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვა“. თუმცა, მეცნიერთა აზრით, როგორც ვიქტორ ლანგლუა, ისევე მეორე გამოცემა არასრულყოფილია და მათი გამოყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. **გეგენი პახომოვი (1889-1965 წწ.)** – ავტორი მონოგრაფიისა – „საქართველოს მონეტები“ (Монеты Грузии, С-П., 1910 – I ნაწ.); სამწუხაროდ, მეორე ნაწილის გამოსვლას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა, ამ ნაშრომის ორივე ნაწილი უცვლელი სახით გამოიცა 1970 წელს პროფ. დავით კაპანაძის რედაქტორობითა და კომენტარებით. მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, რაზეც მიუთითებდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ხსენებული ნაშრომი სრულად ინარჩუნებს თავის პირველხარისხოვან მნიშვნელობას. ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების დიდი წარმატებების მიუხედავად, ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით ცალკეული პერიოდების ძეგლების შესწავლისა და შევსების თვალსაზრისით, მსგავსი უნივერსალური ტიპის მონოგრაფია დღემდე არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ ამ წიგნშია ქართული მონეტების მეცნიერული აღწერილობა თავმოყრილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პახომოვის დამსახურება ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ფულადი განძების ტოპოგრაფიის შედგენის თვალსაზრისით.

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.) – 1925 წელს საქართველოში გამოდის ივანე ჯავახიშვილისა და პროფესორ **სარგის კაკაბაძის (1886-1967 წწ.)** თეორიული ხასიათის ნაშრომები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ საფასურთა შესწავლის თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია – „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, ტფ., 1925. ნაშრომის შესავალში იგი წერდა – „ქართული ფულებისა და საზომების ისტორია ჯერ არ დაწერილა. არც წინათ და არც XIX- XX საუკუნეებში ამგვარი მიზანი არავის დაუსახავს და წინამდებარე გამოკვლევა პირველი ცდაა...“. ეს იყო ქართული საფას-საზომების უწყვეტი ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი მცდელობა. XIX- XX საუკუნეების ქართულ ნუმიზმატიკურ მასალაზე გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ ჯავახიშვილი აღნიშნავდა „ყველა ზემოდასახელებული ნაშრომი მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისანი არიან. ტერმინების, ფულის სისტემის და ტეხნიკის მიმოხილვა-განმარტების შემცველი ქართული ფულების ისტორია იქ არ მოიპოვება“. ივანე ჯავახიშვილმა მოხაზა გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებდა დაეწერა ქართული ფულის ისტორიისადმი მიძღვნილი თავისი სამწიგნობრივი გამოკვლევა. მისი აზრით, პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო თეორიული ხასიათის – წერილობით წყაროებზე აგებული ქართული ფულის ისტორია, მეორე – აღწერილობითი, ანუ ფაქტობრივად არსებული ქართული მონეტების მეცნიერული აღწერა-აბრეშულება, ხოლო მესამე – შედარებითი. ამ ნაწილში ერთმანეთთან უნდა შეჯერებულიყო წერილობითი წყაროების მონაცემები და რეალურად არსებული ნუმიზმატიკური მასალა. ჯავახიშვილის მონოგრაფია უნივერსალური და შეუცვლელი ცნობარია ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის საკითხების შესახებ.

საინტერესოა არქეოლოგ **მიხეილ ივანენკოსა (1881-1946 წწ.)** და პროფესორ **სერგი მაკალათის (1893-1974 წწ.)** მიერ 1930-იან წლებში გამოქვეყნებული სტატიები საქართველოში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტების შესახებ. აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანი არ იყო ნუმიზმატი, თუმცა მათი პუბლიკაციები მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა.

ალექსანდრე ზოგრაფი (1889-1942 წწ.) – გამოჩენილი საბჭოთა ნუმიზმატი, ხელმძღვანელობდა ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებას; იკვლევდა ანტიკური პერიოდის ეკონომიკასა და კულტურას მონეტათა ფონზე. მისი ფუნდამენტალური ნაშრომია „ანტიკური მონეტები“, ამასთანავე არის მრავალი სამეცნიერო კვლევის ავტორი; მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული სამეცნიერო ნუმიზმატიკის განვითარების საქმეში. შეისწავლა და ორი ნაშრომი უძღვნა ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკური ძეგლებს. ის იყო პირველი, ვინც თავი მოუყარა კავკასიაში მოჭრილ და აქვე გავრცელებულ ანტიკურ მონეტებს, მოგვცა

მათი ატრიბუცია და მეცნიერულად გაიაზრა შესაბამისი პერიოდის სამონეტო მიმოქცევისა და სამონეტო საქმის კარდინალური საკითხები.

თამარ ლომოური (1883-1965 წწ.) – ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა სწორედ თამარ ლომოურმა შეისწავლა საქართველოში სასანური და არაბული მონეტების მიმოქცევის, ამ ქვეყნებთან სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობებისა და და სავაჭრო - სატრანზიტო გზების საკითხი, მოხაზა სასანური და არაბული მონეტების გავრცელების არეალი საქართველოში; ასევე შეისწავლა შოთა რუსთაველის ეპოქის მონეტები; აღწერა და მიმოიხილა XI-XIII სს-ის ქართული მონეტები, ასევე პირველმა დასვა ამ ეპოქის საქართველოში უცხოური მონეტების მიმოქცევის საკითხი. თამარ ლომოურის წინაშე დაისვა საკითხი ქართული ნუმიზმატიკური ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ. მეცნიერმა დაადგინა ვახტანგ III-ის ტახტზე ასვლის ზუსტი თარიღი, ასევე გამოთქვა მოსაზრება საქართველოს მთიანეთში – ჟინვანში, სტეფანწმინდაში – ზარაფხანის არსებობის შესახებ. დაადგინა ახალციხეში ზარაფხანის არსებობა XIII-XIV; ასევე დაადასტურა XVI ს-ის დასავლეთ საქართველოში ქართული ფულის მოჭრის ფაქტი. მან ასევე შეისწავლა სელჩუკური და მონღოლური მონეტები, სპეციალურად გამოიკვლია XVI ს-ის ქართული ფულის საკითხები. თამარ ლომოური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1924 წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსებულ ნუმიზმატიკის კაბინეტს ხელმძღვანელობდა. 1931 წელს უნივერსიტეტის ნუმიზმატიკური კაბინეტის მონეტები და ინვენტარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა და აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ინიციატივით ნუმიზმატიკური უჯრედი განყოფილებად ჩამოყალიბდა, თამარ ლომოური კი ძველი ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილების ასისტენტ - ნუმიზმატად დაინიშნა. დიდ ქართველ მეცნიერს 15 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერებითა და საქმის ღრმა ცოდნით სისტემაში მოჰყავდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის უმდიდრესი კოლექციები. მისი დაუღალავი შრომის შედეგად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თავი მოიყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციებმა. თამარ ლომოურის მიერ ეს კოლექციები თავიდან იქნა კლასიფიცირებული და განსაზღვრული.

დევიდ მარშალ ლანგი – ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი; 1955 წელს გამოსცა სპეციალური გამოკვლევა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ – „ძიებანი საქართველოს ნუმიზმატიკის ისტორიიდან“, ნიუ-იორკი, 1955, ინგლისურ ენაზე. ამ წიგნში ლანგმა გამოაქვეყნა აშშ - ს ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექციის ქართული მონეტები და გადმოსცა საქართველოს სამონეტო საქმის თითქმის 2500 წლის ისტორია. უდიდესია ამ მონოგრაფიის როლი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქართული მონეტების პოპულარიზაციის საქმეში.

დავით კაპანაძე (1898-1971 წწ.) – მისი ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტი გადაკეთდა ნუმიზმატიკის განყოფილებად; დავით კაპანაძე იყო მასალის შესანიშნავი შემგროვებელი და ქართული ნუმიზმატიკის პროპაგანდისტი; ის იყო 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე, რამაც ქართული ფულის ისტორიას ფართო პროპაგანდა გაუწია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. კაპანაძის შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმძღვანელო „ქართული ნუმიზმატიკა“, რომელიც დღემდე მოქმედი სახელმძღვანელოა უმაღლეს სასწავლებლებში. დავით კაპანაძე იკვლევდა ანტიკური და ფეოდალური ხანის ქართულ და ამ პერიოდში საქართველოში მიმოქცევად უცხოურ მონეტებს; მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი სამონეტო ტიპების, ჯგუფებისა და არქეოლოგიური ექსპედიციების ნუმიზმატიკური მასალების ჩართვა სამეცნიერო მიმოქცევაში: მან გამოაქვეყნა კოლხური თეთრის იშვიათი ცალები, აკესის სტატერის მეორე ეგზემპლარი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ტიპის უნიკალური ქართული მინაბადები, საქართველოში აღმოჩენილი ავგუსტეს დენარებისა და რომაული აურეუსების იმიტაციები, მცხეთის, ბიჭვინთის, ზღუდერისა და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალები, ჯაფარიდების თბილური დირჰემები, XI საუკუნის ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტები, XIV-XV სს-ის ქართველი ფეოდალების ვამიყ დადიანისა და ყვარყვარა ათაბაგის ფულები, XV ს-ის ქართული მონეტების გორის განძი. აღნიშნული პუბლიკაციებით შეივსო ქართული ნუმიზმატიკის უცნობი ფურცლები. კაპანაძე ასევე მუშაობდა სამონეტო ჯგუფების გენეზისისა და დათარიღება -ატრიბუციის საკითხებზე.

თამარ აბრამიშვილი – ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული ნუმიზმატიკის სფეროში; იგი წარმატებით მუშაობდა საქართველო -ბიზანტიის, საქართველო - პართიის ურთიერთობის საკითხებზე ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით; თითოეულ ამ საკითხზე მან დაწერა სტატიების სერია და ოთხი სპეციალური მონოგრაფია; მან აღწერა დვირის განძი, იდუმალას განძი, ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1983-1989 გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალები, ბოლნისის რაიონის სოფ. სარაჩლოში ნაპოვნი ვერცხლის მონეტების განძი, ოჩამჩირეში აღმოჩენილი ბიზანტიური სპილენძის მონეტები და სხვ..

კონსტანტინე გოლენკო (1929-1975 წწ.) – რუსული (საბჭოური) ნუმიზმატიკური სკოლის ერთ - ერთი გამოჩენილი მეცნიერი - არქეოლოგიის ინსტიტუტის ნუმიზმატიკის განყოფილების უფროსი, ამერიკის ნუმიზმატიკის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, გამოცემის „ნუმიზმატიკა და ეპიგრაფიკა“ რედკოლეგიის წევრი, 80 - მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ანტიკური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი მონოგრაფია - «Денежное обращение колхиды в римское время», Л., 1964 - და ვრცელი გამოკვლევა – «Заметки об обращении римской монеты в закавказье», ВДИ, 1971, №4. აღსანიშნავია ასევე მისი ნაშრომი «Клад

монет из села Тобаниери» // Византийский временник. т. XVI. 1969. ეს შრომები ყურადღებას იქცევს არა მარტო მასალის კვალიფიციური ატრიბუციით, არამედ რიგი სახელმძღვანელო დებულებებით და პრობლემებით. მისი დამსახურებაა დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების ზუსტი დათარიღება, არისტარქე კოლხის დრაქმების მონოგრაფიული შესწავლა, ფიჭვნარში აღმოჩენილი კოლხური და სინოპური მონეტების, აგრეთვე XIII ს - ის ტრაპიზონული ასპრების ტოზანიერის განძის მაღალ მეცნიერული დონის პუბლიკაცია. **თინათინ ქუთელია** – კომპლექსურად შეისწავლა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა XV I -XVIII საუკუნეებში; ეს და სხვა თემები ქართული ნუმიზმატიკის შესახებ განხილულია სტატიებში „თბილისის ზარაფხანა XVII-XVIII სს – ვერცხლის ფული“, „კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა“, „თბილისური სპილენძის ფულის ერთი ტიპის დათარიღებისათვის“ და სხვ.; იყო წიგნის „ფული საქართველოში“ პირველი გამოცემის თანარედაქტორი; თინათინ ქუთელიას რედაქტორობით გამოიცა თამარ ლომოურის წიგნი „ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში“.

ირინე ჯალაღანია – წარმატებით გამოიკვლია V-XIII სს-ის ქართული ნუმიზმატიკის პრობლემები. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სამონეტო საქმის ისტორია XIII ს - ის საქართველოში, აღწერა სასანური, სასანურ-ბიზანტიური, სასანურ - არაბული და არაბული მონეტების სრულიად ახალი განმები, პარალელურად მოახდინა უკვე ცნობილი განმების შემადგენლობაში შემავალი მონეტების ატრიბუცია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შუქზე. მის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი განძი რამდენიმე ათას ეგზემპლარს შეიცავს, მათ შორის იშვიათ და უნიკალურ ცალმხარე. 1979 წელს გამოქვეყნდა ირინე ჯალაღანიას ნაშრომი: «Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.», სადაც განხილულია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელი რეგიონის მრავალი კარდინალური ასპექტი, საქართველოში უცხოური მონეტების ცირკულაციის საკითხები V-XIII სს-ში.

გიორგი დუნდუა – მონოგრაფიაში „სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში“ პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში რეალიზებულია ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური მითითება. მონოგრაფიის შესავალში დასახულია ქართული ნუმიზმატიკის განვითარების შემდგომი ამოცანებისა და გზების ძიების ცდები. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: თეორიული (წყაროების მიმოხილვა), აღწერილობითი (მონეტების აღწერა - ატრიბუცია, როგორც ქართული, ასევე XV საუკუნის საქართველოში მიმოქცევადი უცხოური მონეტებისა) და შედარებითი (წერილობითი წყაროებისა და ფაქტობრივი მასალის მონაცემების ურთიერთშეჯერება).

გიორგი დუნდუას მონოგრაფიული გამოკვლევა - „ი. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები“ VI ს-ის ქართლის ერისმთავრების დრაქმების პრობლემის დადგენას ეხება. ამ მონოგრაფიაში პირველად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში განდგენილია ქართლის ერისმთავრების დრაქმების ემისიის ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომ სტეფანოს მეორეს არასოდეს მოუჭრია მონეტა, რომ ამ სახელით გამოშვებული დრაქმების ერთადერთი ავტორი სტეფანოს პირველია. გიორგი დუნდუამ გამოაქვეყნა ბიჭვინთისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, რის საფუძველზეც წამოაყენა ჰიპოთეზა ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების სპილენძის საქალაქო მონეტების ქართველური სამყაროსადმი მიკუთვნებისა და ასევე ძვ. წ. აღ. I ს-ში ვანში სპილენძის ანონიმური მონეტების ემისიის შესაძლებლობების შესახებ. მან შეისწავლა „დიდი მცხეთის“ ნუმიზმატიკური ძეგლები; სეფიეთისა და ეკის რომაული მონეტების განმები; გამოსცა მონოგრაფია «Нумизматика античной Грузии», სადაც გაშუქებულია კოლხური თეთრის გენეზისისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა.

გადათარიღებულია აკას სტატერი, ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით დეტალურადაა შესწავლილი კოლხური პანთეონი, კოლხეთისა და იბერიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ასპექტები ძვ. წ. VI – ახ. წ. IV სს-ის მანძილზე გარე სამყაროსთან სამონეტო მონაცემების მიხედვით და სხვ.

რევაზ ქებულაძე – ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით სპეციალურად გამოიკვლია საქართველო - ევროპის ურთიერთობა XV - XVIII სს-ში; მან რამდენიმე სტატია მიუძღვნა აგრეთვე ქართულ - ბიზანტიურ მონეტებსაც. მან შეისწავლა საქართველოს პოლიტიკურ - ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები სხვა ქვეყნებთან ნუმიზმატიკურ ფაქტებზე დაყრდნობით; ამ საკითხებს მან მიუძღვნა შემდეგი სტატიები: „Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным“, „Монеты Давида Курапалата вкладах западноевропейских денариев“, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურ - ტიტულიანი ვერცხლის მონეტები“, „ახალი მასალები საქართველოში ევროპული მონეტების მიმოქცევის შესახებ – XVIII ს.“, „საქართველოში ვენეციური დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის – XI-XIX სს.“, „საქართველოში პოლონური მონეტების მიმოქცევის საკითხისათვის – XV-XVII სს.“ და სხვ..

მერი ანთაძე – კომპლექსურად შეისწავლა საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით; ეს და სხვა თემები ქართული ნუმიზმატიკის შესახებ განხილულია სტატიებში: „ქვახვერელის განძი“, „თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოსმალური მონეტები – XVIII ს.“, „თბილისში მოჭრილი ოსმალური ოქროს მონეტა – 1723 წ.“, „თურქული მონეტების მურჯახეთის განძი“, „მანდაეთის განძი“.

ცილა ღვაზირიძე – კომპლექსურად შეისწავლა საქართველოსა და ილხანთა ირანის ასევე საქართველოსა და ჯელაირთა სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხები; მან დაადგინა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე XIV ს-ში ახალი ზარაფხანის – ყარჯინის ფუნქციონირების ფაქტი, სადაც ქართველი მეფეები ილხანების სახელით აწარმოებდნენ სამონეტო ემისიას. ეს და სხვა თემები ქართული ნუმიზმატიკის შესახებ

განხილულია სტატიებში: „თბილისის ზარაფხანა XIV ს-ის I ნახ-ში“, „О некоторых нумизматических терминах по грузинским письменным источникам XIII-XIV в.в. - «Тетри», «Драхкани»“, „ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი“ და სხვ.

გოჩა ჯაფარიძე – მუშაობს არაბული ნუმისმატიკისა და არაბულ-ქართული მეტროლოგიის საკითხებზე. აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“; მან სპეციალური გამოკვლევა უძღვნა აბასიანთა სახალიფოს ზარაფხანების დადგენისა და ლოკალიზაციის საკითხს. აღსანიშნავია მისი ნაშრომები, რომლებიც ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოში ოქროს მონეტების ცირკულაციას ეხება; მან მონოგრაფიულად შეისწავლა თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის მონეტები, დაადგინა თამარ მეფის გარდაცვალების ჭეშმარიტი თარიღი; ეს და სხვა თემები ქართული ნუმისმატიკის შესახებ განხილულია სტატიებში: „დევიდ მარშალ ლანგი“, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით – გიორგი III - ის უცნობი სპილენძის მონეტა“, „ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“, „აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები“, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით“ და სხვ.

იხოლდა ცუხიშვილი – იკლავს IV-XII საუკუნეებში ბიზანტია-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის საკითხებს მონეტების მიხედვით. ეს და სხვა თემები ქართული ნუმისმატიკის შესახებ განხილულია სტატიებში: „აღმოსავლეთ რომის იმპერიის მონეტები საქართველოში – IV-V სს.“, „გვიანრომაული მონეტების ბიჭვინთის განძი“ და სხვ.

ნიკო ჯავახიშვილი – კომლექსურად შეისწავლა ქართული ბონისტიკის საკითხები და გამოაქვეყნა მონოგრაფია „ქართული ბონისტიკა“, სადაც ქალაქის ფულის ნიშნების ფონზე მკვეთრად გამოიჩინა საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, ტექნიკური განვითარება, ტექნოლოგიური დონე, კულტურული ღირებულებანი. ნიკო ჯავახიშვილი მუშაობს საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე; გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია „ქართული ფალერისტიკა“ (ჯილდოთმცოდნეობა)

გამოყენებული ლიტერატურა: წიგნ. „ქართული ნუმისმატიკა“, ავტ. თ. დუნდუა, გ. დუნდუა, 2006; წიგნ. „ქართული ბონისტიკა“, ავტ. ნ. ჯავახიშვილი.

247. ქართული საკრედიტო მონეტა – XII – XIII სს – ში ქართველ მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარი, გიორგი IV ლაშა) სახელით მოჭრილი სხვადასხვა ზომისა და წონის სპილენძის მონეტები, რომელთაც ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდათ. ამგვარი მონეტების მოჭრა დაიწყო მახლობელ აღმოსავლეთში, ე. წ., ვერცხლის კრიზისის გავრცელებისთანავე. ფულის ზედწერილი იუწყებოდა: „ეს დირჰემია“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპილენძის ფულის ნიშანს ვერცხლის დრამის ფასი ენიჭებოდა. ასეთივე ღონისძიებისათვის მიუმართავთ ქართველ მმართველებს, რაც მაშინდელი ფულის ქართული ზედწერილითაც მტკიცდება: თამარ მეფისა და ლაშა – გიორგის სპილენძის ფულს აწერია: „ქორონიკონსა (ამა და ამას) სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვერცხლისა ამისა“. ამით საქართველოს მეფეები აღნიშნავდნენ, რომ მის მიერ მოჭრილი სპილენძის ფულს ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდა და იგი იძულებითი, სავალდებულო კურსით მიმოიქცეოდა /ი. ჯალაღანია/.

248. ქართული ფულუსი – (არაბ – სპარს – ფულუს – მრ. რ., მხ. რ. – ფალს – წვრილი სპილენძის ფული), XVII – XVIII სს – ში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის ნახევრად საკრედიტო ფულის ზოგადი სახელი. სამონეტო სისტემა და ტიპი აღებულია სეფიანთა ირანის ანონიმური საქალაქო მონეტებიდან. ქართულ ფულუსს ჭრიდა ქართლის ხელისუფალი. მიმოიქცეოდა ქართლის სამეფოში და მის ფარგლებს გარეთაც. მოჭრის თარიღი აღნიშნავს ტიპის დამკვიდრების დროს. XVII ს – ში ქართული ფულუსი ანონიმურია (გამონაკლისია შაჰ-სეფის სახელით მოჭრილი მონეტები). XVIII ს – ში ქართულ ფულუსზე გაჩნდა ქართული ასოებით დაქარაგმებული ქართლის მმართველებისა და მეფეთა სახელები: „ვახტანგ“, „სიმონ“, „ბაქარ“, „თეიმურაზ“, „თეიმურაზ ერეკლე“, „ერეკლე“, „გიორგი“. ყველაზე გავრცელებული იყო 2 ნომინალი (1/2 ბისთი, ანუ 10 დინარი) და ფული (1/4 ბისთი, ანუ 5 დინარი), ზოგჯერ იჭრებოდა ბისთი (4 ფული, ანუ 20 დინარი). მონეტის ერთ მხარეზე სხვადასხვა გამოსახულება (ლომი, ირემი, ცხენი, ფარშანავი, გემი, ბაგრატიონების გერბი, რუსეთის გერბი და სხვ.). მეორე მხარეზე სპარსულად წერია: „ფულუსი იჭედა თბილისს“ ან „მონა ღვთისა. იჭედა თბილისს“. თარიღი ჰიჯრითაა მოცემული, გვხვდება ევროპული თარიღიც /თ. ქუთელია/. **იხ. ბისტი.**

249. ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონი – უძველესი ცნობების თანახმად, ქართველთა წინაქრისტიანულ პანთეონს შეადგენდნენ ციური სხეულები (ან მათი განმსახიერებელი ღვთაებები) – მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი. უფრო მოგვიანებით შემოუღიათ გაცისა და გაიმის კულტები და მათი კერპები აღმართავს. ქართლის სახელმწიფოს დამაარსებელმა ფარნავაზ I-მა რელიგიური რეფორმა ჩაატარა, სახელმწიფო რელიგიად არმაზის კულტი გამოაცხადა და ამ ღვთაების კერპი აღმართა არმაზის მთაზე. არმაზის კულტის შემოღებას, როგორც ამას ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, არავითარი კონფლიქტი არ მოჰყოლია ადრე არსებულ რელიგიასთან. იგი მთავარ ღვთაებად მიუჩნევიათ, ხოლო გაცისა და გაიმის კერპები მისი კერპების ორივე მხარეს დაუდგამთ და უწინდებურად სცემდნენ თაყვანს. მეორე

მეფემ, საურმაგმა, აინინას და დანინას კერპები აღმართა „გზასა ზედა მცხეთისასა“, მოგვიანებით ზადენის კულტიც შემოიღეს. ღვთაებათა ამ გალერეას ამთავრებს აფროდიტეს კულტი, რომელიც მეფე რეე მართალმა შემოიღო და კერპიც დაუდგა მცხეთის თავს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არმაზი და ზადენი მიჩნეული არიან ქართლის დიდ ღმერთებად („სოფლის მპყრობელი, მზის მომფენელი, წვიმის მომცემი და ქვეყნის ნაყოფთა გამომზრდელი“), ნაყოფიერების ღვთაებებად, მაშინ როცა გაცი და გაიმი „დაფარულის გამომძიებელად“ ითვლებოდნენ. ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა; მთავარი ღვთაება იყო არმაზი, რომელიც ხეთურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, თუმცა ადგილობრივი რწმენა – წარმოდგენების კვალიც ატყვია. არმაზის რელიგია და პანთეონი ქრისტიანობამ გაანადგურა /ირ. სურგულაძე/.

250. **ქაღალდის ფული** – ქაღალდის ფული წარმოადგენს ღირებულების ნომინალურ ნიშანს, რომელსაც სახელმწიფოს ხელისუფლება თავისი ხარჯის დასაფარავად უშვებს მიმოქცევაში. ქაღალდის ფულის ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა დაახლოებით 650 წელს ჩინეთში. ქაღალდის ფულის გამოშვების ცდები იყო სხვა ქვეყნებშიც, მაგ., 1294 წელს – ილხანთა ირანში, 1337 წელს – იაპონიაში; ევროპის სახელმწიფოებიდან ქაღალდის ფული პირველად შვედეთში შემოიღეს 1662 წელს, ხოლო მოგვიანებით ეს სახელე მთელ მსოფლიოში გავრცელდა /ნ. ჯავახიშვილი/.
251. **ქორონიკონი** – ძველი საქართველოს საკუთარი წელთაღრიცხვა; თარიღის აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ხმარობდნენ ანბანის ასოებს, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ქორონიკონს საფუძვლად უდევს 532–წლიანი ციკლი (დროის მონაკვეთი), ანუ მოქცევა. შუა საუკუნეების ქართველი ასტრონომები ქვეყნის შექმნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე ათ მოქცევასა და 284 წელს, ე. ი. 5604 წელს (532X10+284) ანგარიშობდნენ. ქორონიკონით წელთაღრიცხვა ჩვენში მხოლოდ 780 წლიდან ანუ XIII მოქცევიდან შემოიღეს და XIV მოქცევაშიც ხმარობდნენ. მოქცევის წელიწადი ქორონიკონად იწოდება. თანამედროვე წელთაღრიცხვაზე ქართული ქორონიკონის გადასაყვანად მოცემულ ქორონიკონს 780 ან 1312 უმატებენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოქცევასთან გვაქვს საქმე. ერთი მოქცევის დამთავრებისა და მეორის დაწყების დროს ანგარიში თავიდან იწყება და თარიღები ისეთივე რჩება, როგორც წინა მოქცევაში /დ. კაპანაძე/.
252. **ყაანური** – XIII ს – ის 60 – 70 – იან წლებში თბილისში მოჭრილი მონღოლური ანონიმური ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მხარეს ყაენის ტიტულია („ყაან მართლმსაჯული“) გამოსახული, მეორეზე კი – მაჰმადიანური სარწმუნოებრივი სიმბოლო, მოჭრის თარიღი და ადგილი (თბილისი). ამ სახის ფული დიდი რაოდენობით მოჭრეს 1261–1280 – იან წლებში. გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში, ამიერკავკასიის სამხრეთ – აღმოსავლეთ ნაწილში (სომხეთი) და სავარაუდოა, ამიერკავკასიის გარეთაც. **იხ. ყაზანური.**
253. **ყაზანური** – ყაზან – ყაენის (1295 -1304 წწ.) რეფორმის შედეგად შემოღებული ვერცხლის ფული და ამ ფულის მსგავსად საქართველოში მოჭრილი მონეტები; საქართველოში გავრცელდა XVI ს - ის დამდეგიდან და ამავე საუკუნის II ნახ - დან უკვე გამქრალა /დ. კაპანაძე/. **იხ. ყაანური.**
254. **ყალბი ფული** – ძველად საბერძნეთსა და რომში ყალბი ფულის დამზადება ერთ – ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და სახელმწიფო ხელისუფლება მის აღსაკვეთად უკიდურეს ღონისძიებებსაც კი მიმართავდა: დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდა ან ხელს აჭრიდა, მაგრამ ამ ბოროტების ამოძირკვა დღემდე ვერ მოხერხდა და, ალბათ, ვერასოდეს მოხერხდება. ეს პროფესია გაქრება ფულის სიკვდილთან ერთად. მართალია, 1929 წელს ქენევაში დაიდო კონვენცია ყალბი ფულის დამზადების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა, რომელსაც ხელი მოაწერა მრავალმა ქვეყანამ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ამ ბოროტების ფართოდ გავრცელებისათვის თვით ხელისმომწერ სახელმწიფოთა შორის /გ. დუნდუა/.
255. **შავი ფული** - ანუ სპილენძის ფული, შავი ფულის ნომინალების შესახებ ძველ ქართულ საბუთებში გაცილებით ნაკლები ცნობები მოიპოვება. უძველესი ტერმინი, რომელიც სპილენძის ფულს გულისხმობს არის „კერმა“, რომელიც ზოგჯერ „რვალით“ იცვლება. XI ს – დან შემოდის ტერმინი „ფოლი“. საუკუნეთა განმავლობაში ამ ტერმინმა მრავალნაირი ცვლილება გამოსცადა – ბერძნული „ფოლისიდან“, არაბების დროს ის „ფელსად“ გადაიქცა და ამ სახით მონღოლთა დრომდე შემორჩა; XVII ს - დან „ფელსის“ ნაცვლად შემოღებული იყო სპარსული „ფულუსი“, რომელიც ჩვენში „ფულის“ სახით დამკვიდრდა /დ. კაპანაძე/.
256. **შაური** – იგივე შაპი, საქართველოში გავრცელებული და დღემდე შემორჩენილი ფულადი საანგარიშო ერთეული, XVI ს - ის მეორე ნახ - ში დამკვიდრდა და აზაზის ერთ მეოთხედს შეადგენდა; XVII - XVIII სს - ის საქართველოში ფულად მიმოქცევაში ფაქტიურად ვერცხლის ფულის შემდეგი ნომინალები იყო გავრცელებული: ექვსშაურიანი (ნახევარმარჩილიანი), აზაზი, ორშაურიანი და შაურიანი, იშვიათ შემთხვევაში ჩნდება სპარსეთიდან შემოღებული ფანჯშაპი (ხუთშაურიანი) და უკნინესი ვერცხლის მონეტა ბისტი /დ. კაპანაძე/.
257. **შირვანული თანგა** – ვერცხლის მონეტა, მოჭრილი XV ს - ის შირვანში (აზერბაიჯანი) თემურლენგის მალახზარისხოვანი ვერცხლის მონეტის მიხედვით. მასა 6,2 გ.. დროთა განმავლობაში მისი წონა იკლებდა

და ფარუხ იესარის მმართველობის დროს (1462 - 1500 წწ.) 1,90-1,75 გრ - მდე დაეცა. მონეტის შუბლსა და ზურგზე არაბული ზედწერილებია. შირვანული თანგა აღმოჩენილია საქართველოშიც: სოფ. საქობოში (ლაგოდების რ - ნი) XV ს-ის I ნახ-ში შემახასა და ბაქოში მოჭრილი შირვანული თანგები. სოფ. თამარაშენში (ქვემო ქართლი), რომელთაგან ყველაზე გვიანდელი მონეტა 1462-1463 წლებით თარიღდება; დუშეთის რ - ში XV ს-ის I ნახ-ის შირვანული თანგები, რომლებიც მოჭრილია ბაქოში, დარუბანდა და შემახაში; სოფ. ალში (ხაშურის რ-ნი) ხალილულა I - ისა (1417-1462 წწ.) და ფარუხ იესარის დროს მოჭრილი შირვანული თანგები, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი მონეტა 1492-1493 წლებით თარიღდება /გ. დუნდუა/.

258. **შუა საუკუნეები** – მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც იხმარება ისტორიულ მეცნიერებაში. მოიცავს შუალედს ძველსა და ახალ ისტორიას შორის. შემოიღეს XV – XVI სს – ში იტალიელმა ისტორიკოს – ჰუმანისტებმა. მეცნიერებაში XVIII ს – იდან დამკვიდრდა. მეცნიერები მას განიხილივან, როგორც ფეოდალიზმის ჩასახვის, განითარებისა და დაშლის ეპოქას და ძველი და შუა საუკუნეების ისტორიულ მიჯნად მიიჩნევს მონათმფლობელური რომის იმპერიის დამხობის (პირობითად 476 წ.) თარიღს. შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის მიჯნად ითვლება XVII ს – ის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. ტერმინი „შუა საუკუნეები“ იხმარება როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე სხვა რეგიონების მიმართაც, თუმცა ფეოდალური არსებობის ხანა ყველგან არ ემთხვევა ერთმანეთს. შუა საუკუნეების შემსწავლელ მეცნიერებას მედიევსტიკა ეწოდება.

259. **შუა საუკუნეების ხელოვნება** – ისტორიულ – მხატვრული ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივ იხმარება ფეოდალიზმის ხანის ხელოვნების ისტორიის ადრინდელი და მომწიფებული ეტაპების აღსანიშნავად (დასავლეთ ევროპაში V - XIV სს., რენესანსის ეპოქამდე; რუსეთში – X - XVII სს.; საქართველოში – IV - XVII სს.). შუა საუკუნეების ხელოვნება მჭიდროდ უკავშირდება რელიგიური მსოფლმხედველობის მთელ სისტემას, ხასიათდება სახეთა გარკვეული პირობითობით. აღმოსავლური ქვეყნების ხელოვნებისათვის ეს ტერმინი ვრცელდება მთელი ფეოდალიზმის ხანაზე.

260. **ჩერვონეცი** – იგივე ლობანჩიკი, **იხ. დუკატი**.

261. **ჩითახური თეთრი** – გეოგრაფიული ხასიათის ტერმინი; სოფ. ჩითახევი, რომელიც ამჟამად ტრაპიზონის ვილაიეთში მდებარეობს, ადრე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, ძველთაგანვე განთქმული იყო ვერცხლის საბადოებით, რისთვისაც ბერძნები არგვირიკასტრას უწოდებდნენ. ამ ტერიტორიას თურქებმა დაპყრობის შემდეგ სახელი შეუცვალეს და უწოდეს გიუშიმანხე, რაც ბერძნული სახელწოდების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. გიუშიმანხეში მოჭრილი თურქული მონეტებიც კი აღმოაჩნდა, მაგრამ ეს მონეტები შედარებით გვიანდელი - XVIII ს -ის შუა წლებისაა /დ. კაპანაძე/.

262. **ცალმხრივი მონეტა** – გამოსახულება ამოტივრულია მხოლოდ ერთ მხარეზე, მეორე მხარეს კი აქვს ჩალრმავეები; ცალმხრივია ადრეარქაული მონეტები /გ. დუნდუა/.

263. **წიბო** – იგივე გურტი, მონეტის გვერდის ზედაპირი; თანამედროვე მონეტების გურტი შესაძლოა იყოს გლუვი, წვრილად დაჭედული, კუთხილი ზედაპირით ან თანდართული წარწერით, ე. წ. ნაჭედი გურტი. პირველი მონეტები, რომელთაც გურტი დამუშავებული ჰქონდათ მანქანური ჭედვით გამოიწნა XVI ს-ის II ნახევარში საფრანგეთში. დამუშავებული გურტი იცავს მონეტას გაყალბებისაგან, ასევე შედეგდობადაქვეითებულებს შეუძლიათ შეხებით ამოიციონ მონეტის ნომინალი. გურტის სახეობა თავისდათავად მონეტის ტიპის დახასიათების ერთ-ერთი პარამეტრია. გურტის ნაწიბურის ხარისხით განსაზღვრავენ მონეტის შენახულობის ხარისხს, განსაკუთრებით ანტიკური და შუა საუკუნეების მონეტების შეფასების შემთხვევებში. ნახატიანი წიბო საქართველოში მხოლოდ XIX ს–ში შემოიღეს.

264. **წითელი – წითელი ოქრო – წითელი დინარი** – XI-XII სს - ის საქართველოში მიმოქცევადი აღმოსავლური ოქროს მონეტები; ამ ტერმინებში, გ. ჯაფარიძის მოსაზრებით, აზასელთა დინარი უნდა იგულისხმებოდეს; აღმოსავლური ოქროს მონეტების ბრუნვა XI - XII სს - ის საქართველოს ფულად მიმოქცევაში ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება /დ. კაპანაძე/.

265. **ჭედვა** – ლითონების წნევით დამუშავების ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროს იარაღი ნამზადზე ასრულებს მრავალჯერად წყვეტილ ზემოქმედებას, რის შედეგად იგი (ნამზადი) დეფორმირდება და თანდათანობით საჭირო ფორმასა და ზომას იღებს. ჭედვის ძირითადი ოპერაციებია დასმა, გამოტვიფვრა, გაწეღვა, მოგორვა, გაჭოლვა, ჭრა, სამჭედლო შედუღება და სხვ. ჭედვა ცნობილი იყო მანამ, სანამ ადამიანი მადნისაგან ლითონის მიღებას დაიწყებდა; მაგ., ირანში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მეტეორიტული რკინის ჭედვა ძვ. წ. IV-III ათასწლეულში იცოდნენ. თითქმის ამავე პერიოდიდან იწყებენ ლითონის დამუშავებას იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხები.

266. **ჭედური ხელოვნება** – ლითონის მხატვრული დამუშავების უძველესი დარგი; აერთიანებს ტექნიკურ-მხატვრული შესრულების ყველა იმ ხერხს, რომელთა საფუძველს ლითონის პლასტიკური დეფორმაცია

წარმოადგენს. რელიეფურ გამოსახულებათა მიღება მონეტების, მედალიონებისა და სხვათა ზედაპირზე სრულდება ხელის ან წნეხის ძლიერი დარტყმით შტემპელებზე – პუსონებზე, რომლებზედაც გამოსახულებები და წარწერები წაროდგენილია ჩაღრმავებულიად.

267. **ჭვირნიშანი** – წყლის ნიშანი, ფილიგრიანი, გამჭვირვალე გამოსახულება - მოხატულობა ან ტექსტი ქაღალდზე, რომელიც ჩანს მხოლოდ სინათლეზე გახედვისას; კეთდება ქაღალდის წარმოების პროცესში ქაღალდის სველ ტილოზე ეგუტერის ან მრგვალბადიანი მანქანის ცილინდრების მეშვეობით. ჭვირნიშანი აღმოცენდა ევროპაში იმ პერიოდში, როდესაც ქაღალდის წარმოებამ სავაჭრო-სასაქონლო მნიშვნელობა მოიპოვა. პირველად იგი ქაღალდის იტალიურ ნაწარმზე გაჩნდა XIII ს-ის ბოლოს. ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა ხელოსნის შრომის ანაზღაურება. ევროპული წარმოების ქაღალდი ჭვირნიშანი იყო XIX ს-ის ბოლომდე. ევროპულისაგან განსხვავებით, აღმოსავლური წარმოების ქაღალდს ჭვირნიშანი არ ჰქონია. ქართული ტერმინი „ჭვირნიშანი“ ივანე ჯავახიშვილმა შემოიღო. ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნებს პირველმა ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება. ქართულ წერილობით ძეგლებში ჭვირნიშანი XIV ს-ის დამდეგიდან გვხვდება, ქაღალდი ვენეციიდან შემოჰქონდათ. XV-XVI სს-ის მიჯნაზე აღმოსავლური წარმოების ქაღალდი საქართველოში გაქრა და ევროპული ჭვირნიშანი ქაღალდი გაბატონდა. თუ ძველად ჭვირნიშანს სავაჭრო-სასაქონლო ღირებულება ჰქონდა, თანდათანობით მან შეიძინა სამეცნიერო და დამცავი დატვირთვა: ჭვირნიშნით არკვევენ ძველი ქაღალდის სადაურობას და ათარიღებენ უთარიღო ძველ დოკუმენტაციასა და წიგნებს, ყალბისაგან ანსხვავებენ ნამდვილ ფულს, ფასიან ქაღალდებს, საბუთებს, მარკებს და ა. შ. ზოგჯერ მისი დანიშნულება მხოლოდ ქაღალდის გალამაზებაც არის.
268. **ხაზინა** – 1. სახელმწიფო ფინანსური დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებასა და გადასახადების აკრეფას; 2. ხანების, მეფეების, საუფლისწულოებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა საცავი.
269. **ხაზინადარი** – 1. ძველად ხაზინის უფროსი; 2. რომელიმე ორგანიზაციის ფასეულობათა (ფული და სხვა) მცველი.
270. **ჯუჩიდური ფული** – XIV ს-ის შუა ხანებიდან საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჯუჩიდურმა (ოქროს ურდოს) ფულმა. ჯუჩიდი ხანების ჯანიბეგის (1343 -1357 წწ.) და მისი მემკვიდრის ბერდიბეგის (1357-1380 წწ.) სახელით 1356 - 1357 წლებში თბილისშიც მოიჭრა მონეტა. ეს საოკუპაციო მონეტა იყო: ილხანთა დაცემის შემდეგ ჯუჩიდებმა მცირე ხნით შეძლეს ირანისა და კავკასიის დაპყრობა.
271. **ჰემიდრაქმა** – (ბერძნ. hemi – ნახევარი, ნახევრად), იგივე ტრიობოლი; ვერცხლის მონეტა; ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში; დრაქმის 1/2.
272. **ჰიბრიდული მონეტა – იხ. ერთობლივი მონეტა.**
273. **ჰიჯრა** – (არაბ. – გადასახლება, გადახვეწა, ემიგრაცია), მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდრის სახელწოდება. ხალიფა უმარ I-ის დროს (634-644 წწ.) ჰიჯრა გამოცხადდა მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისად (მუსლიმური ერა). ცნობილია მთვარისა და მზის ჰიჯრის კალენდრები. მთვარის კალენდარი გავრცელებულია ახლო და შუა აღმოსავლეთის უმეტეს მუსულმანურ ქვეყნებში, მზისა – ირანში, ავღანეთში, თურქეთში. ჰიჯრის მთვარის კალენდრის პირველი დღეა 622 წლის 16 ივლისი (მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, მაჰმადისა და მისი მიმდევრების (მუჰაჯირების) მექიდან მედინაში გადასახლების თარიღი), მზის კალენდრისა – 20-21 მარტი (გაზაფხულის ბუნიობის დრო). მუსლიმურ მთვარის წელიწადში 354 დღეა, თვეში – 29-30 დღე. ჰიჯრის კალენდრის დღეები 11-12-ით ნაკლებია საყოველთაოდ გავრცელებულ გრიგორიანული კალენდრის დღეებზე და ამიტომ ყოველ 33 წელიწადში ვიღებთ ერთი წლის განსხვავებას. ჰიჯრის წლების გადაყვანა გრიგორიანულზე და პირუკუ შესაძლებელია სპეციალური ფორმულებით ან ტაბულების საშუალებით /ე. სიხარულიძე/.
274. **ჰულაგუიანები** – მონღოლური დინასტია, რომლის წარმომადგენლები XIII ს – ის შუა წლებიდან – XIV ს – ის შუა წლებამდე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს განაგებდნენ. ჰქონდათ ილხანის (ულუსის ხანის) ტიტული. იყვნენ ჰულაგუ ხანის შთამომავლები. ჰულაგუიანების სახელმწიფო შეიქმნა მონღოლური ფეოდალური იმპერიის დაშლის პროცესში. იგი მოიცავდა ირანს, ახლანდელ ავღანეთს, თურქმენეთს, ამიერკავკასიის დიდ ნაწილს, არაბეთის ერაყს და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს. მისი ვასალები და მოხარკეები იყვნენ საქართველო, ტრაპიზონის იმპერია, კონიის სასულთნო, კილიკიის სომხ. სამეფო, კვიპროსის სამეფო, ქართველის სახელმწიფო. დედაქალაქები (თანამიმდევრობით) – მარაღა, თავრიზი, სოლთანიე. ჰულაგუიანები ჩაღატაელებს, ოქროს ურდოს და ეგვიპტის მამულუქთა სახელწიფოს. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს პირველ პერიოდში (1256 – 1304 წწ.) მკვეთრად შეცვალა სამინაო პოლიტიკა, დაუახლოვდა მუსლიმურ (ირანულ) არისტოკრატას და სამოქალაქო ბიუოკრატას. რაშიდ ალ – დინის თანადგომითა და ხელშეწყობით მან გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რამაც გამოიწვია დროებითი

ეკონომიკური აღმავლობა სახელმწიფოში. აბუ საიდის (1316 – 1335 წწ.) სიკვდილის შემდეგ ცალკეულ ფეოდალურ დაჯგუფებებს ტახტზე აპყავდათ მარიონეტი ილხანები ჰულაგუიანების საგვარეულოდან. XIV ს – ის 40 – იან წლებში ჰულაგუიანების სახელმწიფო რამდენიმე ფეოდალურ სახელმწიფოდ დაიყო (ჯელაირიდა, ჩოზანიდა, მოზაფერიდა). ჰულაგუიანების სახელმწიფოს დაშლაში დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო აჯანყებებმა (სარბედართა, გილანის, მაზანდარანის და სხვ.). უკანასკნელი ჰულაგუიანი ილხანი – თული თემურ – ხანი 1353 წ. დაიღუპა სარბედართა ხელით. ჰულაგუიანთა დინასტიის ილხანები: ჰულაგუ – ხანი (1256 – 1265 წწ.), აბაღა – ხანი (1265 – 1282 წწ.), აჰმედ თოგუდანი (1282 – 1284 წწ.), არლუნ – ხანი (1284 – 1291 წწ.), ქელათუ – ყაენი (1291 – 1295 წწ.), ბაიდუ – ხანი (1295 წ.), ყაზან – ყაენი (1295 – 1304 წწ.), ოლჯაითუ – ყაენი (მუჰამად ხუდაბანდა – 1304 – 1316 წწ.), აბუ საიდ ბაჰადურ – ხანი (1316 – 1335 წწ.), არფა (1335 – 1336 წწ.), მუსა (1336 წ.) /დ. კაციტაძე/.

275. ჰულაგუიანური დირჰემი – ყაზან–ყაენის ფულადი რეფორმის შემდეგ, XIII ს – ის დასასრულს, ჰულაგუიანი ილხანების სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა გავრცელებული იყო საქართველოში, ქოდალოს, ყარაღაჯის განძები; ამ ტიპის ფულს თბილისის ზარაფხანაშიც ჭრიდნენ. **იხ. ქართულ – ჰულაგუიანური დირჰემი.**